N 4 2023

მასწავლებელი

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“



მასწავლებელი

N4(95), 2023

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ფირჩხაძე ,
ლელა კოტორაშვილი,
მაია მენაბდე,
გიტა თვალაბეიშვილი,
მაია ჯალიაშვილი, ნინო ლომიძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
ქეთევან კობალაძე,
ნათია უჩავა, თემურ სუყაშვილი,
მარიამ გოდუაძე,
ნათელა ბაღათრიშვილი,
ირმა ტაველიძე,
შორენა ტყეშელაშვილი,
ირმა კახურაშვილი,
ინა იმედაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

ვწერ და ვშლი. სათქმელი ბევრია, მაგრამ სიტყვებში მისი მოქცევა – ძნელი, ამიტომ რედაქტორის წერილი მოკლე იქნება.

აღარ მიყვარს ზაფხული.

წინათ ის არდადეგებთან, სოფელში გატარებულ მშვიდ და ბედნიერ დღეებთან ასოცირდებოდა, ამიტომ ყოველთვის ვჩქარობდი და ვაჩქარებდი დროს.

ახლა აღარ მიყვარს. ზაფხულს მოჰყვება მოზარდების მდინარესა თუ ზღვაში დახრჩობის შემზარავი ამბები.

წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით სასტიკი აღმოჩნდა და შოვის ტრაგედიამ პირგამეხებული დაგვტოვა.

სინამდვილის გააზრება წარმოუდგენელია. ვერაფერი გადაფარავს იმ კადრებს, რომლებსაც ტრაგედიის დღეებში თვალს ვერ ვუსწორებდით. ვერც გარდაცვლილთა ფოტოებს და ვერც გადარჩენილთა სახეებს.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ღირებულებებზე განათლებაში.

ეს ღირებულებები განყენებული ცნებები არ არის. ისინი უკავშირდება ადამიანს და საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ.

ტრაგედიის შემდეგ გადარჩენილები გაცილებით რთულ გარემოებებს უმკლავდებიან და მათ, გარდა სამძიმრისა და გლოვის დღეების გამოცხადებისა, სხვაგვარი მხარდაჭერაც სჭირდებათ.

არ ვიცი, ასეთ დროს რა უნდა ვუთხრათ ადამიანებს, როგორ გავამხნეოთ ისინი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ გულგრილობა და უპასუხისმგებლობა კლავს. სტიქია დაუნდობელი და გაუთვალისწინებელია, მაგრამ ღირსება და თანაგრძნობა მან არ უნდა ჩაიტანოს.

გადარჩენის გზებიც სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, ოღონდ არა სტიქიურად – თანმიმდევრულად და სიყვარულით.



რესურსი

მაია ფირჩხაძე

4 | **განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია სწავლების დაწყებით საფეხურზე**

რეფლექსია და განმავითარებელი შეფასება საგანმანათლებლო პროცესში ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. განმავითარებელი შეფასება აძლევს მოსწავლეებს უკუკავშირს უშუალოდ სასწავლო აქტივობების დროს, ხოლო რეფლექსია საშუალებას აძლევს მათ, ინტროსპექტულად გააანალიზონ თავიანთი პროგრესი და გაიგონ და გაიაზრონ ის ამ უკუკავშირის საფუძველზე.

ლელა კოტორაშვილი

15 | **ამბები მასწავლებლის დღიურიდან**

მასწავლებლის ყოველდღიურობის მოკლე ჩანაწერებად ასახვა თვითრეფლექსიისა და დროის დაზოგვის მშვენიერი გზა აღმოჩნდა.

მაია მენაბდე

21 | **წერის კურსი მოზარდებისთვის**

როცა ბავშვსა და მოზარდზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კითხვის გამართვას პირდაპირ ებმის წერის უნარის განვითარებაც: რაც უფრო ლაღი და თავისუფალია კითხვისას ბავშვი, მით უფრო უადვილდება მას თავისი განცდილ-ნაფიქრ-ნააზრევის წერილობით გადმოცემა.

გიტა თვალაბეიშვილი

43 | **სასწავლო წლის პირველი დღე და ლიტერატურული პერსონაჟი სოციალურ ქსელში**

რესურსის მიზანი მხოლოდ ერთმანეთის გაცნობა და დაახლოება არ არის. პედაგოგებმა ის შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტისა თუ წიგნის დამუშავების დასკვნით ეტაპზე, პერსონაჟის ღრმად შესწავლის მიზნით.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

11 | **მასწავლებლის გავლენის ასპექტები**

გამოცდილება თვითონ მასწავლებელსაც ასწავლის ემოციის მართვას, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ემოციური დისბალანსის დაძლევას.

ნინო ლომიძე

26 | **ცხოვრების საზრისი როგორც დანიშნულების პუნქტი თუ... ძიება?**

დღეს მოზარდთა ფსიქოემოციური და სოციალური საჭიროებების ამოცნობა, მათი გაძლიერება, იმ სამარჯვების სწორად შერჩევა, რომლებიც ახალგაზრდებს სირთულეების გადალახვაში დაეხმარება, გადამწყვეტი მნიშვნელობისა მგონია.

27 ირმა ტაველიძე
ერიკ ვუიარის „დღის წესრიგი“ – რა ვისწავლეთ?

28 შორენა ტყეშელაშვილი
მხიარული გაკვეთილები კვებაზე სკოლებში, სადაც ბავშვებს შიათ

29 ირმა კახურაშვილი
თეთრი ფურცლის შიში

30 ინა იმედაშვილი
მოდი, მოვხსნათ ამ ჩვენს გუდას პირი და დავიწყოთ...

გამოცდილება

33 **ნათია უჩავა**
მასწავლებლის მოტივაცია
მასწავლებლის უდიდესი შრომის უკან ძალიან დიდი და ღრმა ემოცია იმალება. ამ გრძნობას ის ყოველთვის ჩუმად დაატარებს ენთუზიაზმის, საქმის სიყვარულის ხარჯზე, მაგრამ თუ დროდადრო არ მოხდა მისი შევსება, ის განილევა და ამოიწურება.

36 **თემურ სუყაშვილი**
მოქალაქეობის პროექტების განხორციელების პრაქტიკული მაგალითები
მასწავლებლებისთვის პროექტული სწავლება უცხო არ არის. სასწავლო პროცესში პროექტების ინტეგრირება წლების განმავლობაში ხდებოდა როგორც სამოქალაქო განათლების, ასევე სხვა საგნობრივ დისციპლინებშიც.

46 **მარიამ გოდუაძე**
უნივერსალური დიზაინი სენსორული დარღვევების დროს
სწავლების პროცესში უნივერსალური დიზაინი არის მიდგომა, რომლის მიზანიც მულტიმოდალური სასწავლო გარემოს ფორმირება, მოქნილი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა და, საბოლოოდ, მოსწავლეების წინაშე არსებული შემაფერხებელი ბარიერების აღმოფხვრაა.

50 **ნათელა ბაღათრიშვილი**
ენობრივი კომპეტენციების გაძლიერება ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე
CLIL საგნობრივი შინაარსისა და ენის სწავლების ინოვაციურ შერწყმას წარმოადგენს. ის „ორმაგი აქცენტების მქონე საგანმანათლებლო მიდგომაა, რომელშიც მეორე ენა გამოიყენება როგორც საგნობრივი შინაარსის, ისე ენის სასწავლად და სასწავლებლად.

განათლების ფსიქოლოგია

40 **ქეთევან ოსიაშვილი**
მოზარდისთვის სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნების ხელშემწყობი ფაქტორები
გვიყვარდეს ბავშვი, განურჩევლად იმისა, როგორ სწავლობს, გვიყვარდეს ისეთი, როგორიც არის, ვისწავლოთ მისი მცირე წარმატებების აღნიშვნა და ამ წარმატებებით გახარება. შესაძლოა, ასეთი მიდგომა მოზარდისთვის სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნების მნიშვნელოვან წინაპირობად იქცეს.

53 **ქეთევან კობალაძე**
შვილები – მშობლების მასწავლებლები
შვილების გაგების უნარი პირდაპირ უკავშირდება მშობლების მიერ საკუთარი თავის გაგების უნარს. უფროსებმა უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დანახვა ზუსტად ისეთებად, როგორებიც რეალურად არიან, თანაც ამ პროცესში აუცილებელია განვითარებისკენ სწრაფვა, რომ არ ჩამორჩნენ სწრაფი ტემპით განვითარებად შვილებს.

მაია ფირჩხაძე

განმავითარებელი შეფასება და რეფლექსია სწავლების დაწყებით საფეხურზე

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა განმავითარებელი შეფასების წინ წამოწევა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაა, ამიტომ სწავლების მეთოდიკაშიც მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. განმავითარებელი შეფასება არის საგანმანათლებლო შეფასების სახეობა, რომელსაც სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ გაგების მონიტორინგისთვის და პროგრესის შესაფასებლად იყენებენ.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა განმავითარებელი შეფასების წინ წამოწევა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაა, ამიტომ სწავლების მეთოდიკაშიც მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. განმავითარებელი შეფასება არის საგანმანათლებლო შეფასების სახეობა, რომელსაც სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ გაგების მონიტორინგისთვის და პროგრესის შესაფასებლად იყენებენ. განმავითარებელი შეფასების ძირითადი მიზანია მუდმივი უკუკავშირის მიწოდება როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვისაც სასწავლო სტრატეგიების კორექტირებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ცნობილია, რომ განმავითარებელი შეფასების ძირითადი მახასიათებლებია:

- **უწყვეტობა:** განმავითარებელი შეფასება არის არა ერთჯერადი მოვლენა, არამედ ერთიანი, უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესთან ერთად. ის ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების წარმოჩენას და მიუთითებს იმ ასპექტებზეც, სადაც მას დახმარება და მეტი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდება;
- **უკუკავშირი და მხარდაჭერა:** განმავითარებელი შეფასების მთავარი მიზანია მოსწავლისთვის დროული და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, რომლებიც გაუმჯობესებას მოითხოვს. მასწავლებლები ამ უკუკავშირს იყენებენ მოსწავლის საჭიროებებისთვის სწავლების სათანადო მეთოდების მოსარგებად და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;
- **შეფასების ფორმა:** განმსაზღვრელი შეფასებისგან განსხვავებით (ქულების გამოყენება საერთო მიღწევების შესაფასებლად), განმავითარებელი შეფასებისას აქცენტი დაისმის სწავლაზე, წინსვლაზე, პროგრესზე და არა საბოლოო ქულის მინიჭებაზე;
- **აღწერითი, მკაფიო ინსტრუქციები:** განმავითარებელი შეფასებებიდან მიღებულ ინფორმაციას მასწავლებელი იყენებს სწავლების სტრატეგიების, ტემპისა და შინაარსის ცვლილებისთვის, მოდიფიცირებისთვის, რათა უკეთ დააკმაყოფილოს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებები და შექმნას უფრო ეფექტური სასწავლო გარემო;
- **მოსწავლეთა ჩართულობა:** განმავითარებელი შეფასება აუცილებლად გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. ის გამოიხატება მოსწავლეთა თვითშეფასებით და თანატოლთა შეფასებით, დისკუსიებით და ვიქტორინებით, რეზიუმიერებით და სხვა სახის აქტივობებით, სადაც შესაძლებელი იქნება პროგრესის დემონსტრირება;
- **მრავალფეროვანი მეთოდები:** განმავითარებელი შეფასებისას ფართოდ გამოიყენება ვიქტორინა, დისკუსია-დებატები, საგაკვეთილო ინტერაქციული აქტივობები და ა.შ. მეთოდები ორიენტირებულია საგნობრივ მოთხოვნებზე, კლასის მიღწევებსა და სასწავლო მიზნებზე.

განმავითარებელი დავალებების შესრულებისას აქტიურად გამოიყენება ტექსტთან დამოუკიდებლად მუშაობის სხვადასხვა სტრატეგია:

- კითხვა-პასუხის რეჟიმი (პასუხი კითხვებზე: რატომ? როგორი? რანაირი? – და ა.შ.)
- დაასახელე...
- გამოყავი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები...
- მოიყვანე არგუმენტი...
- სხვადასხვა ხასიათის შემოქმედებითი პროექტები...
- კროსვორდები, რებუსები...
- შეცდომების შემცველი ტექსტები...
- შედარების ცხრილები და სხვ.



დავალებები შეიძლება იყოს ამ ტიპის:

ა) **შეადგინეთ** კროსვორდი ძირითად ცნებებზე დაყრდნობით:
- „მეურნეობის დარგები“, „გეოგრაფიული გარემო“, „კლიმატი“, „მეზობელი რეგიონები“, „ბუნებრივი რესურსები“...

ბ) **ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაში „ჩვენი საქართველო“**: მოსწავლეები იმეორებენ თარიღებს, ცნებებს, მოვლენებს, ფაქტებს, ისტორიული შინაარსის ცნობებს. შემდეგ ინტერესების მიხედვით იყოფიან ჯგუფებად:
- ერთი ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას, წარმოდგენას ან ვიზუალურ მასალას (რუკა, გერბი, დროშა...);
- მეორე – რამე ნაკეთობას „ძველი ქართველი ოსტატების მსგავსად“;
- სხვები გაითამაშებენ თეატრალიზებულ წარმოდგენას საქართველოს ისტორიული ყოფისთვის დამახასიათებელ რომელიმე თემაზე და ა.შ;

გ) **შეიძლება სათამაშო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებაც**, რომლებშიც კომპლექსურად იქნება გამოყენებული განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა მიდგომა, მაგალითად, „ჩვენი საქართველოს“ მიმართულებით მარტივი ინტერაქციული სახალისო დავალებები:

https://shorturl.at/oFW68

https://shorturl.at/iqTWZ

https://shorturl.at/bfpW9

https://shorturl.at/ijrsA

https://urlis.net/iifex7af

https://t.ly/ABH06

https://t.ly/LyX3I

https://t.ly/MLCVp

https://t.ly/vXCVq

https://t.ly/0SKSn

გ) ადაპტირებული დავალებები:

- მოამზადეთ პატარა დავალებები მოცემულ თემაზე (სუსტი მოსწავლისთვის);
- დაწერეთ ესე მოცემულ თემაზე (ყველასთვის);
- მოამზადეთ პრეზენტაცია გაკვეთილის თემის მიხედვით და წარმოადგინეთ კლასის წინაშე;
- შეადგინეთ კროსვორდი (ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის პასიური მოსწავლეებისთვისაც);
- მოამზადეთ პორტრეტი-ამოცანა (ყველასთვის) და სხვ.

განმავითარებელი შეფასება გადამწყვეტ როლს ასრულებს უფრო ეფექტური და პერსონალიზებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობაში. ის ეხმარება პედაგოგებს პრობლემების გამოვლენაში, იდენტიფიცირებასა და მიზნის შესაბამისი სწავლის მეთოდების ადაპტირებაში, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შანსს, თვალყური ადევნონ საკუთარ საქმიანობას, გაიგონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და ისწავლონ, „როგორ მიაღწიონ პროგრესს“.

მაგრამ განმავითარებელი გარემოს შესაქმნელად აუცილებელი პირობაა რეფლექსია. ის ეხმარება მოსწავლეს შედეგების დანახვაში, კორექციასა და სამომავლო გეგმის შედგენაში. ორივე მიდგომის ეფექტურად გამოყენება კი შესაძლებელს ხდის ყველა იმ მიზნის მიღწევას, რომლებსაც თანამედროვე განათლების სისტემა ემსახურება.

მეორე ნაწილი

განმავითარებელი შეფასების წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელი პირობაა მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების გააქტიურება. ამისთვის მასწავლებელი აუცილებლად მიმარ-



თავს კრიტიკული აზროვნების მრავალფეროვან ტექნოლოგიებს. ერთ-ერთ ეტაპს თავისთავად წარმოადგენს რეფლექსია.

რეფლექსია გამოცდილების, მოვლენის, სიტუაციის ან თემის შესახებ ღრმა და გააზრებული ფიქრის აქტია. ამ დროს ადგილი აქვს ინტროსპექციას, აზრების, გრძნობებისა და მოქმედებების კრიტიკულ გამოკვლევას; ეს არის სწავლისა და პიროვნული ზრდის საშუალება, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანებს შეუძლიათ, გააცნობიერონ თავიანთი გამოცდილება და შეაფასონ საკუთარი თავი. შესაბამისად, რეფლექსიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- **ინტროსპექტივა** (ლათ. „ვიხედები შიგნით"): ის გულისხმობს „შინაგან ხედვას" და კონკრეტული მოვლენისა თუ გამოცდილების შესახებ საკუთარი აზრების, ემოციებისა და რეაქციების შემოწმებას. ის უბიძგებს ინდივიდებს, გამოიკვლიონ თავიანთი შინაგანი სამყარო, თვითშეგნება, უშუალოდ დააკვირდნენ თავიანთ ცნობიერს; ეს არის თვითდაკვირვების, საკუთარი აზრების იდენტიფიცირებისა და აღქმის გზა;
- **გააზრებული ჭვრეტა:** ეს არ არის მოვლენების მხოლოდ ზედაპირული გახსენება – გამოცდილების გააზრებული და ღრმა ჭვრეტაა. ის გულისხმობს დაფიქრებას სიტუაციის სხვადასხვა ასპექტსა და შედეგებზე, მათ გაანალიზებას და შესწავლას;
- **ანალიზი და შეფასება:** როდესაც ინდივიდი აანალიზებს თავისი ქმედების, ქცევისა და გადაწყვეტილების მიზეზებს, ის ასევე აფასებს თავის არჩევანს და განიხილავს ალტერნატიულ მიდგომებსაც, რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებული და გაზიარებული ყოფილიყო;
- **სწავლა და ზრდა:** რეფლექსია სწავლისა და პიროვნული ზრდის ძლიერი ინსტრუმენტია. გამოცდილების ასახვით, წარმოჩენით, ინდივიდს შეუძლია ისწავლოს საკუთარი წარმატებებისა და შეცდომების მაგალითზე, უკეთ ჩამოაყალიბოს მომავალი გადაწყვეტილებები;
- **თვითშემეცნება:** რეფლექსიის საშუალებით ინდივიდი უფრო მეტად აცნობიერებს საკუთარ თავს, უფრო ღრმად ხედავს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ღირებულებებს, რაც პიროვნული განვითარებისა და პოზიტიური ცვლილებების საფუძველია;
- **პრობლემის გადაჭრა:** რეფლექსია წარმოგვიდგება როგორც პრობლემის გადაჭრის ტექნიკა, რომლის საფუძველიც წარსული გამოცდილებაა;
- **ცოდნის გამოყენება:** რეფლექტორული აზროვნება საშუალებას აძლევს ინდივიდს, დაუკავშიროს თავისი გამოცდილება არსებულ ცოდნასა და თეორიებს. წინარე ცოდნისა და ახალი გამოცდილების ეს ინტეგრაცია აძლიერებს მასალის გაგებისა და გაცნობიერების დონეს;
- **კონტექსტუალიზაცია:** რეფლექსია ეფუძნება გამოცდილების ფართო კონტექსტს, რომელშიც აირეკლება გარე ფაქტორებისა და სხვადასხვა სიტუაციის გავლენა როგორც ინდივიდზე, ისე გარემომცველ სამყაროზე.

რეფლექსია ძირითადად წერილობითი და ზეპირი ფორმით ხორციელდება, მაგრამ არის კიდევ ერთი საინტერესო გზა – ფიქრის გზა: რამდენიმე წამით დაფიქრება საკუთარ გამოცდილებაზე. პედაგოგები ხშირად მიმართავენ ამ გზას მოსწავლეთა შედეგებისა და ემოციური ინტელექტის გასაუმჯობესებლად. მთავარია, რომ ინდივიდს შეუძლია, რეფლექსიით თავიის გამოცდილების, უწყვეტი სწავლისა და პროგრესის მნიშვნელობა დაინახოს, რისი წყალობითაც შემდგომ გადასადგმელი ნაბიჯებიც უფრო ცხადი გახდება.

საზოგადოდ, **რეფლექსია და განმავითარებელი შეფასება ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, მაგრამ, როგორც წესი, სასწავლო პროცესთან მიმართებით მათ სხვადასხვა კონტექსტში განიხილავენ. სახელდობრ, რა ურთიერთმიმართება არსებობს ამ ორ ცნებას შორის?**

I – უპირველესად, ეს არის მიზანი: რეფლექსია პირადი და ინტროსპექციული პროცესია, როდესაც ინდივიდი უღრმავდება თავის გამოცდილებას, აზრებს, ემოციებსა და ქმედებებს. ის მიზნად ისახავს საკუთარი სწავლის, ზრდისა და გამოცდილების გააზრებას და გაცნობიერებას; განმავითარებელი შეფასება კი საგანმანათლებლო შეფასების ინსტრუმენტია, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სწავლის პროგრესისა და გაგების მონიტორინგის შესაფასებლად. მისი უპირველესი მიზანია, უზრუნველყოს მუდმივი უკუკავშირი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად;

რეფლექსია და განმავითარებელი შეფასება საგანმანათლებლო პროცესში ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. განმავითარებელი შეფასება აძლევს მოსწავლეებს უკუკავშირს უშუალოდ სასწავლო აქტივობების დროს, ხოლო რეფლექსია საშუალებას აძლევს მათ, ინტროსპექტულად გააანალიზონ თავიანთი პროგრესი და გაიგონ და გაიაზრონ ის ამ უკუკავშირის საფუძველზე.

II – დროის განაწილება: რეფლექსია შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს, გამოცდილების ან სასწავლო აქტივობის დაწყების წინ, მის დროს ან მის შემდეგ; განმავითარებელი შეფასება კი მუდმივი და უწყვეტი შეფასებაა, რომელიც სწავლის თანმხლები პროცესია და მიმდინარე აქტივობებთან ერთად მიმდინარეობს;

III – ფოკუსირება: რეფლექსია ფოკუსირებულია ინდივიდის აზრებზე, ემოციებსა და თვითშეგნებაზე. ის ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, საკუთარი გამოცდილებისა და პიროვნული ზრდის ღრმად გააზრება-გაცნობიერებას; განმავითარებელი შეფასება კი მოსწავლეთა სასწავლო პროგრესის მონიტორინგზე, შეფასებაზე, კონკრეტული სასწავლო მიზნების გააზრებასა და შესაბამისი პრობლემების იდენტიფიცირებაზეა აქცენტირებული;

IV – როლები/ფუნქციები: რეფლექსია ხშირად არის თვითმართული პროცესი, როცა ინდივიდები აფასებენ საკუთარ გამოცდილებასა და მოქმედებებს. ის შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მაგრამ მთავარი მონაწილე მაინც რეფლექსიაში ჩართული ინდივიდია; განმავითარებელი შეფასება კი მოიცავს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებსაც. მასწავლებლები მოსწავლის სწავლის შესაფასებლად შეიმუშავებენ განმავითარებელ შეფასებას, ხოლო მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ამ უკუკავშირის განხორციელებაში;

V – შედეგები: რეფლექსიის შედეგია პიროვნული პოტენციალის, გამჭრიახობისა და თვითშეგნების ზრდა-ამაღლება, განმავითარებელი შეფასების შედეგი კი გახლავთ უკუკავშირი, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას. მაგრამ ორივე შემთხვევაში მასწავლებლები იყენებენ შედეგებს თავიანთი ინსტრუქციების შესასწორებლად, ხოლო მოსწავლეები – გაგების აქტისა და მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამგვარი **მიდგომით, რეფლექსია არის პერსონალური და ინტროსპექციული პროცესი, რომელშიც ინდივიდები ერთვებიან თვითშემეცნებისა და გაგების მოსაპოვებლად, ხოლო განმავითარებელი შეფასება საგანმანათლებლო შეფასების ინსტრუმენტია, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სწავლის პროცესში მოსწავლეთა სწავლის პროგრესის შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად. ორივე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური სწავლისა და ზრდის ხელშეწყობაში, მაგრამ მოქმედებს სხვადასხვა დონეზე და განსხვავებული მიზნებით.**

რეფლექსიისა და განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის გამო საინტერესოა იმაზე დაფიქრება, მაინც რით გამოიხატება მათ შორის კავშირი; როგორ გამოიყენონ ეს კავშირები დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა; რა ფორმით გამოხატონ; როგორია ყველაზე მარტივი, მოქნილი მიდგომები.

ტრადიციულ გაკვეთილზე რეფლექსიას ძირითადად მიმართავენ ბოლოს, III ეტაპზე, როდესაც ხდება ნასწავლი მასალის გააზრება ახალ კონტექსტში. ამ დროს ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა მასწავლებლის მიერ რეფლექსიის ისეთი ფორმების გამოყენება, რომლებიც ეყრდნობა ადამიანის საქმიანობის ოთხ ძირითად სფეროს:

- ფიზიკურს (აქტივობა: მოვასწარი/ვერ მოვასწარი);
- სენსორულს (შეგრძნება: კომფორტულია/არაკომფორტულია);
- ინტელექტუალურს (დაფიქრება: რა გავიგე/რა ვერ გავიგე – რა სირთულეები განვიცადე);
- ემოციურს/სულიერს (გავხდი უკეთესი/უარესი, რაღაც შევმატე/ დავაკელი საკუთარ თავს).

ამ ეტაპს არის მიბმული რეფლექსიის კლასიფიკაციაც:

- განწყობისა და ემოციური მდგომარეობის რეფლექსია;
- საქმიანობის რეფლექსია;
- სასწავლო მასალის შინაარსის რეფლექსია.

რეფლექსიის ნიმუშები

განწყობისა და ემოციური მდგომარეობის რეფლექსია

- **ადამიანის ემოციური მდგომარეობის გამომსახველი ბარათების** გამოყენება (მხიარული... მოწყენილი...);
- მოწონების ნიშნად ცერა თითის ჩვენება – „ზემოთ“, „ქვემოთ“;
- „მზე“ – გამომივიდა, „მზე და ღრუბელი“ – ნაწილობრივ გამომივიდა, „ღრუბელი“ – არ გამომივიდა;

- **„მხიარული ჯუჯა“** – ყველაფერი კარგადაა, „მოწყენილი ჯუჯა“ – არ გამოვიდა;
- **კითხვები:** ვიგრძენი, რომ..., საინტერესო იყო..., გამაოცა..., გაკვეთილზე მუშაობით მე..., მე მომინდა..., ყველაზე უკეთ გამომივიდა..., ჩემი განწყობილება..., მაიძულა, მეფიქრა..., მაიძულა განზოგადება..., შეგვიძლია, შევაქოთ თანაკლასელები...

საქმიანობის რეფლექსია ძირითადად გვხვდება საშინაო დავალების შემოწმების, პროექტული საქმიანობის დასკვნით და გაკვეთილის ბოლო ეტაპებზე. ის ხელს უწყობს მიზნის მიღწევის გზებისა და მეთოდების გააზრებას, მათ შორის ყველაზე რაციონალურის პოვნას, ინდივიდუალური წვლილის წარმოჩენას დავალების შესრულებაში. მაგალითად, ამ მიზნით დაწყებით საფეხურზე ძირითადად იყენებენ მარტივი ფორმის სქემებს:

- **„წარმატების კიბე“**: ქვედა საფეხურზე „კაცუნას“ ხელები აქვს დაშვებული – არაფერი გამოვიდა; შუა საფეხური – „კაცუნას“ ხელები განზე აქვს გაშლილი – გამიჭირდა, ზედა საფეხური – „კაცუნას“ ხელები მაღლა აქვს აწეული – ყველაფერი გამომივიდა;
- **„წარმატების ხე“**: მწვანე ფოთოლი – „დავალება შეცდომების გარეშე“, ყვითელი ფოთოლი – „1 შეცდომა“, წითელი ფოთოლი – „2-3 შეცდომა“;
- **„მატარებელი“**: დაფაზე მიმაგრებულია მატარებელი ვაგონებით, რომლებზეც მითითებულია გაკვეთილის ეტაპები. ბავშვებს სთავაზობენ, ვაგონებში განათავსონ „ემოციები“, რომლებიც დავალებასთან დაკავშირებულ განწყობას გამოხატავს: „მხიარული სახე“ – საინტერესო იყო, „სევდიანი სახე“ – უინტერესო იყო;
- **„მინდორი“**: დაფაზე განთავსებულია „ყვავილოვანი მინდორი“, ყოველი ყვავილი გაკვეთილის ეტაპებს შეესაბამება (ტექსტთან მუშაობა, ფონეტიკური სავარჯიშოები და ა.შ.). იქვეა „პეპელაც“ – მოსწავლე ამაგრებს პეპელას იმ ყვავილზე (გაკვეთილის ეტაპზე), რომელიც ყველაზე მეტად მოეწონა;
- **კითხვები:** მე გამომივიდა..., მე ვისწავლე..., დღეს გაკვეთილზე მე შევძელი..., გაკვეთილმა მომცა..., გაკვეთილის დროს მე...

იგივე მიდგომები მასწავლებელმა შეიძლება არა მარტო გაკვეთილის, არამედ თემის გავლის და, საზოგადოდ, ნებისმიერი აქტივობის შესრულების დროს გამოიყენოს.

სასწავლო მასალის შინაარსის რეფლექსია

- **ე.წ. „რობინის რაუნდი“**: წრედ მსხდომი მოსწავლეები წარმოთქვამენ ერთ წინადადებას, ფრაზის დასაწყისს კი არჩევენ დაფაზე განთავსებული „რეფლექსიური ეკრანიდან“: „დღეს გავიგე..., საინტერესო იყო..., ძნელი იყო..., ვასრულებდი დავალებებს..., მივხვდი, რომ..., ახლა შემიძლია..., ვგრძნობდი, რომ..., მე შევიძინე..., ვისწავლე..., მოვახერხე..., შემეძლო..., ვცდი..., გამიკვირდა..., მომცა პრაქტიკული მაგალითი..., მინდოდა..., მნიშვნელოვანი მომეჩვენა..., გაკვეთილის მასალა ჩემთვის იყო..., ახლა შემიძლია..., ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ...;
- **„პლუს-მინუს-საინტერესოა“** (ავტორი – ედუარდ დე ბონო) – შეჯამებისთვის მოსწავლე წერილობით/ზეპირად ჩამოთვლის ყველა „პლუსს“ (რაც მოეწონა, მისაღები იყო მისთვის, ემოციური იყო), ყველა „მინუსს“ (რაც რთული, გაუგებარი, უსარგებლო აღმოჩნდა) და ყველა „საინტერესო“ საკითხს (ასევე იმასაც, რისი ინტერესიც გაუჩნდა საკითხის შესწავლის დროს);
- **„სინქვეინი“** (ავტორი – ამერიკელი პოეტი ადელაიდა კრეპსი): I ხაზზე იწერება თემის განსაზღვრა; II ხაზზე წერია ორი ზედსართავი სახელი; III ხაზზე სამი სიტყვით არის ასახული ქმედება; IV ხაზზე ზედსართავი სახელის განმარტებაა ოთხი სიტყვით; V ხაზზე დახასიათებაა ხუთი სიტყვით; VI ხაზზე არსებითი სახელია, რომელიც თემის შვიდივე ხაზს აერთიანებს. ნიმუშად იხ. სურ. 1:

სურ. 1

სინქვეინი	მოსწავლის პასუხი
ჩვენი საქართველო, VI კლასი	• საქართველო XI საუკუნეში • იოანე მარუშისძე; • ჭკვიანია, გონიერი, მიზანსწრაფული • მოაგვარებს პრობლემას, იბრძვის, ფიქრობს, აანალიზებს; • მან ხელი შეუწყო ქვეყნის გაერთიანებას; • ყოჩაღ!

„ინსერტი“, რომელიც ივსება ეტაპობრივად. ნიმუშად იხ. სურ.2:

სურ.2.

I – interactive	ინტერაქტიული	() - მისთვის ნაცნობი მასალა
N – noting	დიალოგის ფორმის	(+) - ის, რაც ახალია
S – system	სისტემური მონიშვნა	(-) ის, რაც წინააღმდეგობაშია არსებულ ცოდნასთან, ანუ „სხვაგვარად ვფიქრობდი“
E – effective R – reading & T – thinking	ეფექტური კითხვისა და გააზრებისთვის	(?) - ის საკითხები, რომელთა შესახებაც, სურს, მეტი იცოდეს, ანდა ისინი, რომლებიც ვერ გაიგო, ანუ „არის კითხვები“

„კლასტერი“ – ურთიერთდაკავშირებული ცნებების ფიქსაცია. ის შეიძლება წინასწარ გაამზადოს მასწავლებელმა და მასში მონიშნოს მხოლოდ შემაჯამებელი ფრაზის ადგილი. ნიმუშად იხ. სურ. 3:

სურ.3.



„შეჯამების ბარათები“: ნიმუშად იხ. სურ. 4, 5:

სურ.4.

ვიცოდი	გავიგე	მინდა ვიცოდე
საქართველოში არის კავკასიის მთები.	კავკასიის მთები ამ რეგიონში ყველაზე მაღალი ყოფილა.	უახლოესი მაღალი მთები კიდევ სად არის?

სურ. 5

და ა.შ.

იგივე მიდგომები მასწავლებელმა წარმატებით შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების დროსაც.

რეფლექსია და განმავითარებელი შეფასება საგანმანათლებლო პროცესში ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. განმავითარებელი შეფასება აძლევს მოსწავლეებს უკუკავშირს უშუალოდ სასწავლო აქტივობების დროს, ხოლო რეფლექსია საშუალებას აძლევს მათ, ინტროსპექტულად გააანალიზონ თავიანთი პროგრესი და გაიგონ და გაიაზრონ ის ამ უკუკავშირის საფუძველზე.

ორივე პროცესის წარმართვა მასწავლებლისა და მოსწავლის კონსტრუქციულ ურთიერთობას გულისხმობს. როგორც მაიკლ ბარბერი, განათლების საკითხებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის მრჩეველი მიუთითებდა, „მასწავლებლები გულდასმით გამოამუშავებინებენ მოსწავლეებს იმ უნარებს, რომლებიც მათი წარმატების პირობაა“.

საკითხის ღრმად შესწავლა გვიჩვენებს, რომ „უნარები“ პირობითი ცნებაა ან, უფრო ზუსტად, „კრებითი ცნება“, რადგან თავად უნარის გამომუშავების პროცესია ისე გააზრებული, რომ შეიძლება, ხმამაღლა ვთქვათ: თანამედროვე მასწავლებელი აღარ არის უბრალოდ ცოდნის გადამცემი, ის აღარც მხოლოდ ფასილიტატორია. ის წარმოგვიდგება უფრო როგორც „აქტივატორი“, რომელიც, ჯონ ჰეტის სიტყვებით, „არის ის, ვინც ზემოქმედებს მოსწავლის ამბიციაზე, პროვოცირებას უწევს მის აზრებს, უსვამს მნიშვნელოვან, საჭირო კითხვებს, უპირისპირდება რეალობას და აიძულებს, მიიღოს მის წინაშე არსებული გამოწვევად“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი,** „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018
2. გიორგი ნოზაძე, „კვალიფიციური საკლასო შეფასების ინდიკატორები“ http://mastsavlebeli.ge/uploads/nozadze.pdf
3. Sir Michael Barbe. How could and should schooling look in 2030. https://urlis.net/1zcx0mkx
4. რეფლექსია და სასწავლო პროცესი http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/firchxadze%20-%20refleqsia%20da%20saswavlo%20procesi%201.pdf
5. მაია ფირჩხაძე, „კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ტექნოლოგია და სტრატეგია“http://mastsavlebeli.ge/uploads/kritikuli%20azrovnebis%20ganvitarebis%20zogierti%20teqnologiebi%20da%20strategiebi.pdf
6. მაია ფირჩხაძე, „მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის აქტივაცია სწავლების მეორე საფეხურზე“. ბმული მითითებულ დროზე: http://mastsavlebeli.ge/?p=1653

მაია ჯალიაშვილი

მასწავლებლის გავლენის ასპექტები

გამოცდილება თვითონ მასწავლებელსაც ასწავლის ემოციის მართვას, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ემოციური დისბალანსის დაძლევას.

მოზარდზე ბევრი რამ ახდენს ემოციურ თუ ინტელექტუალურ გავლენას. მათ შორის, რა თქმა უნდა, პედაგოგიც. არაერთი მაგალითი ვიცით ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან, როცა მათი ცხოვრებისეული არჩევანი დიდწილად სწორედ ამა თუ იმ მასწავლებლის მიბაძვამ განაპირობა. ეს გავლენა, რასაკვირველია, არ არის ყოველთვის პირდაპირი და უშუალო. პედაგოგი წინასწარ ვერც იმას განსაზღვრავს, რომელ მოსწავლეზე როგორ ემოციურ გავლენას მოახდენს. მაშასადამე, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისმა ქცევამ, ჟესტ-მიმიკამ თუ ხმის ტონალურმა გრადაციებმა შეიძლება გარკვეული ემოციური ზემოქმედება მოახდინოს მოსწავლეზე და, შესაბამისად, ან ხელი შეუწყოს მას, ან დააბრკოლოს სწავლისა და შემეცნების გზაზე.

საზოგადოდ, მოსწავლეების სიყვარული სწავლების პროცესის მამოძრავებელია, ამასთანავე, დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაცაა. პედაგოგმა უნდა შეძლოს და არა მხოლოდ უანგაროდ, ხშირად უპასუხოდაც შეიყვაროს მოსწავლე, არამედ სრული გულგრილობის, ხანდახან სიძულვილის ბარიერიც გადალახოს და საკლასო სივრცის უარყოფით ენერგიას თავისი სიკეთის უშურველი, ბნელის სინათლედ გარდამქმნელი ძალა შეაგებოს. ამგვარად უნდა დაძლიოს თავისივე შინაგან სამყაროში წარმოშობილი დაეჭვების რთული და ნაირგვარი წინააღმდეგობაც. სხვა შემთხვევაში, ის არჩევანის სისწორეზე უნდა დაფიქრდეს და სხვა საქმე მოძებნოს, რათა ტანჯვა-წამებად არ ექცეს არა მხოლოდ გარე და უცხო სამუშაო სივრცის, არამედ საკუთარ სულიერ სამყაროში მომრავლებულ შიშის დემონებთან ბრძოლა. ამ შიშს კი უსუსურობის, პრობლემებთან ვერგამკლავების შეგრძნება წარმოშობს. „შენ ვერავის შეასწავლი წერა-კითხვას, ვიდრე თვითონ არ ისწავლი მას. მით უმეტეს, ეს ითქმის სიცოცხლის შესახებ“, – წერს მარკუს ავრელიუსი თავის ცნობილ მედიტაციურ ჩანაწერებში „ფიქრები“. სიცოცხლის სწავლა კი ურთულესია ყოველივე იმისგან, რასაც ადამიანი შეიმეცნებს. სიცოცხლის სწავლა გულისხმობს სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის როგორც არსებობის ფერადოვნების განმაპირობებლის მიღებას. „სიძულვილი უფრო იოლია, ვიდრე სიყვარული“, როგორც ჯემალ ქარჩხაძე წერს მოთხრობაში „ანტონიო და დავითი“. მასწავლებელმა ჯერ თვითონ უნდა ისწავლოს, როგორ უყვარდეს და მერე მოსწავლეებსაც გაუკვალოს აქეთ გზა, რადგან სიყვარულის გზა არასოდეს მთავრდება. „ჰამლეტის“ ერთ ეპიზოდში, რომელშიც აღწერილია მოხეტიალე მსახიობთა დასის სტუმრობა ელსინორის სასახლეში, პოლონიუსი ეუბნება ჰამლეტს: „მე ისე მივიღებ მაგათ, ხელმწიფის შვილო, როგორც ეკადრებათ“. დანიის უფლისწული კი სტუმარმასპინძლობისთვის სრულიად ჩვეულებრივ ამ წინაპირობას განსხვავებული რაკურსით შეგვახედებს. იგი ეუბნება პოლონიუსს: „უცნაურს ამბობ; ბევრად უკეთესად უნდა მიიღო. ყველას რომ ისე მოექცე,

როგორც ეკადრება, არავის ასცდება გამათრახება. შენის სახელისა და ღირსების კვალობაზედ უნდა დაუხვდე მაგათ. რაც უფრო ნაკლების ღირსნი არიან, შენი სიკეთე მით უდიდესი გამოჩნდება“ (ივანე მაჩაბლის თარგმანი). პედაგოგისთვისაც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანისთვის, ჰამლეტის ამ სიტყვებში მორალურ-ზნეობრივი ქცევის მთავარი პრინციპია ჩამოყალიბებული – ყველას უნდა მოექცე არა მათი, არამედ შენი ღირსებისამებრ.

ქცევის ამგვარი მაგალითი (განსაკუთრებით მაშინ, როცა უდისციპლინო მოსწავლეს თავისი არაადეკვატური, უგუნური მოქმედებით პროვოკაციულად გამოჰყავს მასწავლებელი წყობიდან) რაც უფრო ხშირად გამეორდება გაკვეთილზე, რა თქმა უნდა, მით უფრო დიდ გავლენას მოახდენს მოსწავლეებზე. ეს პედაგოგისგან დიდ სიმტკიცესა და ნებისყოფას მოითხოვს, რომელიც, თავის მხრივ, სწორედ ამგვარი გამოწვევების შედეგად გამოიწრთობა.

მასწავლებელმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლეზე:

- ჩაცმის სტილით, ელეგანტურობით, გარეგნობაზე ზრუნვის ზომიერებით;
- მეტყველების კულტურით, დახვეწილობით;
- თავშეკავებულობით, მოთმინების უნარით;
- ჟესტ-მიმიკით;
- ხმის ტონალობით;
- შეხედულებებით;
- იუმორის გრძნობით;
- სტერეოტიპებისადმი თავისუფალი დამოკიდებულებით;
- ცოდნა-განათლებით;
- ინტერესებით.

ეს სია კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა. რა თქმა უნდა, ჩამონათვალი პირობითია. მოსწავლესაც ისეთივე სუბიექტური მზერა აქვს, როგორიც ნებისმიერ სხვა ადამიანს, ამიტომ მისთვის შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მასწავლებლის მკაფიოდ შესამჩნევი ხასიათის თვისება ან გარეგნული მახასიათებელი, სამაგიეროდ, ისეთი მცირე ნიუანსი თუ დეტალი შეამჩნიოს მისი ბუნებისა, რომელსაც პედაგოგი საგანგებოდ ნიღბავს.

ემოციურ გავლენას ზოგჯერ პედაგოგი სხვადასხვა სასკოლო აქტივობისთვის იყენებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ზომიერება მართებს. მაგალითად, ბრუკლინელი მასწავლებელი ემილი კაპლანი ერთ საინტერესო გამოცდილებას იხსენებს – თავისდა უნებურად როგორ „აიძულა“ მეორეკლასელები, ეტირათ. მაშინ ის ახალბედა მასწავლებელი იყო და მცირე გამოცდილების გამო უნებლიე შეცდომები ხშირად მოსდიოდა. მას საგაკვეთილო გეგმაში ჰქონდა იდეების მოდელირება. წერის სწავლებისთვის დეტალებზე უნდა დაეფიქრებინა მოსწავლეები. მან ურჩია ბავშვებს, გრძნობის გულწრფელად გამოსახატავად გაეხსენებინათ ცხოვრების ის წუთები, როდესაც ბედნიერები ან მოწყენილები, გაბრაზებულები ან გახარებულები იყვნენ, მაგალითად კი საკუთარი გამოცდილება მოიყვანა: უთხრა, რომ კარგად ახსოვდა, როგორ ეტკინა გული, დანაღვლიანდა, მოიწყინა, როდესაც გაიგო, რომ ბებია მოუკვდა. შესაბამისი ჩანაწერიც გააკეთა: „ბებია გარდაიცვალა. მოწყენილი ვარ“. შემდეგ გააგრძელა, რომ დაწვრილებით დაწერდა ამ ამბის შესახებ, აღწერდა ცრემლებით სავსე თვალებს, იმას, თუ როგორ ეფერებოდა კატას ნაღვლიანი. ბავშვები უჩვეულოდ დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ. მოულოდნელად ერთმა მოსწავლემ ჩუმად თქვა: „პაპაჩემი გარდაიცვალა“. ეს ბავშვი თითქმის ყოველთვის ჩუმად იჯდა, ახლა კი მასწავლებლის გაკვირვებულ, კითხვით სავსე მზერას შეაგება მთრთოლვარე ხმით წარმოთქმული პასუხი: „მას ესროლეს და მოკლეს“. დუმილი ჩამოვარდა. მასწავლებელმა დაინახა, როგორ ჩამოსდიოდა მოსწავლეს სახეზე ცრემლები წვრილ ნაკადულად. მან სცადა, მოულოდნელად უარყოფითად დამუხტული სიტუაცია თანაგრძნობის გამოხატვით განემუხტა და გაკვეთილი გაეგრძელებინა, მაგრამ კლასში ახლა გოგონას ხმა გაისმა: „ბაბუაჩემი კიბოთი გარდაიცვალა“. მის მიმართაც თანაგრძნობა გამოხატა მასწავლებელმა და რომ ეგონა, შვებით ამოისუნთქა, კლასი ახმაურდა. ერთმა თქვა, რომ მისი დეიდაშვილის შვილი დაბადებამდე მოკვდა, მეორემ - დეიდა გარდამეცვალაო, მესამემ, მეოთხემ... ყველას აღმოაჩნდა ტკივილიანი გასახსენებელი. მალე კლასში თავშეუკავებელი ტირილის ხმა გაისმა, თითქოს ერთმანეთისგან გადაედოთო. ერთი ყველაზე მგრძნობიარე აცრემლებული ბავშვი კი ოთახის კუთხეში დაჯდა და თავი მუხლებში ჩარგო. ცრემლების ღვარღვარში მასწავლებელი მიხვდა, რომ მისმა გემმა

ზღვაში გეზი დაკარგა. ზარის დარეკვამდე მათ დამშვიდებას მოუნდა.

ეს ამბავი ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის შეიძლება იქცეს განსახილველ საქმედ, ე.წ. ქეისად. მსჯელობისთვის სასურველია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- ქეისის „ჟანრის“ განსაზღვრა (ამ შემთხვევაში – მასწავლებლის ემოციური ზეგავლენა მოსწავლეზე, ემოციური ინტელექტის როლი სასწავლო პროცესში);
- პრობლემის იდენტიფიცირება; რამ გამოიწვია გაკვეთილის ჩაშლა?
- რა იყო პრობლემის გამომწვევი მიზეზი? (რა შეცდომა დაუშვა მასწავლებელმა?)
- პრობლემის გადაჭრის გზა (რა უნდა გაეკეთებინა მასწავლებელს პრობლემის მოსაგვარებლად?).

ფსიქოლოგი ქეთევან ოსიაშვილი სტატიაში „ემოციური ინტელექტი – მისი როლი და მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში“ (https://mastsavlebeli.ge/?p=24436)ემოციური ინტელექტის ძირითად კომპონენტებზე საუბრობს.ესენია:



- **თვითცნობიერება** – ადამიანის უნარი, სწორად გაიგოს საკუთარი ემოციები, შეაფასოს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, განსაზღვროს მიზნები და ცხოვრებისეული ღირებულებები;
- **თვითრეგულაცია** – ემოციების კონტროლისა და იმპულსების შეკავების უნარი;
- **მოტივაცია** – მიზნისკენ სწრაფვის უნარი თავად მისი მიღწევის ფაქტის გამო;
- **ემპათია** – იმ ემოციების გაგების უნარი, რომლებსაც განიცდიან გარშემო მყოფები, გადაწყვეტილების მიღებისას სხვა ადამიანების გრძნობების გათვალისწინების, თანაგანცდის უნარი;
- **სოციალური უნარ-ჩვევები** – ადამიანებთან ურთიერთობისა და მათი ქცევის სასურველი მიმართულებით წარმართვის უნარი.

მოზარდზე ბევრი რამ ახდენს ემოციურ თუ ინტელექტუალურ გავლენას. მათ შორის, რა თქმა უნდა, პედაგოგიც. არაერთი მაგალითი ვიცით ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან, როცა მათი ცხოვრებისეული არჩევანი დიდწილად სწორედ ამა თუ იმ მასწავლებლის მიბაძვამ განაპირობა.

თავად ემილი კაპლანს ისე ღრმად ჩაებეჭდა მეხსიერებაში ეს გაკვეთილი, რომ წლების შემდეგაც ვერ ივიწყებდა, ამიტომ ცდილობდა, გაერკვია, ერთი მხრივ:

- იყო თუ არა დამნაშავე იმაში, რომ მოსწავლეები ატირდნენ?
- რა ინფორმაცია მიაწოდა მან თავისი სიტყვებით, ქმედებით, რეაქციით?
- ასაკის გაუთვალისწინებლობა ხომ არ იყო მიზეზი?

მეორე მხრივ, ამან ასწავლა, რომ სასწავლო პროცესში „გულის“ ჩართვით შეიძლება დასახული ამოცანების განხორციელება. მართლაც, ეს შეიძლება იყოს კიდევ ერთი გზა შემეცნებისა. ისედაც ხომ ცნობილია, რომ გონებასთან ერთად ადამიანი გულითაც და სულითაც შეიმეცნებს, რაც ხშირად სიტყვებით ვერც აიხსნება და ვერც გადმოიცემა. მასწავლებელი ყოველდღიურად ხვდება ბავშვების ემოციათა ნაირფერ სპექტრს, განწყობილებათა გრადაციებს. მას მართებს ამ განწყობილებათა ერთ ჰარმონიულ კონტექსტში მოქცევა, დირიჟორივით შემოკრება განსხვავებული ემოციური ფერებისა, რათა გაკვეთილს სწორედ ეს თანხმიერი ემოციურობა დაედოს უჩინარ ფონად. ეს კი ურთულესი ამოცანაა, რომელსაც ხან თავს გაართმევს მასწავლებელი, ხან კი გაუჭირდება, მაგრამ, ამასთანავე, ამ დამარცხება-გამარჯვების, იმედგაცრუებისა და ეჭვების ჭიდილში გამოიწრთობა, დაოსტატდება.

გამოცდილება თვითონ მასწავლებელსაც ასწავლის ემოციის მართვას, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი ემოციური დისბალანსის დაძლევას, იმას, სკოლის კარის შეღებისთანავე როგორ მოათვინიეროს გული და „მომართოს“ ისე, რომ მასში ემპათიამ იმძლავროს. აქ მისი მოსწავლეები არიან, ასეთი განსხვავებულნი, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი რამ: ისინი მისგან სწავლობენ. როგორი სკეპტიკურიც უნდა იყოს მასწავლებლის წინასწარი დამოკიდებულება, როგორც არ უნდა ეშინოდეს, რომ გავლენას ვერ მოახდენს მათ განწყობილებებზე, მაინც უნდა ეცადოს და არასოდეს დაყაროს ფარხმალი.

სოციოლოგიის პროფესორი არლი რასელ ჰოხშილდი თავის წიგნში „გულის მართვა“ ფუნდამენტურად განიხილავს ემოციურ ინტელექტთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი აზრით, საკუთარი გრძნობების მართვის გზით ადამიანი სხვის ემოციებთან გამკლავებასაც შეძლებს. სწორედ მან ურჩია ემილი კაპლანს, ყველა ღონე ეხმარა, რომ თავისი მოსწავლეები „პატარა ემოციურ მენეჯერებად“ აღეზარდა. მასწავლებელს არა მხოლოდ ის ევალება, გაუგოს და თანაუგრძნოს მოსწავლეს, არამედ ისიც, რომ უარყოფითი ემოციების გადალახვაში დაეხმაროს. ეს, რა თქმა უნდა, ერთი დღის საქმე არ არის, ბევრი დრო სჭირდება იმას, რომ მასწავლებელმაც და მოსწავლეებმაც შეძლებისდაგვარად მოახერხონ ემოციების კონტროლი. ეს აზრი შესანიშნავად ჩამოაყალიბა რუსთაველმა: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“. მასწავლებელმა მოსწავლეებს პირადი მაგალითით საკუთარ ემოციებთან ბრძოლა კი არა, მორიგება უნდა ასწავლოს. ამგვარად, მოსწავლეები მიეჩვევიან სხვების მოსმენას, მოთმინებას, თავშეკავებას, პატიებას, თანაგრძნობას და განივითარებენ იმ უნარებს, რომლებიც მაღალი თვითშეგნების მქონე, პასუხისმგებლობიან, ჰუმანურ საზოგადოებას სჭირდება იმისთვის, რომ ღირებულებათა ფუნდამენტი არ დაიშალოს და ადამიანმა ავ-კარგის გარჩევა სამართლიანად, მიუკერძოებლად შეძლოს.

ლელა კოტორაშვილი

ამბები მასწავლებლის დღიურიდან

მწერალი როგორც მოქალაქე თავისი ადამიანური ისტორიებით მოსწავლეებსაც ძალიან აინტერესებთ და ძველი ტექსტების გაგება-გააზრებასაც აადვილებს.

– როგორი დღე გქონდა? რა მოხდა სკოლაში? – ეკითხებიან სკოლიდან შინ დაბრუნებულ ბავშვებს. მასწავლებლებს ვინ გვისვამს ასეთ კითხვებს? ვის აინტერესებს, რა გაგვიხარდა ან გვეწყინა, როგორი გაკვეთილები ჩავატარეთ?

ძალიან მიყვარს დღიურები. წლების განმავლობაში ბევრი ჩანაწერი დამიგროვდა. გაკვეთილებზე სულ დამაქვს ერთი დღიური, რომელშიც მოსმენისას საინტერესო ფრაზებს ვინიშნავ, ზოგჯერ პირადი მაგალითისთვის მოსწავლეებთან ერთად ვწერ დავალებებს და ვუკითხავ. ჩემი შვილები ხშირად მთხოვენ სკოლის ამბების გაზიარებას. მთავარი „მსმენელი“ კი წითელყდიანი დღიურია, რომელიც საგანგებოდ სკოლის ყოველდღიურობის აღსაწერად ვიყიდე. დღიური დღეების მიხედვით არის დაყოფილი და გვიან ღამით მოკლედ ვინიშნავ მხოლოდ გაკვეთილების ამბებს – რომელ ტექსტს ვსწავლობთ და რომელ მეთოდებს ვიყენებთ. ნაჩქარევი, მშრალი ჩანაწერების მიღმა კი იმდენი ემოცია იმალება, არ ვიცი, წლების შემდეგ მათ ამოკითხვას თუ შევძლებ.

კვირის ბოლოს ჩანაწერებს თვალი გადავავლე და ისეთი მრავალფეროვანი დღეები გვქონია, გადავწყვიტე, რამდენიმე ამბავი თქვენც გაგიზიაროთ.

გულდაფაკედელსაკიდელა

ორი თვეა, მეექვსეკლასელებს თამარ გეგეშიძის წიგნს „სული-ჩიტი“ ხმამაღლა ვუკითხავ. თავებს ისეთი საინტერესო სათაურები აქვს, იდეებით მავსებს. ერთ-ერთ თავს ჰქვია „ვატოს ოთახი“. მთავარი პერსონაჟი, ლუკა, კლასელს შინ ესტუმრება. ვატოს ძველებურ სახლში მზრუნველი ადამიანები ტრიალებენ. მისი ოთახი კი ლუკას გააოცებს: „ვატოს ოთახში შევედი თუ არა, სუნთქვა შემეკრა. ვიფიქრე, რა უცნაური და ჭრელი შპალერია-მეთქი. მერე კი მივხვდი, ასე იმიტომ მომეჩვენა, რომ კედლები სულ პლაკატებით იყო აჭრელებული. რომ დავაკვირდი, წიგნებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან ამოხეული ფურცლები ყოფილა. თურმე, ვატოს რაც მოეწონებოდა, სტატია, სურათი, განცხადება თუ კომიქსის ნაწყვეტი, ყველაფერს კედელზე აწებებდა. ერთ მხარეს ძირითადად კოსმოსის შესახებ იყო ცნობები, მეორე კედელზე კი შარშანდელი ისტორიის წიგნიდან ამოჭრილი ვახტანგ მეფე და ხოხობი ვიცანი. სტიკერებიც იყო, მარკებიც და რამდენიმე ფურცელი სულ ვატოს დაწერილი ჩანდა. ალბათ წერილები იქნებოდა“.

აღფრთოვანებულ ლუკას ვატო ეუბნება, რომ ოთახის მოწყობაში დაეხმარა ბაბუა, რომელსაც სურდა, მისი ოთახი მხიარული ყოფილიყო.

ყურადღება გავამახვილეთ ამ ეპიზოდზე. ვისაუბრეთ პირადი სივრცის შესახებ და გადავწყვიტეთ, ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა, რას გამოვფენდით ჩვენს კუთხეში. ერთად შედგენილი ნუსხა ამგვარად შეიცვალა:

- წიგნის ყდა;
- საყვარელი მწერლის, მომღერლის, სპორტსმენის, პერსონაჟის პოსტერები;
- პირადი წერილი ან ღია საფოსტო ბარათი;
- ლექსის ერთი სტროფი;
- საკუთარი ან ნაჩუქარი ნახატი.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო, რას ვთხოვდი ბავშვებს, მეორე დღისთვის დავხატე საყვარელი პერსონაჟი ანიმედან, წიგნის ყდა, დავწერე ლექსის ერთი სტროფი, დავამზადე ჰერბარიუმი, მოვძებნე მოსწავლის ნაჩუქარი ნახატი და ღია საფოსტო ბარათი, რომლებიც სათითაოდ ჩამოვკიდე ძაფზე და ყუთში მოვათავსე.

ამგვარად მიწოდებული რესურსი დიდ ცნობისმოყვარეობას აღძრავს და ყურადღების მოკრების საუკეთესო გზაა.



ვკითხე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ყუთში. ბევრი რამ ჩამოთვალეს. რამდენიმემ გამოიცნო. შემდეგ ყველაფერი დაფაზე დავამაგრე და არჩევანის შესახებ ვისაუბრე, კერძოდ, დავასაბუთე, რატომ შევარჩიე თითოეული მათგანი.

ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა, ერთად აკინძულ ნივთებს გულდაფაკედელსაკიდელა დავარქვით.

პრეზენტაციაც საგულდაგულოდ ჩავატარე. ანიმეს პერსონაჟთაგან ლისა შევარჩიე ჰაიაო მიაძაკის ფილმიდან „პონიო“. ლისა ახალგაზრდა ქალია, მოხუცთა თავშესაფარში მუშაობს, შვილს უვლის და ქარიშხლის დროს შარაგზაზე გადმოსულ ტალღებს შორის მანქანას ელვის სისწრაფით დააქროლებს. ლისას ცხოვრება მომწონს. ის გამბედავია, მზრუნველი, კაცთმოყვარე და ძალიან კარგად ესმის ბავშვების. თავისი შვილის სურვილს – იმეგობროს ნახევრად თევზ გოგოსთან, დიდი გაგებით ეკიდება. ზოგჯერ ბრაზსაც გამოხატავს და მისი ეს თვისება ძალიან მხიბლავს. საინტერესო გზავნილია დედებისთვის, რისხვის შემოტევისას როგორ უნდა გავავლოთ ზღვარი გამომწვევ მიზეზსა და გამოხატვის ფორმას შორის და ჩვენი უარყოფითი ემოციები ბავშვებს, შეძლებისდაგვარად, არ მოვახვიოთ თავს.

საყვარელი წიგნებიდან შევარჩიე „ენი ევონლიდან“, რადგან ეს წიგნი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. რედაქტორმა, მარიამ კორინთელმა, წიგნზე მუშაობისას მომწერა, ასე მგონია, შენს ამბებს ვკითხულობო. ენი სოფლის ახალბედა მასწავლებელია და კითხვისას მარის ჩემი რაჭული თავგადასავლები ახსენდებოდა. ამასთანავე, ავტორი, ლ. მ. მონტგომერი, წიგნს თავის მასწავლებელს უძღვნის: „მადლიერებით, ჩემი ყოფილი მასწავლებლის, ჰეითი გორდონ სმითის ხსოვნას, თანაგრძნობისა და მხარდაჭერისთვის“. ალბათ, ყველა მასწავლებელი ისურვებდა, მოსწავლეებისგან ასეთივე მიძღვნა დაემსახურებინა.

ნაჩუქარ ყვავილებს წიგნებში ვახმობ. მეექვსეკლასელების მშობლებმა ერთ დღეს თაიგული მაჩუქეს. მადლიერების ნიშნად ამ ყვავილებისგან ჰერბარიუმი დავამზადე. ვფიქრობ, ამგვარი პატარა ნაბიჯებით ბავშვების გულებს სხვებისადმი კეთილი ფიქრებით ავავსებთ.

გალაკტიონის ლექსში „ქარი ქრის“ მართლაც ისმის ქარის ხმა. ამაზე დიანა ანფიმიადის წერილმა დამაფიქრა. სიტყვებიდან ხმოვნებს თუ ამოვიღებთ დარჩება თანხმოვნები: ქრ... ქრ... ქრ... – და საკლასო ოთახშიც ქარის ხმა გაისმის.

ერთხელ ვაჟიკომ, მეექვსეკლასელმა ბიჭმა, თავისი დახატული რეპერ Snoop-Dog-ის პორტრეტი მაჩუქა. ბავშვების ნაჩუქარ ნივთებს რომ ვუფრთხილდებით, ესეც პირადი მაგალითია მათთვის. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვაჟიკომ თავის გულკედელდაფასაკიდელაზე „ემილის თავგადასავლის“ ყდა გამოფინა და გაგვახსენა: – ეს წიგნი მესამე კლასში ცუდად ყოფნისას ლელა მასწავლებელმა მაჩუქა და ანდრიამ სახლში ამომიტანა; ისე გამიხარდა, იმავე დღეს დავიწყე კითხვა და

მეორე დღეს დავამთავრეო. ყდაზე დატოვებული წარწერაც ზეპირად ახსოვდა. როცა ვაჟიკო ამ ამბავს გვიამბობდა, მე მის მერხთან ვიჯექი ჩანაწერის გასაკეთებლად. შევამჩნიე, რომ რამდენიმე ბიჭმა შემომხედა. აინტერესებდათ ჩემი ემოციები. მე კი თვალები ცრემლებით მქონდა სავსე. ასე იცვლება დადებითი ენერგიები, რაც ურთიერთობებს ჰარმონიულს ხდის.

ჩემმა ბიჭმა დაბადების დღეზე ღია საფოსტო ბარათი მაჩუქა წარწერით: მადლობა, ადამიანო, რომ გამაჩინეო, – და ამ სიტყვებით დამემშვიდობა: კეთილი და სულიერიო. დედისადმი გამოჩენილი მზრუნველობა ღია საფოსტო ბარათით ბავშვებისთვისაც პირად მაგალითად იქცევა.

შევაჯამეთ პრეზენტაცია, ვისაუბრეთ მთავარ გზავნილებზე, გავიხსენეთ, რა უნდა გაითვალისწინონ საჯარო საუბრისას და ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მეორე დღეს მსმენელის როლი მოვირგე. შეიძლება ითქვას, რომ გულკედელდაფასაკიდელა წლის საუკეთესო აქტივობად იქცა. მოსწავლეების არჩევანის გაცნობისას ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საკუთარი ოთახისთვის შერჩეული ნივთები თითოეული მოსწავლის ბუნებას გამოხატავდა და მათი სამყაროს კარს გვიღებდა. წიგნის პერსონაჟ ლუკას მსგავსად, გაოცებას ვერ ვმალავდით და ხელნაკეთი ნივთებით გადავსებულ დაფას სიყვარულით ვაკვირდებოდით.

ელენეს ვან გოგის სახისთვის ყვითელი თმა-წვერი უჩვეულოდ შემოევლო; ნიკამ პატარა ქვა მოგვიტანა, სკოლის პირველ დღეს ვიპოვე, შინ წავიღე და ამბებს ვუყვებოდიო. ალექსმა რაგბის გუნდის დროშა მოიტანა და გუნდ „იუნკრები-სარაჯიშვილის“ სახელზე გვესაუბრა: იუნკრები ჯარისკაცები იყვნენ და 1921 წელს დაიღუპნენ, ამიტომ ჩვენს ფორმას „1921 წელი“ აწერიაო. ანდრიამ თავისი ნახატი „Lost in New-York“ მოიტანა, ჩემს ნახატებს შორის ყველაზე მეტად მომწონსო. შოთიკომ ლექსი „საბრალო დედაბრისასა“ შეარჩია, ახლაც მახსოვს, მესამე კლასში რომ წაგვიკითხეთ და ბავშვებს თვალების დახუჭვა რომ გვთხოვეთო. ნინიმ ნაქსოვი ჩანთა დაფის გვერდით ჩამოკიდა, ამ ბოლო დროს არავინ ქსოვს და მინდა, ქსოვა სხვებმაც გაიხსენონო. სანდროს გულკედელდაფასაკიდელა ყველაზე მძიმე იყო, რადგან ფურცლებთან ერთად ბუცები ჰქონდა ჩამოკიდებული. ყველა გაგვახალისა დაფაზე ჩამოკონწიალებულმა დაფლეთილმა ბუცებმა. აი, საბას ბუცის ფორმის პენალმა კი გულიანად გვაცინა, მასწავლებლებს ბუცი ჰგონიათ ხოლმე და მერხიდან აღებას მთხოვენო. ნიკოლოზმა „ცხრაკარა“ წაგვიკითხა, ყველაზე მეტად ამ ლექსმა ჩამითრია. ბარბარემ ჯინზე ისაუბრა და სურვილების ჩაფიქრება მოგვანდომა. გელამ მურმან ლებანიძის ლექსის ერთი სტროფი წაგვიკითხა და გვითხრა, რომ „ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო...“ ნიკას რვეულში აღმოაჩინა, ძალიან მოეწონა და ინტერნეტში მოძებნა. თამარმა ბარბარეს ნახატი გაგვაცნო, ერთ გაკვეთილზე ჩვენ უკან იჯდა და მე და ნატალი დაგვხატაო.

განსაკუთრებით გამიხარდა ბიჭების მიერ ნაპოვნ-გამხმარი ფოთლები და ყვავილები. მგონია, რომ ბავშვები, რომლებიც ყვავილებს ახმობენ და ლექსებს კითხულობენ, ცხოვრებისეულ სისასტიკეს აისხლეტენ. დაფა გადაივსო მსახიობების, მომღერლების, სპორტსმენების, მხატვრების ამსახველი ნახატებით, ღია საფოსტო ბარათებით, ლექსებითა და ჰერბარიუმებით. ერთმანეთს დიდი ყურადღებით ვუსმენდით, კითხვებს ვუსვამდით, ვიცინოდით და თვალები ცრემლებით გვევსებოდა. ყველას მოსასმენად სამი გაკვეთილი დაგვჭირდა. მე დღიურში საკვანძო სიტყვებს ვინიშნავდი და ბოლოს სახალისო ვიქტორინაც ვითამაშეთ.

გულკედელდაფასაკიდელების სანახავად გვესტუმრნენ მასწავლებლები და სხვა კლასის მოსწავლეები. ერთმა ბავშვმა ხმამაღლა თქვა, თავი მუზეუმში მგონიაო.

ფეხტური ბიბლიოთეკაში

ოთხშაბათობით მეოთხე კლასთან წყვილი გაკვეთილი მაქვს. 27 მოსწავლიდან სკოლაში მხოლოდ ცოტნე არ იყო. ფეხტური ხომ არ მოვაწყოთ და თან ცოტნეს შევძახოთო, მკითხეს. როგორც წესი, ფეხტურებს იმ დღეებში ვაწყობ, როცა ცოტანი არიან. თვალი გადავავლე 26 მოსწავლეს და სკოლის გარეთ მათი მარტო გაყვანა ცოტა შემეშინდა. მერე სალიტა მოვიდა და მთხოვა, სათავგადასავლო წიგნი შემარჩევინეთო. ქცევის წესებზე შევთანხმდით და უბნის ბიბლიოთეკაში ფეხტური დავგეგმეთ. პუნქტებად ჩამოვწერეთ, რა უნდა გვენახა და სად უნდა წავსულიყავით. გზად კორპუსებს შორის მოქცეული სტადიონი უნდა გაგვევლო. ცოტნეს შევძახეთ. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ შემოგვიერთდა. ამასობაში ჩემი მეგობარი მაკა დავინახეთ. ვთხოვეთ, ჩვენთვის დრო დაეთმო და კლასის საკითხავი წიგნი „ვაფლის გულები“ გავაცანით. შემდეგ პატარა მაღაზიაში კანფეტები ვიყიდეთ და ბიბლიოთეკისკენ გავეშურეთ. კანფეტებით გამვლელებსაც გავუმასპინძლდით. ბიბლიოთეკაში დაფაზე დატოვებული წარწერა შევნიშნეთ. უცნობი მკითხველი წერდა, აქ ზღაპრული გარემოაო. მის სიტყვებს ჩვენც გამოვეხმაურეთ და წიგნ-თავგადასავლების სამყაროს მადლობა გადავუხადეთ. სალიტასთვის საინფორმაციო წიგნი „როცა მთვარეზე გავიარეთ“ შევარჩიეთ და სასწრაფოდ სკოლაში დავბრუნდით. საშინაო დავალებად ფეხტურის ამბები უნდა დაეწერათ. საკლასო ოთახიდან გასვლამდე სალიტას გახსნილ ჩანთას მოვკარი თვალი, საიდანაც ერთად შერჩეული წიგნი იყურებოდა. მეორე დღეს სიხარულით კითხულობდნენ სხვადასხვა თანმიმდევრობითა და სიტყვებით აკინძულ ერთსა და იმავე ამბავს. ჩემი მეგობარი მაკა დღის მთავარ გმირად იქცა.

დავით კლდიაშვილის ბიოგრაფია

მერვე კლასის ერთ-ერთი საპროგრამო ტექსტია „სოლომან მორბელაძე“. კვირა ღამით ავკინძე სლაიდშოუ და ხელახლა გადავიკითხე დავით კლდიაშვილის ავტობიოგრაფიული წიგნი „ჩემი ცხოვრების გზაზე“. ბიოგრაფიების გაცნობა ჩემი საყვარელი აქტივობაა. მწერალი როგორც მოქალაქე თავისი ადამიანური ისტორიებით მოსწავლეებსაც ძალიან აინტერესებთ და ძველი ტექსტების გაგება-გააზრებასაც აადვილებს. გონებრივი იერიშით ვადგენ, რა იციან, შემდეგ მინილექციით ახალ ინფორმაციას ვაწვდი და ბოლოს გასასვლელ ბარათებს ავსებენ, კერძოდ, წერენ 5 რამეს, რაც დაამახსოვრდათ.

მწერლის ადამიანებითა და სიყვარულით სავსე ბავშვობა, რუსეთის სამხედრო სასწავლებელში გამგზავრება, ქართული ენის დავიწყება, ნიკო ლომოურის ნაჩუქარი გაზეთ „ივერიის“ კითხვით მშობლიური ენის გახსენება, 26-წლიანი სამხედრო კარიერა, რუსი უფროსებისადმი წინააღმდეგობის გაწევა, ბათუმის ბულვარის გაშენება, თეატრისა და სკოლის დაარსება, მოსიყვარულე მეუღლე და ხუთი შვილი, მოთხრობების წერის პროცესის აღწერა – ეს ყველაფერი ხომ საინტერესოა, მაგრამ „ჩემი ცხოვრების გზა“ კიდევ ერთი ნიშნით არის გამორჩეული: დავით კლდიაშვილი უდიდესი სიყვარულით წერს ცნობილი და უცნობი ადამიანების შესახებ. დაუვიწყარია შეხვედრა ივანე ჯავახიშვილთან, რომელიც სინას მთის მანუსკრიპტებზე ესაუბრა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პატივსაცემად გამართული საღამოები ქუთაისში. მწერალი იხსენებს, როგორ სწამებდნენ ცილს და როგორ სტკენდნენ გულს ალექსანდრე ყაზბეგს, რა გააფთრებით იცავდა ვანო მაჩაბელი კაცს, რომელსაც ლაპარაკი არ ეხერხებოდა, როგორ უყვარდა ხალხს გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც ზამთარში გარდაცვლილა და თვე-ნახევარი არ დაუკრძალავთ, რადგან ყველას სურდა, სულიერ მამას გამომშვიდობებოდა. „პირველ რიგში ვარ მოქალაქე და შემდეგ სამხედრო პირი“, – წერს ერთგან დავით კლდიაშვილი და აქ მისი სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია მჟღავნდება. რუს მოხელეებს, რომლებიც ქართულ საზოგადოებას საქმითა და სიტყვით მტრობდნენ, მწერალი მიწასთან ასწორებს და, ამავე დროს, მათ შორის ღირსეულ ადამიანებს კეთილი სიტყვებით ამკობს.

გასასვლელ ბილეთებზე მერვეკლასელებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე, რაში გვეხმარება მწერლის ბიოგრაფიის გაცნობა. შინ დაბრუნებული, მათი ნაწერების კითხვისას ვფიქრობდი, რომ ჩემი სათქმელი მათ გულებამდე სწორად მივიდა.

ელპიტეს მზითევი

დიალოგების სიმრავლე, დიალექტიზმები, ისტორიული კონტექსტის არცოდნა „სოლომან მორბელაძის“ გაგებას ართულებს. თავდაპირველად მოსწავლეებს გავაცანი ბატონყმობის გაუქმების ისტორია, სოციალური სტატუსით დაყოფილი საზოგადოების სირთულეები, შემდეგ მოვძებნე რადიოპიესა და ფირსაკრავით ავაჟღერე. ხმამაღლა წავიკითხეთ ტექსტი, შეავსეს პერსონაჟის რუკა, დაწერეს პერსონაჟის მონოლოგი, ერთ-ერთი განსხვავებული აქტივობა კი ამგვარი იყო: თანამედროვეობაში გადმოვიტანეთ მოთხრობაში ასახული სიტუაცია და მოსწავლეებს შევთავაზე, დაეწერათ, ქაიხოსრო ქათამაძის მსგავსად, მაჭანკლის საშუალებით თავად რომ გაებათ მოლაპარაკება ბიჭის საცოლის მშობლებთან, რას მოსთხოვდნენ. დაფაზე ჩამოვწერეთ ელპიტეს მზითევი: 20 თუმნის ვექსილი, 40 თუმანი ხელზე და 20 თუმნის ქონება.

13-14 წლის გოგო-ბიჭები ამ დავალებამ ძალიან გაახალისა. ერთმანეთს არ აცდიდნენ დავალების წაკითხვას. რა აღარ მოსთხოვეს საწყალ ბესარიონ საქარაძეს: უახლესი მობილური ტელეფონები, ჰავაის კუნძულებზე დასვენება, ბარათზე 5000 დოლარის გადარიცხვა და ა.შ.

ვფიქრობ, ამგვარი მიდგომით არასდროს დაავიწყდებათ „სოლომან მორბელაძე“.

მინისპექტაკლი

მოთხრობის მეოთხე თავზე ფიქრისას მინისპექტაკლის დადგმის იდეა გამიჩნდა. გავანაწილეთ როლები, შეერთებული მერხები სეფაში გაშლილ სუფრად ვაქციეთ და ახალი ეპიზოდები დავამატეთ, მაგალითად, როგორ ტირის ელპიტე და როგორ ამშვიდებენ მეგობრები. მღვდლის როლის შემსრულებელმა აკაკიმ იკითხა, რა ხდებაო და მისმა ამ გულგრილად ნათქვამმა ფრაზამ შესანიშნავად ასახა მოთხრობაში აღწერილი საზოგადოების გულგრილობა, გონებადაბინდულობა, „თუმნებზე“ გაყიდული გოგოების ბედი.

იმიტირებული სასამართლო პროცესი

ჩემმა მეგობარმა მასწავლებელმა, ლია მეტივიშვილმა, შუა კვირაში სოციალურ ქსელში დაწერა იმის შესახებ, თუ როგორ გამართეს სასამართლო პროცესი „მგელი და კრავის“ მიხედვით. ლია ხაშურის სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ქართულს ასწავლის. მისი აქტივობები მასწავლებლის უწყვეტი ფიქრისა და შრომის შედეგია. დავურეკე და გამოცდილების გაზიარება ვთხოვე. ვისაუბრეთ იმაზე, როგორ ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს მსგავსი აქტივობები.

მასწავლებლის ყოველდღიურობის მოკლე ჩანაწერებად ასახვა თვითრეფლექსიისა და დროის დაზოგვის მშვენიერი გზა აღმოჩნდა.



ლია აღფრთოვანებული მიამბობდა თავისი მოსწავლეების გონებაგახსნილობის შესახებ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ უნდა მოახვიოს თავს სხვამ საკუთარი აზრი და ეს უზომოდ მახარებსო, მიყვებოდა ლია ხაშურიდან გლდანულაში მყოფს და გული სიხარულით მევსებოდა.

მეორე დღეს, ლიას რჩევების გათვალისწინებით, მეოთხე კლასთან მეც გავმართე იმიტირებული სასამართლო პროცესი. შევარჩიეთ მგელი, ცხვარი, მათი ადვოკატები, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები, დაცვა, მგლისა და ცხვრის მეგობრები, მაგალითად, იგავში ცხვარს და-ძმა არ ჰყავს, ამიტომ ასეთი რამ მოვიფიქრეთ: გავიხსენეთ კეთილი პერსონაჟები – წიქარა, დათვი („ენით დაკოდილიდან"), ანდროკლეს მეგობარი ლომი, ნუცამ გაგვახსენა ჰაიდის პაპის ცხვრები იოჰანა შპირის რომანიდან. ასევე შევურჩიეთ ნაცნობ-მეგობრები მგელსაც. სამწუხაროდ, ზარმა მოგვისწრო და სასამართლო პროცესის გადადება მოგვიწია. ბავშვებს როლიდან გამოსვლა გაუჭირდათ, მცველების როლში მყოფი ორი ბიჭი ეცა და გაკოჭა, ცხვრის დამცველმა ადვოკატმა კი სახელდახელოდ დამზადებული პლაკატი ააფრიალა წარწერით: „მგელი მოძალადეა!"

ლიამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მითხრა: არასდროს მომწონდა დასასრული: „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი", – და ძალიან მინდა, ეს უსამართლობა შევცვალოო. მჯერა, რომ ჩემი მეგობრის აღზრდილი მოსწავლეები უკეთესობისკენ შეცვლიან გარემოს.

პარასკევს, გაკვეთილების შემდეგ, მკითხველთა კლუბის წევრებს შევხვდი, ლიტერატურული კაფესთვის პოსტერები მოვხატეთ და ჩემი გამომცხვარი ნამცხვრით – „ლელათი" გავუმასპინძლდი. სკოლიდან მოსწავლეებთან ერთად დავბრუნდი და სადარბაზოსკენ მიმავალს დაღლილობისგან ზუსტად ისე მეხუჭებოდა თვალები, როგორც ჩემი საყვარელი ანიმეს მთავარ პერსონაჟს – პონიოს.

ასეთი მრავალფეროვანი კვირა იმალება წითელყდიან დღიურში ჩაწერილი მოკლე ფრაზების მიღმა. იმის შესახებაც ვწერ, რაც არ გამომივიდა. მასწავლებლის ყოველდღიურობის მოკლე ჩანაწერებად ასახვა თვითრეფლექსიისა და დროის დაზოგვის მშვენიერი გზა აღმოჩნდა.

წერის კურსი მოზარდებისთვის

მაია მენაბდე

კითხვა რომ თავისთავად კარგი და აუცილებელია, ეს აქსიომადაა მიჩნეული მკითხველ თუ არამკითხველ საზოგადოებაში, თუმცა ეს აქსიომა მაინც ბავშვობასა და მოზარდობის ხანას ეხება, რადგან მხატვრული ლიტერატურის კითხვა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოზარდის განვითარება-ჩამოყალიბებაში. მაგრამ ერთიცაა – ყველა მკითხველი ბავშვი ვერ გახდება მკითხველი ზრდასრული, კარგი მკითხველი კი საერთოდ ყველა დროში, ყველა საზოგადოებაში სანთლით საძებარია.

როცა ბავშვსა და მოზარდზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კითხვის გამართვას პირდაპირ ებმის წერის უნარის განვითარებაც: რაც უფრო ლაღი და თავისუფალია კითხვისას ბავშვი, მით უფრო უადვილდება მას თავისი განცდილ-ნაფიქრ-ნააზრევის წერილობით გადმოცემა.

კითხვის შეყვარების უამრავი წესი მოვსინჯე ჩემს შვილთან: სულ პატარაობიდან ვაჩვევდი წიგნთან ურთიერთობას (ეტლზეც კი სათამაშო წიგნი ჰქონდა ჩამოკიდებული), ერთად დავდიოდით წიგნის მაღაზიებში და ვარჩევდით წიგნებს, აქვს საკუთარი საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, ვუკითხავდი ლამის ყოველ საღამოს, ერთად ვკითხულობთ დღემდე (14 წლისაა) და მერე წაკითხულზე ვსაუბრობთ. თავიდანვე მივაჩვიე, მცირე ჩანაწერები ეკეთებინა წაკითხულის შესახებ. ვცდილობდი, ეს ჩანაწერები არ ყოფილიყო ერთმანეთის მსგავსი. მაგალითად:

- ესაუბრა სამ ყველაზე შთაბეჭდავ ეპიზოდზე;
- დაეხასიათებინა მისთვის ყველაზე საინტერესო პერსონაჟი;
- შეედარებინა ნაწარმოებში ასახული ოჯახი საკუთარი ოჯახისთვის;
- წარმოედგინა, რომ თვითონაც ამ წიგნის პერსონაჟია და დაეწერა, რა როლი და ფუნქცია ექნებოდა;
- დაეწერა, რომელ პერსონაჟთან იმეგობრებდა და აეხსნა, რატომ;
- დაეხაზა სქემა, რომლითაც გამოსახავდა სიუჟეტის განვითარებას ან პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებას და შემდეგ წერილობით აეხსნა ამ სქემის არსი;
- ვუწერდი რამდენიმე ფრაზას, რომლებიც წაკითხული წიგნის მიხედვით უნდა დაესრულებინა და ა.შ.

როცა ბავშვსა და მოზარდზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კითხვის გამართვას პირდაპირ ებმის წერის უნარის განვითარებაც: რაც უფრო ლაღი და თავისუფალია კითხვისას ბავშვი, მით უფრო უადვილდება მას თავისი განცდილ-ნაფიქრ-ნააზრევის წერილობით გადმოცემა.

მიუხედავად ყველაფრისა, დაჩი ჯერჯერობით მაინც არ არის მოწყურებული, დამგემოვნებელი მკითხველი. შესაბამისად, არც წერა ეხატება გულზე. მისი მასწავლებლებიც მეუბნებიან, რომ ძალდაუტანებლად და საინტერესოდ საუბრობს წაკითხულზე, მაგრამ იმავეს დაწერა მაინცდამაინც კარგად არ გამოსდის (როგორც ადამიანების უმეტესობას).

სამწუხაროდ, მე იმ მასწავლებლების კატეგორიას მივეკუთვნები, იშვიათად რომ სცალიათ საკუთარი შვილებისთვის. სამაგიეროდ, ძალიან კარგად მესმის, რომ წერილობით აზრის თავისუფლად გადმოცემა საბაზისო უნარია და ამიტომაც ვიფიქრე, ზაფხულში მაინც დავხმარებოდი იმ პრობლემის აღმოფხვრაში, რომელსაც თვითონ სულაც არ მიიჩნევს პრობლემად და, მით უმეტეს, ზაფხული არ არის ის დრო, ტიპურმა თინეიჯერმა მეცადინეობასა და წერას მოახმაროს.

გადავწყვიტე, წინასწარ მოველაპარაკო, როგორმე მოვიპოვო თანხმობა, რომ წერის ორკვირეული გამოვაცხადოთ (უმჯობესია, ზაფხულის მიწურულს). ეს იქნება მაქსიმუმ ერთი საათი დღეში, მისთვის ხელსაყრელ დროს (მაგალითად, დილით, სანამ მეგობრებს ჯერ კიდევ სძინავთ), მაგრამ რეგულარულად ყოველ მეორე დღეს. ამისთვის უკვე მზად უნდა მქონდეს რამდენიმე აქტივობა, რომ მასაც დავუტოვო არჩევანი. ამჯერად სტრატეგია შევცვალე – წაკითხულზე კი არა, სულ სხვა რამეებზე დავაწერინებ.

თავდაპირველად დავფიქრდი, რა მოსწონს, რა უყვარს, რა აინტერესებს დაჩის და ასეთი ჩამონათვალი მივიღე:

- ანიმეები
- მანგები
- კომპიუტერული თამაშები
- ფილმები (ძირითადად, საშიში, ასაკისთვის შეუსაბამო)
- კალათბურთი
- კრივი
- ჭადრაკი
- ემინემის რეპი (სხვებისაც, მაგრამ მე მხოლოდ ემინემს ვცნობ)

მოზარდებს, რომლებსაც წერა არ უყვართ, ერთი რამ ახასიათებთ: წერენ მოკლედ და მშრალად, ისინი ფიქრობენ, რომ დავალება შეასრულეს და საერთოდ არ აინტერესებთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ტექსტი მკითხველზე. დაჩიც ასეა. ამიტომ თავიდანვე გადავწყვიტე, ყველა დავალება ისე შემედგინა, რომ მას ზუსტად სცოდნოდა, როგორი მკითხველისთვის წერდა ამა თუ იმ ტექსტს.

დავალება N1: ერთად ვუყურებთ ანიმეს ერთ-ერთ სერიას, ჩამოვწერთ 10-10 სააზროვნო კითხვას, გავცვლით კითხვებს და წერილობითვე ვუპასუხებთ. ყველა მასწავლებელმა იცის, რამდენად მნიშვნელოვანია, მოსწავლეს შეეძლოს კითხვის სწორად ჩამოყალიბება, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც მაღალ სააზროვნო უნარებს ააქტიურებს, ამიტომ რამდენიმე დათქმა აუცილებელია:

- კითხვები არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ კი-სა და არა-ს. ან, ასეთის შემთხვევაში, მოსდევდეს კითხვა „რატომ?“
- პასუხები უნდა ჩამოვაყალიბოთ ისე, რომ ჩანდეს, რა კითხვას ვუპასუხეთ.
- პასუხები უნდა იყოს მაქსიმალურად ამომწურავი და გასაგები.

ერთმანეთის კითხვებისა და პასუხების შედარება-ანალიზით

დაჩი დაინახავს, როგორ შეიძლება კითხვის ფორმულირება და რამდენად მნიშვნელოვანია სრული, ამომწურავი პასუხები.

წერის დაწყებამდე, რასაკვირველია, ცოტა უნდა გავისაუბროთ, გავცვალოთ მიღებული შთაბეჭდილებები. ეს საუბარი ერთგვარად გეზს მისცემს დავალების შესრულებისას.

დავალება N2: საშველს რომ ვაძლევდე, ყველაზე მეტ დროს კომპიუტერულ თამაშებს დაუთმობდა, ამიტომ ასეთი დავალება მოვიფიქრე:

მკითხველი - დედა, რომელსაც კომპიუტერული თამაშების გაგონებისას გული უწუხს

აირჩიე თამაში, რომელსაც ყველაზე ხშირად თამაშობ და დაწერე (ესეი რომ დავაწერო, გული გაუსკდება, ამიტომ ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე):

- რა არის ამ თამაშის იდეა და რით გიზიდავს შენ?
- აღწერე, რა ემოციები გეუფლება თამაშის დროს და რატომ.
- არგუმენტირებულად ამიხსენი, რატომ არ არის თამაშისთვის დახარჯული დრო დაკარგული (მინიმუმ სამი არგუმენტი).
- არგუმენტირებისას შეგიძლია მოიყვანო მაგალითები სხვების ცხოვრებიდანაც.

გაითვალისწინე: შენ მიერ დაწერილი ტექსტი უნდა იყოს მსჯელობითი სახის, მსჯელობა კი – თანმიმდევრული და ლოგიკური.

არ დაგავიწყდეს აბზაცების გამოყოფა და სასვენი ნიშნების დასმა.

ამ ზაფხულს ერთად ვუყურეთ ფილმს „ჩვენ ანგელოზები არ ვართ“. ეს არის ამერიკული კრიმინალური კომედია გადასარევი მსახიობების: რობერტ დე ნიროს, შონ პენის, დემი მურის, – მონაწილეობით. ტელევიზორში გადიოდა. იშვიათად ვუყურებ ფილმებს, უიშვიათესად – ტელევიზორში და ისიც სხვასთან ერთად, თითქმის არასდროს – კომედიას, მაგრამ ადრე მქონდა ნანახი და ვიფიქრე, თუ მეც ვუყურებდი, დაჩის დააინტერესებდა. თან ერთად ყურების პროცესი უკეთესი დავალების მოფიქრებაშიც დამეხმარებოდა.

დავალება N3:

მკითხველი - მამა, რომელსაც ძალიან უყვარს ამ ჟანრის ფილმები

ფილმზე „ჩვენ ანგელოზები არ ვართ“ დაწერე რეცენზია სათაურით: „განსაცდელი – გამოსავალი – იუმორი“.

- გაიხსენე და აღწერე განსაცდელი, რამდენიმე კრიტიკული მომენტი, რომლებშიც ფილმის გმირები აღმოჩნდებიან.
- იმსჯელე, როგორ იპოვეს გამოსავალი, რა როლს ასრულებს ამ გამოსავლის პოვნაში იუმორი, როგორ, რა ხერხებით იქმნება ის (სიტუაციურად, სიტყვებით, ჟესტებითა და მიმიკებით...).
- შეაფასე, როგორია ეს გამოსავალი. სხვა გზა თუ არსებობდა, შენი აზრით?
- ახსენი, როგორ უკავშირდება ეს პრობლემა ფილმის მთავარ იდეას.

ჯერი ჭადრაკზე როცა მიდგა, ნონა გაფრინდაშვილისა და ამერიკული კომპანია Netflix-ის დაპირისპირების ამბავი რამდენიმე მიზეზითა და მიზნით ავარჩიე:

- დაჩის ჭადრაკის თამაში კი უყვარს, მაგრამ არასოდეს დაინტერესებულა ამბებით ჭადრაკის შესახებ. საზოგადოდ, არ უყვარს საინფორმაციო ტექსტები თუ სიუჟეტები. არადა, მნიშვნელოვანია, შეეძლოს საინფორმაციო ტექსტების დამოუკიდებლად კითხვა-გაანალიზება;
- ორიდან ერთ-ერთი, Netflix-ი, საზოგადოდ, ფილმები, მისთვის ნაცნობი თემაა.
- ამბავი უჩვეულოა და დასასრულის გაგების სურვილსაც აუცილებლად გაუჩენს.
- მინდა, გაიგოს, ვინ არის ნონა გაფრინდაშვილი.
- იქნებ სერიალ „ლაზიერის გამბიტითაც“ დაინტერესდეს და ჩემთან (ჯერ მეც არ მინახავს) ან მეგობართან ერთად უყუროს.
- მეგობარს გაუზიაროს, რასაც ამ ამბიდან საინტერესოდ ჩათვლის.
- მინდა დაინახოს, რა მნიშვნელოვანია, ხმა ამოიღოს ნებისმიერი უსამართლობის წინააღმდეგ და გაუჩნდეს განცდა, რომ ბრძოლას ნამდვილად აქვს აზრი, თუ მას გონივრული გადაწყვეტილებები განაპირობებს.

მოზარდებს, რომლებსაც წერა არ უყვართ, ერთი რამ ახასიათებთ: წერენ მოკლედ და მშრალად, ისინი ფიქრობენ, რომ დავალება შეასრულეს და საერთოდ არ აინტერესებთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ტექსტი მკითხველზე. დაჩიც ასეა. ამიტომ თავიდანვე გადავწყვიტე, ყველა დავალება ისე შემედგინა, რომ მას ზუსტად სცოდნოდა, როგორი მკითხველისთვის წერდა ამა თუ იმ ტექსტს.

ჯერ ერთად ვუყურებთ სიუჟეტს:
https://www.youtube.com/watch?v=7u_XYEoS_Qo

საბოლოო შედეგის გასაგებად ეს ინფორმაციაც საკმარისია.

ამის შემდეგ შეეძლება, შეასრულოს დავალება N4:

მკითხველი – მეგობარი, რომელსაც ასევე უყვარს ჭადრაკი

წარმოიდგინე, რომ ძალიან გინდა, მოუყვე ამ ამბავს ლუკას, რომელიც რამდენიმე დღით სხვაგან არის წასული. გამართე წარმოსახვითი დიალოგი მასთან. დაიცავი პუნქტუაციის წესები.

- მოუყევი, რაც გაიგე სიუჟეტიდან და სტატიიდან ისე, რომ თავიდანვე აღუძრა ინტერესი.
- ამბის თხრობისას ემოციების გასაძლიერებლად გამოიყენე ეპითეტები, შედარებები, შორისდებულები.
- წარმოიდგინე, რა კითხვები გაუჩნდებოდა ლუკას, გამოიყენე წარმოსახვით დიალოგში და შემდეგ თავად უპასუხე.

ამ დავალების დაწერის შემდეგ შესაძლოა, მართლა სცადოს მეგობართან ჩატში იმავე თემაზე საუბარი. საინტერესოა, თუ გამართლდება მისი ვარაუდები და მოლოდინები მეგობრის დაინტერესებასა და კითხვებთან დაკავშირებით.

დაჩის ინტერესების ჩამონათვალში კალათბურთიცაა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთისა და კალათბურთის კომენტატორების ხმა ჩვენი ოჯახის ლამის უწყვეტი „საუნდტრეკია“, რომელსაც მე ჩემდა უნებურად ვისმენ, მაინც მხოლოდ ორი კალათბურთელის სახელი და გვარი ვიცი: ზაზა ფაჩულიასი, რადგან ქართველია და NBA-ში თამაშობდა და კობი ბრაიანტის – მისი ტრაგიკული აღსასრულის გამო. ინფორმაციას რომ გადავხედე, მაინც კობიზე შევაჩერე არჩევანი. გაზეთ „ლელოში“ ვიპოვე სტატია „კობი ბრაიანტის 8 მომენტი“, რომელშიც საუბარია ამ სპორტსმენის კარიერის 8 გარდამტეხ, მნიშვნელოვან მომენტზე, თან არც მაინცდამაინც მშრალი საინფორმაციო ენით. ამ სტატიაში ჩანს, როგორ მიჰყავს მონდომებას, ნებისყოფას, თავდაჯერებას და საქმისთვის თავგანწირვას ადამიანი წარმატებამდე. ჟურნალისტ გია თვალაბეიშვილის სპორტული ტერმინებით გაჯერებული, ლაკონიური, მაგრამ საკმაოდ ექსპრესიული სტილი, ვფიქ-

რობ, კარგი შთამაგონებელი ნაპერწკალი იქნება მოთხრობის დასაწერად.

და აი, დავალება N5 – აქციე ინფორმაცია მოთხრობად.

მკითხველი – მეგობარი, რომელსაც კალათბურთი დიდად არ იზიდავს

ყურადღებით წაიკითხე სტატია და მასში გადმოცემული ინფორმაციის მიხედვით დაწერე მოთხრობა, რომლის მთავარი პერსონაჟიც ლეგენდარული კალათბურთელი იქნება.

- თავდაპირველად აირჩიე შენთვის განსაკუთრებით შთამბეჭდავი მომენტი ან მომენტები და მისი/მათი გამოყენებით მოიფიქრე სიუჟეტი. წინასწარ განსაზღვრე, რა გინდა იყოს შენი მოთხრობის მთავარი სათქმელი.
- ეცადე, მოთხრობაში სრულყოფილად წარმოაჩინო კობი ბრაიანტის ხასიათი, შეხედულებები, დამოკიდებულებები საკუთარი საქმისა და სხვა ადამიანების მიმართ.
- შემოიყვანე მოთხრობაში მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც მათი ფიქრებითა და შეხედულებებით.
- ტექსტი ემოციური და შთამბეჭდავი რომ გამოგივიდეს, გამოიყენე მხატვრული ხერხები (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა...).

ყველაზე რთული მაინც მუსიკაზე წერაა, მაგრამ ძალიან მინდა, მიეჩვიოს საკუთარ ემოციებზე დაკვირვებას და მერე ფურცელზე გადმოტანას, ამიტომ ერთ-ერთი დავალება სწორედ ამ შინაარსის იქნება. დაჩი ხშირად უსმენს მსოფლიოში ცნობილი რეპერის, ემინემის, სიმღერებს, მაგრამ არ გამიგია, მოესმინოს სიმღერისთვის „I'm Sorry Mama". ჩემზე ეს სიმღერა ყველაზე მეტად მოქმედებს. შევთავაზებ, რომ მოუსმინოს (მხოლოდ სიმღერას, რადგან კლიპი საკმაოდ დამთრგუნველია). კარგი იქნება, თუ ტექსტითაც დაინტერესდება.

დავალება N6 – ემოციების აღწერა.

რამდენჯერმე მოუსმინე სიმღერას და დაუკვირდი, რა ემოციები გეუფლება მისი მოსმენისას. შემდეგ სცადე, ეს ემოციები 10 წინადადებით გადმოსცე. გაითვალისწინე: ემოცია შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც.

- შენი გადასაწყვეტია: შეგიძლია, დაწერო ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ათი წინადადება ან ერთი გაბმული ათწინადადებიანი ტექსტი.
- ემოციების აღსაწერად გამოიყენე მხატვრული ხერხები.

ვფიქრობ, საკმარისი რაოდენობის დავალება დაგროვდა. განხორციელების პროცესში, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს, დაემატოს ან გამოაკლდეს. იქნებ ჩემმა შვილმა მიკარნახოს კიდეც უკეთესი, მისთვის უფრო სასურველი, სახალისო დავალება.

ვიცი, ბევრად საინტერესო იქნებოდა ეს სტატია, ამ აქტივობების შედეგებიც რომ წარმომედგინა, მაგრამ ამასობაში ზაფხულიც გავა და სანამ გავა, იქნებ სხვა თინეიჯერსაც გამოადგეს. ამიტომ ახლა ისღა დამრჩენია, წერილი რედაქციაში გავგზავნო, მე კი ბანაკში წასულ დაჩის დაველოდო და მოვიფიქრო, როგორ შევაპარო ჩამოსულს ჩემი „სიურპრიზი".



ნინო ლომიძე

ცხოვრების საზრისი როგორც დანიშნულების პუნქტი თუ... ძიება?

დღეს მოზარდთა ფსიქოემოციური და სოციალური საჭიროებების ამოცნობა, მათი გაძლიერება, იმ სამარჯვების სწორად შერჩევა, რომლებიც ახალგაზრდებს სირთულეების გადალახვაში დაეხმარება, გადამწყვეტი მნიშვნელობისა მგონია.

პიროვნული განვითარების გზაზე მოზარდობის პერიოდი სირთულეებით გამოირჩევა. ეს ალიარებული და საყოველთაოდ ცნობილი მოცემულობაა. ამ თემას არ განვავრცობ. საკითხავი და საფიქრალი აქ ისაა, როგორ უხვდება სკოლა ამ გამოწვევას. განსაკუთრებით – თანამედროვე სამყაროში. განსაკუთრებით – ჩვენი მოზარდების შემხედვარე.

რას ვაგებებთ მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს? რამდენად თანადროულია სწავლებისადმი საუკუნეების წინ შემუშავებული მიდგომები და საგანმანათლებლო პრინციპები?

დღეს მოზარდთა ფსიქოემოციური და სოციალური საჭიროებების ამოცნობა, მათი გაძლიერება, იმ სამარჯვების სწორად შერჩევა, რომლებიც ახალგაზრდებს სირთულეების გადალახვაში დაეხმარება, გადამწყვეტი მნიშვნელობისა მგონია. ყოველ შემთხვევაში, დასასწავლი და დასამახსოვრებელი საპროგრამო შინაარსების კონსერვირებაზე მეტად მნიშვნელოვანი მაინც. სასწავლო შინაარსით დაწყებული, სკოლის დღის განრიგით დამთავრებული, პროცესი აქეთ უნდა იყოს მიმართული.

კონკრეტული მაგალითი – რომანტიზმი „მოზარდის სამსახურში“

რომანტიზმის შესწავლისას ეგზისტენციურ საკითხებში ჩაღრმავება საინტერესო და მარგებელია ახალგაზრდისთვის. თუ მასწავლებელმა შეძლო და თავი მკვლევრად წარმოადგენინა მოსწავლეს, ის ისიამოვნებს ცხოვრებისეული „რთული“ კითხვების პირისპირ მედგრად დგომით. „კვლევა-ჩხრეკის“ სურვილით ანთებული ადამიანისთვის ყველაფერი შეიძლება იქცეს დაკვირვების საგნად. ყველაფერი და უპირველეს ყოვლისა – საკუთარი თავი.

სოლომონ დოდაშვილის ეს ციტატა კარგ მოტივატორად შეიძლება ვაქციოთ: „ყურადღება მივაპყროთ ჩვენს თავს, ჩავწვდეთ ჩვენს თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამით ჩვენში და ჩვენს ირგვლივ სიმშვიდე დავამყაროთ. ყურადღება მივაპყროთ ჩვენს თავს – ნიშნავს განვაყენოთ იგი ყოველივე იმისგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის: ეს ხდება, როცა აზრობრივად განვეყენებით ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისაკენ. ჩავწვდეთ ჩვენს თავს – ნიშნავს გულდასმით ვიფიქროთ ჩვენში მიმდინარე შინაგან მოვლენებზე, ვაქციოთ ჩვენი თავი გამოკვლევის უშუალო საგნად. ჩვენი თავის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არა უნარი იმისა, რომ სწორად ვიმსჯელოთ მთელს ჩვენს ქმედით ძალაზე; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება ჩვენი ბუნების მოქმედების კანონები, ამ მოქმედების საზღვრები და მიზანი. გავიგებთ ჩვენს თავს, თუ შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენი აზრების, ცოდნისა და ქცევის საკმაო მიზეზები. ჩვენში და ჩვენს ირგვლივ სიმშვიდეს დავამყარებთ, როდესაც ჩვენში ჩამოვაყალიბებთ ჰარმონიულ მოქმედებას, მივმართავთ რა მას ჩვენი დანიშნულებისაკენ. ამრიგად განყენება და განაზრება, თვით ჩვენი თავის შეცნობა და გაგება, დაკმაყოფილება საკუთარი თავის ამგვარი თვითშემეცნებით – აი ფილოსოფიური გამოკვლევის სამი საგანი“.

- ვინ ვარ და რისთვის ვცხოვრობ ამქვეყნად?
- რას მასწავლის წარსული და რა მომელის მომავალში?
- რა არის ჩვენი ყოფა - წუთისოფელი?
- რა არის ცხოვრების საზრისი?
- რაგვარია რეალობა, სინამდვილე?
- შეუძლია თუ არა ადამიანს შეცნობა, შემეცნება, გასწვდება თუ არა მისი გონი სამყაროს საიდუმლოების ამოცნობას?

www.mastsavlebeli.ge

www.mastsavlebeli.ge



ირმა ტაველიძე

ერიკ ვუიარის „დღის წესრიგი“ – რა ვისწავლეთ?

პატარა წიგნია. გულდასაწყვეტად პატარა. როგორი გამოზოგვითაც უნდა იკითხო, ორ დღეზე მეტს ვერ მოანდომებ. იმის იმედად უნდა იყო, რომ ხანი გამოხდება და თავიდან დაიწყებ, თავიდან გაბრაზდები ადამიანთა ბრიყვულ სიბრმავესა თუ სამარცხვინო ანგარიშიანობაზე. ძველი შეცდომების დათვლასაც ყოველთვის მოეძებნება გამართლება, მით უფრო, თუ ამას კარგი მწერალი აკეთებს, საკუთარი ამოცანის ბოლომდე გაცნობიერებითა და იმ იმედით, რომ მკითხველი დასანახს დაინახავს, გაჰყვება, სხვასაც გაიყოლებს.

2017 წლის ოქტომბერში, როცა ევროპაში ახალი ომი წარმოუდგენლად გვესახებოდა, ფრანგი მწერლის ერიკ ვუიარის „დღის წესრიგმა“ გონკურის პრემია მიიღო. წიგნში აღწერილი ამბები, 1933 წლისა თუ 1938-ის, შორეულად მოჩანდა – მეორე მსოფლიო ომის წინ ავბედითად გარინდებული ევროპის ქვეყნები, მანიპულატორთა უხვსიტყვაობა და სხვადასხვაგვარ სარგებელს დახარბებულთა გათვლები... რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ ისტორია ხშირად მეორდება, მაგრამ გვერდიდან გვერდზე მაინც მშვიდად გადავდიოდით – რა ხელი უნდა ჰქონოდა დღევანდელობასთან ვენელი ნაცისტების მგზნებარებას, 1938 წლის 12 მარტის საღამოს ჰიტლერის დასახვედრად რომ ემზადებოდნენ?

არც ერიკ ვუიარის ეს სიტყვები ჰგავდა გაფრთხილებას: „ამ ომში ყველაზე გასაოცარი თავხედობის გაუგონარი წარმატებაა. აქ ერთი რამ უნდა დავიმახსოვროთ: მსოფლიომ ბლეფს დაუჯერა. ყველაზე სერიოზულმა, მკაცრმა, ძველი ყაიდის სამყარომ, რომელიც სამართალსა და ამბოხებულ ხალხს არად აგდებდა, ბლეფის წინაშე მოიდრიკა ქედი“. როგორ გახდა შესაძლებელი ასეთი რამ? რამ აიძულა ადამიანები, რომ მოახლოებული კატასტროფის ნიშნებს მეტ-ნაკლები სიმშვიდით შეხვედროდნენ, ზოგჯერ კი ხელიც შეეწყოთ ურჩხულის გაძლიერებისთვის?

წიგნში იმ საიდუმლო შეკრებაზეც აღმოვჩნდებით, რომლის შემდეგაც მსხვილმა მეწარმეებმა ნაცისტური პარტიის საარჩევნო კამპანია დააფინანსეს. გავიდა რამდენიმე წელი და ხელგაშლილობა ერთიანად დაუფასდათ: „ომი სარფიანი საქმე იყო. Bayer-ი მუშახელს მაუთჰაუზენში შოულობდა, BMW – დახაუში, პეპენბურგში, ზაქსენჰაუზენში, ნაცვაილერ-შტრუტჰოფსა და ბუხენვალდში, Daimler-ი – შირმეკში. IG Farben-ს ხალხი აჰყავდა დორამიტელბაუში, გროს-როზენში, ზაქსენჰაუზენში, ბუხენვალდში, რავენსბრუკში, დახაუში, მაუთჰაუზენში და გიგანტური ქარხანა ჰქონდა აუშვიცის ბანაკშივე. [...] Agfa დახაუდან მარაგდებოდა მუშახელით. Shell-ი – ნოიენგამედან. Schneider-ი – ბუხენვალდიდან. Telefunken-ი – გროს-როზენიდან. Siemens-ი – ბუხენვალდიდან, ფლოსენბურგიდან, ნოიენგამედან, რავენსბრუკიდან, ზაქსენჰაუზენიდან, გროს-როზენიდან და აუშვიციდან. ყველა დაეშურა უფასო მუშახელს“.

მძიმეა. თვალი მეურჩება, მაგრამ მაინც ვაიძულებ, რომ გაჩერდეს, შეეჩვიოს.

ანშლუსის ისტორიასაც, წესით, რაღაც უნდა ესწავლებინა. ვკითხულობ 1938 წლის მარტის დღეების ქრონიკას და შარშანდელი, შარშანწინდელი ამბები მახსენდება. ცხადია, სხვა დროა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური გადაწყვეტილებებიც სხვაგვარია, მაგრამ მაინც მაქვს საფრთხის სიახლოვის განცდა – მაშინაც ხომ იყვნენ გონიერი ადამიანები, სურათის მკაფიოდ დანახვა რომ შეეძლოთ, წარსულის გაკვეთილები რომ ესწავლათ და სწორი დასკვნებიც გამოეტანათ, თუმცა საბოლოოდ ვერაფერს გახდნენ.

12 მარტის ღამეს ვენელი ნაცისტები ჩირაღდნებიანი მსვლელობის მოწყობას აპირებდნენ, გერმანელების ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ, ისინი კი, რატომღაც, იგვიანებდნენ. მერე სამი ჯარისკაცი გამოჩნდა, რომლებსაც არმიის დასაბანაკებელ ადგილზე უნდა ეზრუნათ. „ავსტრიელები ისე მოუთმენლად ელოდნენ დაპყრობას, მთელი ქალაქი მოატარეს ტრიუმფალური სვლით, – გვიყვება ერიკ ვუიარი და ხმაში დამცინავი ინტონაცია ეპარება: – საწყლებმა ვერ გაიგეს, რატომ გამოიწვიეს ასეთი ვნებათაღელვა. არ ეგონათ, რომ მათი ამგვარი სიყვარული შესაძლებელი იყო. ცოტა შეშინდნენ კიდეც... სიყვარული ზოგჯერ შემზარავია“.

ამ შემზარავ სიყვარულზეა მისი წიგნი. ნებაყოფლობით დაბრმავებასა და დაყრუებაზე. და იმაზეც, როგორ უახლოვდებოდა ევროპა კატასტროფას ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორ მძიმდებოდა ჰაერი და საშინელი, დაუჯერებელი ამბები ერთმანეთს ცვლიდა. მაშინ, ოცდაათიანებში.

შორენა ტყეშელაშვილი

მხიარული გაკვეთილები კვებაზე სკოლებში, სადაც ბავშვებს შიათ

ხუთშაბათობით ჩემს მეორეკლასელ შვილს სკოლაში „კვების გაკვეთილი“ ჰქონდა. რას გულისხმობს კვების გაკვეთილი? სემესტრის დასაწყისში მშვენიერი წიგნი გადმოგვცეს, რომელსაც ერქვა „მხიარული გაკვეთილები კვებაზე“. წიგნი ფერადი და მხიარული ილუსტრაციებით არის დასურათებული და საინტერესო გმირები ჰყავს – ეკა მასწავლებელი, მოსწავლეები, მეცნიერი ბუბა ბაბუ, მისი თუთიყუში თუთიკო, მზარეული იფ-იფი და სხვები. მზარეული იფ-იფი უგემრიელეს კერძებს ამზადებს და სანამ ბავშვებს გაუმასპინძლდება, სთხოვს მათ, მოუყვნენ, რა იციან სუფრასთან ქცევის წესების შესახებ. ამ წიგნში ეკა მასწავლებლის მოსწავლეები საინტერესო თავგადასავალში აღმოჩნდებიან, ბუბა ბაბუ მათ მხიარულ მეჯლისზე წაიყვანს ბოსტანში. მეჯლისი ულამაზესი ყვავილოვანი კომბოსტოს დაბადების დღის აღსანიშნავად იმართება. ის ხუთი წლის გახდა და მისი დაბადების დღის წვეულებაზე ყველა ბოსტნეული საზეიმოდ არის გამოპრანჭული. წვეულებაზე ტალახით მოსვრილი კარტოფილი ჭარხალს ეცეკვება, კიტრი – პამიდორს, ატმები და ბროწეულები ხის ტოტებზე ცეკვავენ და ზოგჯერ იმაზეც კამათობენ, რომელი უფრო გემრიელი და სასარგებლოა. მეჯლისის სტუმრები ერთობიან, ცეკვავენ და მხიარულობენ.

ეს მართლაც მხიარული ამბების წიგნი ისეთ აქტუალურ და საჭირბოროტო თემებს ეხება, როგორიცაა ჯანსაღი საკვები, დაბალანსებული და რაციონალური კვება, ჰიგიენისა და სუფრასთან ქცევის წესები, სეზონური ხილი, ვინ არიან ბავშვების უხილავი მეგობრები, რა უნდა ჭამონ ბავშვებმა, რომ ჯანმრთელები იყვნენ და ა.შ. ამ მშვენიერ ილუსტრირებულ წიგნში ბევრი სახალისო დავალებაცაა და სახალისო მენიუებიც, რომელთა მიხედვით მოსწავლემ თავად შეიძლება მოამზადოს კერძი ოჯახის წევრებისთვის.

წიგნი, რომელსაც ერთ-ერთი კვების კომპანია წარმოგვიდგენს, ნამდვილად შესანიშნავი რესურსი იქნებოდა ისეთი სკოლებისთვის, სადაც ბავშვებს არ შიათ. სკოლების უმრავლესობაში ხომ ბავშვები გაკვეთილებზე მშივრები არიან. მშიერი ბავშვი კი, მოგეხსენებათ, ვერ სწავლობს, რადგან მისი გონება სწავლაზე კონცენტრირებას ვერ ახერხებს.

მოსწავლეების უმეტესობა ძირითადად ნახშირწყლოვანი საკვებით იკვებება, ცილოვანი საკვები აკლიათ, იშვიათად იღებენ რძის პროდუქტებს. როგორც ცილა, ისე კალციუმი მოზარდის ორგანიზმისთვის აუცილებელია. დაბალშემოსავლიანი ოჯახები ვერ ახერხებენ ბავშვების ხორცით უზრუნველყოფას, დაუბალანსებელი კვება კი იწვევს ანემიას, კალციუმის დეფიციტს და ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე მოქმედებს.

„ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მოზარდ ასაკში რკინაზე მოთხოვნილება მაღალია. მოზარდებს მიდრეკილება აქვთ ანემიის განვითარებისკენ, რაც უმეტესად რკინის დეფიციტით არის განპირობებული. ჰემოგლობინის რაოდენობა მთლიანად დამოკიდებულია ორგანიზმში რკინის შემცველობაზე. ჰემოგლობინი არის ჟანგბადის ძირითადი გადამტანი ორგანიზმში.

ბოლო ათწლეულში სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ანემიებმა 5,7-ჯერ იმატა, ხოლო საკუთრივ რკინადეფიციტურმა ანემიამ – 4,2-ჯერ. ბავშვთა კონტინგენტში რკინადეფიციტური ანემიის წილი, რეგიონების მიხედვით, 20%-დან 24,3%-მდე მერყეობს, რაც არასრულფასოვანი და ხელოვნური კვების შედეგია.

მომწიფების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რკინით მდიდარ საკვებს, როგორიცაა მჭლე ხორცი, თევზი, ლობიო, ჰალვა, მუქი მწვანე ბოსტნეული, კაკალი და რკინით მდიდარი მარცვლეული.

რკინის მნიშვნელოვანი წყაროებია საქონლის ღვიძლი, ფილტვები, ხორცი, თეთრი სოკო, ატამი, კომში, პური, ვაშლი, კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, ქლიავი...

ჩონჩხის ზრდა ყველაზე ინტენსიურად მომწიფების პერიოდში მიმდინარეობს. ძვლების ძირითადი შემადგენელი ელემენტი კალციუმია. კალციუმის ყველაზე ინტენსიური მოხმარება სქესობრივი მომწიფების პერიოდში ხდება, როდესაც თავს იჩენს ე.წ. „ზრდის აფეთქებები“. შესაბამისად, ამ ასაკში მაღალია მოთხოვნილება კალციუმზე.

კალციუმის ძირითადი წყაროა რძის ნაწარმი (ხაჭო, მაწონი, იოგურტი, ყველი, ნადუღი), კვერცხი, კომბოსტო და სხვ. მიღებული საკვებიდან ხდება კალციუმის მხოლოდ 30%-ის შეთვისება, ამიტომ აუცილებელია, საკვები შეიცავდეს დიდი რაოდენობით კალციუმს, რომელიც საჭიროა ძვლოვანი სისტემის ფორმირებისთვის“ (NCDC).

როგორც სხვადასხვა კვლევით დასტურდება, საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონში ხორცის, თევზისა და რძის პროდუქტების წილი დაბალია, რაც განპირობებულია როგორც კვებითი კულტურით, ისე ინფლაციითა და პროდუქტებზე ფასების ზრდით.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებულ კვლევაში, რომელიც ბავშვის კეთილდღეობას ეხება, ნათქვამია, რომ ბავშვების მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%) სკოლის საათების განმავლობაში ყოველდღიურად იკვებება, ხოლო მესამედზე მეტი (34.9%) – არასდროს. საკვების მიღება უფრო დაბალია მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებთან, რომლებიც საერთოდ არ იღებენ საკვებს სკოლის საათებში, რისი ძირითადი მიზეზიც ფინანსების უქონლობაა.

კარგად ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია ვიტამინებითა და ცილებით მდიდარი საკვები ბავშვის მზარდი ორგანიზმისთვის, მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის. თუ ბავშვი თავისი ასაკისა და განვითარების შესაბამისად ვერ იკვებება, იმატებს განვითარების პრობლემები.

„კავკასიის ბარომეტრის“ კვლევა 2021 წლის 17 დეკემბრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე პერიოდში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით 1540 პირისპირ ინტერვიუ შედგა. რესპონდენტებმა ყველაზე დიდ პრობლემად უმუშევრობა, სიღარიბე და ფასების ზრდა მიიჩნიეს. ყოველი მეხუთე ადამიანი (გამოკითხულთა 20%) აცხადებდა, რომ ფული საკვებზეც კი არ ჰყოფნიდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოკითხულთა 46%-ს არ ჰქონდა ფული საკვების საყიდლად, 38%-ს კი სესხება მოუწია სურსათის შესაძენად.

ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები მთელი დღის განმავლობაში მშიერნი არიან, რადგან ოჯახებს არ აქვთ საშუალება, მათ სკოლისთვის შესაფერისი საკვები გაატანონ და ხშირად არც ფული აქვთ, რომ საკვები იყიდონ. სკოლებში უფასო კვების საკითხის ადვოკატირება მნიშვნელოვანია და ამაზე უნდა ვლაპარაკობდეთ მშობლებიც და მასწავლებლებიც, რომლებმაც ყველაზე კარგად ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანსაღად კვება. მასწავლებლებმა უნდა ილაპარაკონ იმაზე, რა ხდება მათ გაკვეთილებზე და როგორია მშიერი ბავშვი გაკვეთილზე. ხარისხიან განათლებასთან ერთად ბავშვთა ჯანსაღი კვებაც უმნიშვნელოვანესია.

ჩვენი წიგნის „მხიარული გაკვეთილები კვებაზე“ პერსონაჟი ბუბა ბაბუ მოსწავლეებს ასე არიგებს: „საუზმე აუცილებელია, რადგან სკოლაში ენერგიაა საჭირო, რათა ტვინმა კარგად იმუშაოს, ადვილად ამოხსნათ ამოცანები და სხვადასხვა სავარჯიშო. სკოლაში 2-3 გაკვეთილის შემდეგ, როცა ტვინმა უკვე დიდი სამუშაო შეასრულა, გვარიანად მოგშივდებათ, ამიტომ, შინ მისვლამდე სკოლის სასადილოში ჯობია წახემსება. შეგიძლიათ, იქვე შეიძინოთ ან სახლიდან წაიღოთ ვაშლი, ბანანი ან რომელიმე ხილი, ხომ გახსოვთ, რამდენ ვიტამინს შეიცავს? რძის პროდუქტიც არ დაგავიწყდეთ, მაგალითად, იოგურტი, მაწონი ან ხაჭო. ასეთი გემრიელი და მსუბუქი წახემსება თქვენს დახარჯულ ენერგიას ადვილად შეავსებს“.

მოსწავლეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სკოლებში უფასო საკვები და ეს ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ.

მოსწავლეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სკოლებში უფასო საკვები და ეს ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ.

კარგად ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია ვიტამინებითა და ცილებით მდიდარი საკვები ბავშვის მზარდი ორგანიზმისთვის, მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის. თუ ბავშვი თავისი ასაკისა და განვითარების შესაბამისად ვერ იკვებება, იმატებს განვითარების პრობლემები.

ირმა კახურაშვილი

თეთრი ფურცლის შიში

მასწავლებლებისთვის კარგად ნაცნობია მდგომარეობა, როცა ზიხარ, მისჩერებიხარ ცარიელ ფურცელს და არ იცი, საიდან დაიწყო. ასეთი პრობლემა დიდი მწერლებისთვისაც კი არ არის უცხო. თუ თეთრი ფურცლის შიში თქვენც გქონიათ, ამ სტატიიდან შეიტყობთ, საიდან ჩნდება ის და როგორ გადალახოთ.

შეიძლება ითქვას, რომ თეთრი ფურცლის შიში სრული გაუგებრობაა: თითქოს მზად ხართ სამუშაოდ, მაგრამ თავში არცერთი ღირებული აზრი არ მოგდით.

ისიც შეიძლება, გქონდეთ კარგად გააზრებული იდეა, თუნდაც მთელი სამუშაო გეგმა, მაგრამ პირველი წინადადების დაწერა გიჭირდეთ.

ეს არ არის საქმის ჩვეულებრივი გაჭიანურება (პროკრასტინაცია), როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

მაშ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

თეთრი ფურცლის შიში უმეტესად კომპლექსური პრობლემაა, რომელსაც რამდენიმე მიზეზი აქვს, თუმცა შესაძლოა, წამყვანი იყოს ერთი მათგანი.

წარუმატებლობის შიში ყველაზე ძველი და ცნობილი შიშია.

კრიტიკის შიში – ეს არის საზოგადოებრივი აზრის შიში. ჩვენ გვეშინია, რომ ჩვენს ჩანაფიქრს მეტისმეტად მკაცრად შეაფასებენ.

სხვებზე უარესად კეთების შიში უკვე პერფექციონიზმის გამოვლინებაა.

ზოგიერთს ეშინია, რომ საქმეს შუა გზაზე მიატოვებს, რადგან მისდამი ინტერესს დაკარგავს.

ზოგიერთს ეშინია, რომ მის ნამუშევრებში მისი სული გაშიშვლდება და სხვები დაინახავენ, რას წარმოადგენს ის.

შიში უმეტესად მხოლოდ დამატებითი ფაქტორია. თეთრი ფურცლის სინდრომის მთავარი მიზეზი სიტყვების საშუალებით საკუთარი აზრის გადმოცემის შეუძლებლობაა, გამოცდილებისა და ცოდნის ნაკლებობის ბანალური შედეგი.

როგორ გავუმკლავდეთ ამ ყველაფერს?

შიშებთან მუშაობა აუცილებელია. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ შიშების იდენტიფიცირება.

ჩაუღრმავდით საკუთარ თავს, დაფიქრდით, საიდან ჯობია დაწყება. თუ მთავარ შიშს მიაკვლიეთ, ის ფურცელზე სიტყვიერად მოინიშნეთ. გააანალიზეთ, ნაწილებად დაყავით და მოიფიქრეთ, რა შეიძლება გაკეთდეს მის აღმოსაფხვრელად.

სცადეთ ფრირაიტინგის მეთოდი – უბრალოდ იღებთ ქაღალდს და 5-10 წუთის განმავლობაში წერთ იმას, რაც თავში მოგდით. რამეს კი არ იგონებთ, არამედ უბრალოდ მექანიკურად იწერთ აზრებს. იმავდროულად, თქვენი ქვეცნობიერი თქვენთვის საინტერესო თემის გარშემო ტრიალებს და ადრე თუ გვიან გაწვდით საინტერესო იდეას, რომელიც თქვენთვის ათვლის წერტილად იქცევა.

ან გამოიყენეთ სთორითელინგი. დაახლოებით ხუთ კვირაში ისწავლით, როგორ გამოხატოთ თქვენი აზრები მოხდენილად, დამაჯერებლად და საინტერესოდ, ისე, რომ თქვენმა ამბებმა ემოციები გამოიწვიოს, დააფიქროს სხვები და შთააგონოს.

სთორითელინგი აუდიტორიასთან ყველაზე ეფექტური კომუნიკაციის ხელოვნებაა. ეს ტერმინი მომდინარეობს ორი ინგლისური სიტყვიდან: story – ამბავი და tell – თხრობა.

თხრობის აქტი უძველესი დროიდანვე პოპულარული იყო. შეიძლება ითქვას, რომ თხრობა გამოიგონეს პირველყოფილმა ადამიანებმა იმ მომენტში, როდესაც გამოქვაბულის კედლებზე ხატვა დაიწყეს. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, მიდგომები მკვეთრად შეიცვალა. ადამიანები გამუდმებით პოულობენ პრეზენტაციის ახალ-ახალ მეთოდებს, ზეპირი გადმოცემით დაწყებული და სიმღერებით დამთავრებული. თხრობის ინსტრუმენტია წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები.

თანამედროვე სთორითელინგისთვის პოპულარული ადგილი ინტერნეტია. ის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია თქვენი გზავნილის გადასაცემად. ონლაინ მოთხრობილი ისტორიები ხელს უწყობს საიტზე ვიზიტორების მოზიდვას, ჩართვას და ჩართულობას და ა.შ.

ამერიკელი მწერალი, სცენარების ავტორი, მუსიკოსი, ფილმების პროდიუსერი და რეჟისორი სტივენ კინგი ყოველდღე 1000 სიტყვას წერს. არ აქვს მნიშვნელობა, ეწვევა თუ არა შთაგონება – მან იცის, რომ რაღაც უნდა დაწეროს. ასე მუშაობენ პროფესიონალები, რომელთა საარსებო წყარო შემოქმედებაა. საკმაოდ არარომანტიკულად ჟღერს, მაგრამ ჯობია, ასე წერო, ვიდრე საერთოდ არ წერო. დაე, თქვენი სიტყვები იძულებითი იყოს – მთავარია, დაიწეროს, საჭიროების შემთხვევაში მათ დახვეწას ყოველთვის მოახერხებთ.

თუ ხვდებით, რომ მაინც არაფერი გამოგდით, შეგიძლიათ, ოდნავ უკან დაიხიოთ და სხვა რამ გააკეთოთ, სახლი დაალაგოთ ან სხვა პროექტზე დაიწყოთ მუშაობა.

როგორც უკვე ვთქვით, ხშირად წერის დაწყებას აზრის გამოხატვის შეუძლებლობა ართულებს. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს გეგმის შედგენა. ყველას მოგვწონს ინსტრუქციები და ალგორითმები, ტვინს ძალიან სიამოვნებს მათთან მუშაობა, რადგან წარმოუდგენელად ზარმაცია, გაკვალულ გზაზე სიარული მისთვის გაცილებით ადვილია, ვიდრე ამ გზის გაკვალვა. გეგმა ლიანდაგია. ის ანაწილებს თქვენს აზრებს, ახდენს მათ კატეგორიზაციას და ეს საგრძნობლად ამარტივებს მათ გადმოცემას.

ტვინის მოტყუება უფრო ადვილია, ვიდრე მასთან ბრძოლა. თუ ის წარუმატებლობით, კრიტიკით, ინტერესის დაკარგვით გაშინებთ, უთხარით: „კარგი, ტვინო. კომპრომისს გთავაზობ. დღეს ერთ აბზაცს დავწერ და დანარჩენი გამოჩნდება“. არის შანსი, ტვინს პროცესი მოეწონოს და მუშაობა განაგრძოთ.

დაბოლოს, რამდენიმე რჩევა ავანგარდისტი მწერლებისგან:

ფრანგი პოეტი ლოტრეამონი პლაგიატსაც კი გვირჩევდა, არა პირდაპირ ტექსტის, არამედ „იდეის სესხებას“ და საკუთარი სიტყვებით მის გაცოცხლებას.

რობერტ დესნოსი გვთავაზობდა მედიტაციურ თავისუფალ წერას. წაიკითხეთ რამე, მოძებნეთ წყნარი, იზოლირებული ადგილი, მოეშვით, გაიხსენეთ სიტყვები, თუნდაც ახლახან წაკითხულიდან, და ჩაიწერეთ.

უილიამ ბეროუზს კომბინატორიკა უყვარდა. ის გვირჩევდა, აგვეღო ჩვენივე (ან სხვისი) ძველი ნამუშევრები, ამოგვეჭრა აბზაცები, გაგვეერთიანებინა და შემდეგ მოგვეძებნა მათში წინადადებები, რომლებიც რაღაც აზრიანად გაერთიანდებოდა. და ასე გაგვეგრძელებინა, ვიდრე მუზა არ მოგვივიდოდა.

ამრიგად, თუ თავს მოვუყრით ყოველივე ზემოთქმულს, მივიღებთ ტექნიკების მთელ სპექტრს, რომლებიც თეთრი ფურცლის შიშისგან თავის დაღწევაში დაგვეხმარება.

წარმატებას გისურვებთ!

ინა იმედაშვილი

მოდი, მოვხსნათ ამ ჩვენს გუდას პირი და დავიწყოთ...

ერთ ქართულ იდიომაზე აგებული ტექსტი და რამდენიმე აქტივობა ბავშვებისთვის

წლების წინ, როცა მეც თქვენხელა ვიყავი, მე და ჩემი მეგობრები უამრავ თამაშს ვიგონებდით. რა თქმა უნდა, უკვე არსებული და გამოგონებული თამაშებიც გვითამაშია: წრეში ბურთი, ორდროშობანა, ამის პატრონმა რა ქნას, რეზინობანა, გაშეშობანა, ქალაქობანა და კიდევ უამრავი რამ. თუმცა მაშინ ძალიან ბევრი დრო გვქონდა, ამიტომ ჩვეულებრივი თამაშები არ გვყოფნიდა, მალე გვბეზრდებოდა და რაღა დაგვრჩენოდა, შევუდექით ჩვენი თამაშების მოფიქრებას.

ყველაზე მეტად ერთი თამაში მიყვარდა, ამბები უნდა გამოგვეგონებინა და „ზღაპრაობა“ დავარქვით. როცა მოსაღამოვდებოდა, ათამდე ბავშვი ვსხდებოდით წრეზე, ერთ-ერთი ჩვენგანი, რომელსაც გათვლის შემდეგ თამაშის დაწყების პატივი ერგებოდა, იწყებდა თავისივე გამოგონილი ამბის თხრობას, ამ ამბავს მეორე ბავშვი აგრძელებდა, მერე – მესამე და ასე შემდეგ. მოკლედ, მოვხსნიდით ჩვენს გუდას პირს და იქიდან ათასნაირ სიტყვასა და პერსონაჟს ვუშვებდით.

აი, ახლა მეც მოვხსენი ჩემს გუდას პირი და ჩემი ბავშვობის ერთი მოგონება გავაცოცხლე. ჰოდა, გუდას პირი მოხსნაო, მაშინ ამბობენ, როდესაც ვინმე თხრობას იწყებს და არ ამთავრებს, ლაპარაკობს და ლაპარაკობს.

გუდა ტყავის უძველესი ზურგჩანთაა, რომელშიც ინახავდნენ ყველსა და სხვა რძის ნაწარმს, საზოგადოდ, საკვებს. ის ძალიან მნიშვნელოვანი ნივთი ყოფილა მგზავრობისას. აუცილებლად გემახსოვრებათ ზღაპარი ნაცარქექიაზე: სახლიდან რომ გააგდეს ძმებმა, ერთი გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აჰკიდეს. ის ამბებიც უნდა მოგაგონდეთ, ნაცარქექიამ ამ გუდითა და ნაცრით რომ დაატრიალა.

თუკი ადამიანი გამოგონილ ამბებს ჰყვება, იტყვიან, ტყუილების გუდას მოხსნა პირიო. პეპის ყველა იცნობთ, მართალი ამბების თხრობა მაინცდამაინც არ უყვარდა. ერთხელ, როდესაც ტომს უამბობდა, ინდოეთში თავდაყირა როგორ დასეირნობენ, ტომმა ჩაიცინა და უთხრა: „– მოხსნა ტყუილების გუდას პირი!“

პეპიც გამოტყდა რომ ტყუის და ზოგჯერ ტყუილი და მართალი ერთმანეთში ერევა.

აბა, დაფიქრდი, შენ როგორ გუდას მოხსნი ხოლმე პირს?

ლექსიკონი

ლაყბობა – ბევრი და უაზრო ლაპარაკი.

ნაცარი – წვის შედეგად დარჩენილი რუხი ფერის მტვრის მსგავსი მასა.

დაუკვირდი თამაშების სახელებს, შეეცადე, შენც გამოიგონო თამაშები და მათი სახელები. მე მინიშნებებს დაგიტოვებ!

ქალაქი – ქალაქობანა: მოთამაშეები ირჩევენ კონკრეტულ ასო-ბგერას და ამ ასო- ბგერაზე უნდა მოიფიქრონ: ქალაქი, ქვეყანა, კინოფილმი, ცხოველი, ფრინველი, მდინარე და ცნობილი ადამიანი. გამარჯვებული ისაა, ვინც ყველაზე მალე დაასრულებს სიტყვების ჩამოწერას.

ორი დროშა – ორდროშობანა: მოთამაშეები იყოფიან გუნდებად, მოინიშნავენ საკუთარ ტერიტორიებს და დროშებს ათავსებენ. თამაშის იდეაა, ერთმა გუნდმა მეორეს დროშა ისე მოპაროს, რომ ვერ დაიჭირონ. გუნდებს შორის საზღვარს ცარცით ან ნახშირით ავლებენ.

ახლა შენი ჯერია:

სიტყვა –

ყვავილი –

ინტერვიუ –

სკოლა –

გემი –

პლანეტა –

ტექსტი კიდევ ერთხელ წაიკითხე დაკვირვებით, იპოვე სამი ამბავი, რომლებიც მოკლედ არის გადმოცემული და ისე განავრცე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ. არ დაგავიწყდეს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. შეგიძლია, მოვლენები შეცვალო, გადაანაცვლო და პერსონაჟები დაამატო.

როგორ წარმოგიდგენია ამბების გუდა? დახატე შენი წარმოსახვით.



ახლა კი მოხსენი შენს გუდას პირი და მოგვიყევი შენი ყველაზე მნიშვნელოვანი მოგონება. მთავარი წესია: რაც შეიძლება ბევრი ილაპარაკე!

ხომ არ გაგახსენდა რომელიმე ზღაპარი, ამბავი, წიგნი, სადაც პერსონაჟი ტყუილების გუდას ხსნის პირს? ჩამოწერე სათაურები და პერსონაჟები.

ავუხსნათ მოსწავლეებს, რომ ამგვარ საფიქრალს ეგზისტენციურს უწოდებენ. „ეგზისტენცია“ ლათინური სიტყვაა და არსებობას ნიშნავს. ეგზისტენციური კითხვები პიროვნების, ადამიანის, ინდივიდის ბედ-იღბალსა და ცხოვრების საზრისთან, ყოფნა-არყოფნასთან, რწმენასთან დაკავშირებული კითხვებია. ეს და მრავალი სხვა ფილოსოფიური კითხვა ადამიანს ოდითგანვე უჩნდებოდა. კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნეები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად პასუხობდნენ ამ კითხვებს. პიროვნული განვითარების გზაზე კრიზისი, უაზრობის ან უიმედობის განცდა, ნიჰილიზმის, ინდიფერენტულობის და „ამგვარ ვნებათა“ შემოტევა ნორმალურია. მთავარი ისაა, როგორ გავუმკლავდებით ამ შემოტევას, რას მოვიშველიებთ, როგორ დავძლევთ.

რომანტიზმის სხვადასხვა გამოვლინების შესწავლისას (ნუ დაივიწყებთ მხატვრობასა და მუსიკასაც), ქართველი ან ევროპელი რომანტიკოსების ლექსების გაცნობისას ცხოვრების ამაოების, ცხოვრების საზრისის ძიება ერთ-ერთ წამყვან თემად და „საკვლევ-საჩხრეკად“ უნდა ვაქციოთ. ამ გზაზე ძალიან დაგვეხმარება ვიქტორ ფრანკლის მეგზურობა.

ვიქტორ ფრანკლი – „ადამიანი ცხოვრების საზრისის ძიებაში“

ვიქტორ ფრანკლი ავსტრიელი ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი და ნევროლოგი იყო. მან შეიმუშავა ფსიქოთერაპიის მიმართულება – ლოგოთერაპია. მუშაობდა ადამიანებთან, რომლებმაც თვითმკვლელობა სცადეს. 1942 წელს ის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა. უმძიმეს პირობებში ხანგრძლივმა ცხოვრებამ ის ყოფიერების საზრისსა და მნიშვნელობაზე დააფიქრა. გათავისუფლების შემდეგ ფრანკლი ხელმძღვანელობდა ვენის ნევროლოგიურ კლინიკას (1946-1970), ასწავლიდა ვენის უნივერსიტეტში, იყო ავსტრიის ფსიქოთერაპევტთა საზოგადოების პრეზიდენტი. მიენიჭა მრავალი სამეცნიერო წოდება და ჯილდო. მისი 31 წიგნი 25 ენაზეა თარგმნილი. 1991 წელს ვენაში ფრანკლის ინსტიტუტი დაარსდა.

ფრანკლის აზრით, ცხოვრების საზრისის ძიება და განხორციელებისკენ მისწრაფება ჩვენი არსებობის უმთავრესი შემადგენელია. ქცევისა და პიროვნების განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად მას სწორედ საზრისის ძიება მიაჩნდა. მისი ცნობილი წიგნის სათაურია „ადამიანი ცხოვრების საზრისის ძიებაში“. ამ წიგნში ის ავითარებს მოსაზრებას, რომ ცხოვრების აზრი არ არის ერთი კონკრეტული პუნქტი ან დანიშნულების ადგილი, სადამდეც ადამიანი მიდის. „საკითხის ასე დასმა –

ცხოვრება არა რაიმე ბუნდოვანს, არამედ რაღაც კონკრეტულს გულისხმობს და ამიტომ ცხოვრების მიერ დაწესებული მოთხოვნებიც აბსოლუტურად კონკრეტულია. ეს კონკრეტულობა განსაზღვრავს ადამიანის ბედისწერას, რომელიც ყველასთვის განუმეორებელი და უნიკალურია.

ცხოვრების საზრისის ძიება საზოგადოდ ადამიანისთვის – არასწორია. ეს იგივეა, რომ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს ვკითხოთ, რომელია საუკეთესო საჭადრაკო სვლა. ყოველი კონკრეტული სიტუაცია, ყოველი ადამიანის უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილება შეიცავს იმ ერთადერთ და უნიკალურ საზრისს, რომელსაც მოცემული სიტუაცია ქმნის". ვიქტორ ფრანკლის ცხოვრებისეული დევიზი იყო: „ვინც იცის, **რისთვის** უნდა იცხოვროს, ის გადალახავს ყოველგვარ **როგორს**".

პიროვნული განვითარებისკენ დაუღალავი სვლა, თვითრეალიზაცია, საკუთარი შესაძლებლობების სწორად, ობიექტურად, გულწრფელად შეფასება და იმის მიხედვით მოქმედება, რასაც გვთავაზობს გარემო, რა შესაძლებლობებიც გვაქვს თავად საუკეთესო ცვლილებებისთვის - ამის გაცნობიერების უნარი მიაჩნია ფრანკლს მნიშვნელოვან სამარჯვად. თუ ადამიანმა ვერ გააცნობიერა საკუთარი შესაძლებლობები და ვერ იმუშავა თვითგანვითარებასა და თვითრეალიზაციაზე, გარდაუვალია ეგზისტენციური კრიზისი – არსებობის უაზრობის მძაფრი განცდა. ამას ფრანკლი „ეგზისტენციურ ვაკუუმს უწოდებს".

გთავაზობთ ამონარიდს მისი წიგნიდან „ვუთხრათ ცხოვრებას დიახ":

კითხვა ცხოვრების საზრისის შესახებ მთლიანად შემოვატრიალოთ: ჩვენ უნდა ვისწავლოთ და სასოწარკვეთილ ადამიანებსაც ვასწავლოთ, რომ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რას უნდა ველოდეთ ჩვენ ცხოვრებისგან, არამედ პირიქით, რას ელის ცხოვრება ჩვენგან.

ჩვენ უბრალოდ ცხოვრების საზრისის შესახებ კი არ ვსვამთ კითხვას, არამედ ჩვენ თვითონვე ვხდებით კითხვის ადრესატები. ცხოვრება ყოველდღიურად, ყოველწამიერად გვისვამს კითხვებს და ამ კითხვებს ჩვენ პასუხი არა თავის მტვრევითა და ლაპარაკით, არამედ მოქმედებით, სწორი ნაბიჯებით უნდა გავცეთ.

ცხოვრება კი სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობა, სწორად ვუპასუხოთ ცხოვრებისეულ შეკითხვებს, შევასრულოთ დავალებები, რომლებსაც ვიღებთ, გადავჭრათ ამოცანები, რომლებსაც ცხოვრება ყოველდღიურად გვიყენებს. ეს მოთხოვნა და მასთან ერთად ყოფიერების არსი ყველასთვის განსხვავებულია და მუდმივად იცვლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანური ცხოვრების საზრისი ვერ იქნება ზოგადი მოცემულობა და ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა არავის შეუძლია.

ცხოვრება არა რაიმე ბუნდოვანს, არამედ რაღაც კონკრეტულს გულისხმობს და ამიტომ ცხოვრების მიერ დაწესებული მოთხოვნებიც აბსოლუტურად კონკრეტულია. ეს კონკრეტულობა განსაზღვრავს ადამიანის ბედისწერას, რომელიც ყველასთვის განუმეორებელი და უნიკალურია.

ვერცერთ ბედისწერას, ისევე როგორც ადამიანს, სხვას ვერ შეადარებ; არცერთი სიტუაცია არ მეორდება და ყოველი სიტუაცია ადამიანისგან განსხვავებულ ქცევას მოითხოვს. ზოგჯერ მან კონკრეტულ სიტუაციაში უნდა იმოქმედოს და შეეცადოს, საკუთარი ბედისწერა თვითონვე შექმნას, ზოგჯერ გამოიყენოს შესაძლებლობა და (დატკბეს ამით) თავისი ღირებულებები განახორციელოს, ზოგჯერ კი უბრალოდ მიიღოს ბედისწერის დარტყმები. თუმცა ყოველი სიტუაცია უნიკალური და განუმეორებელია და ერთ სიტუაციას ერთადერთი სწორი „პასუხი" მიესადაგება.

თუ ბედისწერამ კონკრეტულ დროს ადამიანს სატანჯველი დააკისრა, მაშინ მან ამ ტანჯვაშიც უნიკალური ამოცანა უნდა დაინახოს. ადამიანმა, უნდა გააცნობიეროს, რომ თავისი ტანჯვით სავსე ბედისწერით ის მთელ სამყაროში ერთადერთი და განუმეორებელია. მას ამ ტვირთს ვერავინ მოხსნის, მის მაგივრად ვერავინ ატარებს. მხოლოდ თვითონ შეუძლია, გამოიყენოს შესაძლებლობა, გაუმკლავდეს ბედისწერის მიერ მისთვის განკუთვნილ ტანჯვას.

საკონცენტრაციო ბანაკში ეს ყველაფერი ჩვენთვის რეალობას მოწყვეტილი უბრალო სპეკულაცია არ ყოფილა. მხოლოდ ამ ფიქრებს შეეძლო ჩვენი დახმარება, რადგან სწორედ ეს ფიქრები გვიხსნიდა სასოწარკვეთისგან მაშინ, როცა გადარჩენის შანსი ჩვენთვის უკვე აღარ რჩებოდა. საქმე აღარ ეხებოდა მხოლოდ ცხოვრების საზრისს, რომლის შესახებაც კითხვას ხშირად გულუბრყვილოდ სვამენ ხოლმე და სხვას არაფერს გულისხმობენ, თუ არა რაიმე მიზნის განხორციელებას. ჩვენთვის მთავარი იყო სიცოცხლის საზრისი თავის მთლიანობაში, რომელიც სიკვდილსაც მოიცავს და ამგვარად არა მხოლოდ ცხოვრების საზრისის პოვნას გულისხმობს, არამედ ტანჯვისა და სიკვდილის საზრისისასაც: ამ საზრისისთვის ვიბრძოდით ჩვენ!"

(გერმანულიდან თარგმნა მარიამ შუბლაძემ)

ნათია უჩავა

მასწავლებლის მოტივაცია

მასწავლებლის უდიდესი შრომის უკან ძალიან დიდი და ღრმა ემოცია იმალება. ამ გრძნობას ის ყოველთვის ჩუმად დაატარებს ენთუზიაზმის, საქმის სიყვარულის ხარჯზე, მაგრამ თუ დროდადრო არ მოხდა მისი შევსება, ის განილევა და ამოიწურება.

მუშაობდე მასწავლებლად – ეს ნიშნავს შეეჭიდო რთულ, საპასუხისმგებლო და შრომატევად საქმიანობას. ნებისმიერი პროფესიის ადამიანს, მათ შორის – მასწავლებელს, სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად აკისრია ისეთი პასუხისმგებლობები, როგორიცაა თუნდაც ოჯახის წევრობა. დიახ, მასწავლებელს აქვს პირადი ცხოვრება, რომელიც ხშირად, გარემო პირობებიდან გამომდინარე, უგულებელყოფილია. ის მუდმივად რეფორმებშია, სიახლეებში, კრიტიკის ქარცეცხლში. მასწავლებელს ხშირად სკოლის შემდეგაც უწევს ფიქრი სამსახურზე. სახლშიც აგრძელებს საქმიანობას და ოჯახის წევრებსაც კი აკლებს მათთვის დასათმობ დროს. ბევრ ჩემს კოლეგასთან მისაუბრია ამ თემაზე და ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ჩვენი საქმიანობა სამსახურის შემდეგაც გრძელდება.

როცა მასწავლებლობას იწყებ, მთლიანად ივსები იმ პასუხისმგებლობით, რომელსაც მოსწავლეების წინაშე იღებ. ცდილობ, უფრო მეტი შესთავაზო და გაუკეთო მათ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ როგორც ბავშვისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც აუცილებელია მოტივაცია, რადგან ენთუზიაზმი განლევადია. დღეს მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში ბევრი სტრესის დაძლევა უწევთ, ამიტომ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გარემოს, რომელშიც ისინი საქმიანობენ.

იმისთვის, რომ დამედგინა, როგორ ხდება მასწავლებლისთვის მოტივაციის მიცემა სკოლაში, ჩავატარე გამოკითხვა, რომელშიც რამდენიმე ასეულმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვა ანონიმური იყო. გამოკითხულთა 64%-ის სამუშაო სტაჟი 15 წლიდან იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი პასუხები მრავალი წლის დაკვირვების შედეგია. გამოკითხულთა 99% მიიჩნევს, რომ სკოლის ადმინისტრაცია უნდა ზრუნავდეს მასწავლებლის მოტივაციაზე:

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სკოლის ადმინისტრაცია უნდა ზრუნავდეს მასწავლებლების მოტივაციაზე?



აუცილებელია 348 | არ არის საჭირო 5

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივაცია. ამ წერილში ორივეს შევეხები.

მასწავლებლისთვის მოტივაცია შეიძლება იყოს მოსწავლის წარმატება, სკოლის ადმინისტრაციის მხრივ წახალისება, თანამშრომლების უკუკავშირი, მშობლის მადლიერება, პრემია... საინტერესოა, რამდენად ზრუნავს ამაზე თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი რგოლი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამ მხრივ არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა:

რამდენად ხშირად გიმაღლებთ მოტივაციას სკოლის ადმინისტრაცია?



გამუდმებით 64 | ხშირად 91 | იშვიათად 131 | არასოდეს 67

სკოლის ადმინისტრაციის მხრივ წახალისებასთან ერთად, მნიშვნელოვანია თანამშრომლების მხრივ უკუკავშირიც. ესეც ერთგვარი მოტივაციაა მასწავლებლისთვის – გაწეული მუშაობის შეფასება და სწორი

დღეს მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში ბევრი სტრესის დაძლევა უწევთ, ამიტომ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გარემოს, რომელშიც ისინი საქმიანობენ.

რეკომენდაციები. დავინტერესდი, რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომლების მამოტივირებელი უკუკავშირი მასწავლებლებისთვის. გაირკვა, რომ გამოკითხულთა 67%-*ისთვის* ეს ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა:





თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თანამშრომლების მხრიდან უფრო გრძნობენ მასწავლებლები წახალისებას, ვიდრე ადმინისტრაციის მხრიდან:



გამოკითხვის დროს იმითაც დავინტერესდი, როგორ წაახალისებდნენ ისინი თანამშრომლებს, სკოლის ადმინისტრაციის როლში რომ ყოფლილიყვნენ. მასწავლებლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ კოლეგებს შექებით, სიტყვიერი მადლობით, ფულადი პრემიით წაახალისებდნენ. ცხადია, პასუხები და გამოკითხვის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ რესპონდენტები ყოველივე ამის ნაკლებობას განიცდიან. გთავაზობთ რამდენიმე პასუხს:

anonymous	თუნდაც სიტყვიერად პირად საუბარში ავღნიშნავდი. მოსწავლეებთან და მშობლებთან მეტ მხარდაჭერას და პატივისცემას გამოვხატავდი.პედ საბჭოზე გავაჟღერებდი და მადლობას გადავუხდიდი. თუმცა პედ საბჭოზე გაჟღერებულ მადლობებს ხშირად პედაგოგებისაგან აგრესია ან შური მოსდევს. მსგავსი შემთხვევაც მქონია.საქართველოა. არ უყვართ წარმატებული ადამიანები.❤
anonymous	სამასწავლებლოში შევქმნიდი კუთხეს სადაც თითოეულის წარმატებას თუნდაც მარტივი სტიკერით ავღნიშნავდი.
anonymous	მინიმუმ მადლობას გამოვუცხადებდი მთელი სკოლის (მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების) წინაშე სათანადო სერთიფიკატით, მაქსიმუმ ამ ყველაფერთან ერთად წამახალისებელ საჩუქარს გავუკეთებდი და სკოლის გვერდსა თუ სოციალურ ქსელში გავავრცელებდი ამ ინფორმაციას.
anonymous	სიტყვიერად ან მატერიალურად გამოვხატავ მადლიერებას, წარმოვაჩენ მის უნარებს როგორც სკოლის ისე ფართო მასშტაბით, ყურადღების გამოჩენის მიზნით ყოველთვის დაგესწრები მის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, მადლობას გადავუხდი კოლეგების, მოსწავლეების და მშობლების წინაშე ,საჭიროდ ვაგრძნობინებ თავს და ვიზრუნებ მისი თვითშეფასების ამაღლებაზე.
anonymous	პირველ რიგში რეგულარული შეხვედრები მექნებოდა რითიც მხარს დავუჭერდი სკოლოს ბაზაზე პროფესიულ განვითარებაში, წავახალიებდი და მუდმივად ხაზს გავუსვამდი მის მიღწევებს,ვუზრუნველყოფდი რესურსებით და პრემიითაც.ასე იქცევა ჩემი სკოლის ადმინისტრაცია და, ეს უდიდეს მოტივაციას მაძლევს რომ.ვაკეთო უფრო.მეტი

გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ მასწავლებლების მოტივაციის ამაღლება მნიშვნელოვანია. მასწავლებლის წარმატება, გარდა იმისა, რომ მოსწავლის შედეგებზე აისახება, სკოლის სახელიც არის. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უნდა ზრუნავდეს იმ მასწავლებლების წახალისებაზე, რომლებიც მოლოდინს აჭარბებენ, საკუთარი ენთუზიაზმითა და შრომით დაკისრებულ მოვალეობაზე მეტს აკეთებენ. ის ხელს უნდა უწყობდეს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში იმ მასწავლებლებს, რომლებსაც ჯერ მაქსიმუმი არ გაუკეთებიათ.

ხშირად სკოლაში არ ხდება წარმატებული მასწავლებლის აღიარება. როგორც ერთ-ერთი გამოკითხულის პასუხიდან ჩანს, შესაძლოა, ეს იყოს თანამშრომლების მხრივ ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზი. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უნდა ზრუნავდეს იმისთვის, რომ შექმნას ჯანსაღი სასკოლო გარემო, სადაც წარმატებული თანამშრომლების აღიარება მოხდება. ეს ერთგვარი მოტივაციაა იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო თავს იკავებენ აქტიურობისგან. ყოველი წარმატებული მასწავლებელი და მოსწავლე ხომ სკოლის სახელია.

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც გამოკითხვის შედეგებისა და ჩემი შეხედულებების მიხედვით შევიმუშავე. რეკომენდაციები

ეხება იმას, როგორ ავუმაღლოთ მასწავლებლებს მოტივაცია სასკოლო ცხოვრებაში.

რჩევები სკოლის ადმინისტრაციას

- წაახალისეთ მასწავლებელი თუნდაც მცირე წარმატების შემდეგ, განხორციელებული პროექტი იქნება ეს, ღონისძიება, მოსწავლეების მიერ მიღწეული შედეგები თუ სხვა. წახალისება შეიძლება სულ რამდენიმე ჯადოსნური სიტყვით: „გმადლობ“, „ძალიან კარგი და საჭირო თანამშრომელი ხარ სკოლისთვის!“, „გვეამაყები“, „ვფიქრობ, მეტი შეგიძლია, მაჩვენე შენი შესაძლებლობის მაქსიმუმი“, „შენი მჯერა!“, „მიხარია, ჩვენს გუნდში რომ ხარ!“ - და ა.შ.
- სკოლის ვებგვერდზე გამოაქვეყნეთ წახალისების ტექსტი მასწავლებლებისთვის.
- გადაეცით სიმბოლური საჩუქარი: წიგნაკი, გულსაბნევი, კალამი და სხვა.
- სემესტრის ბოლოს შეგიძლიათ, დააჯილდოოთ მასწავლებლები სხვადასხვა ნომინაციაში: საუკეთესო ღონისძიებების ავტორი, ყველაზე აქტიური, ოლიმპიადების ჩემპიონის მასწავლებელი, ყველაზე პუნქტუალური, თვითგანვითარებაზე ყველაზე მეტად ორიენტირებული და ა.შ.
- ასევე შეიძლება, მასწავლებლებს წლის განმავლობაში გადასცეთ ფულადი პრემია. თუ ამჩნევთ, რომ საგაკვეთილო პროცესში მუდმივად იყენებს ტექნოლოგიებს, აღჭურვეთ მისი საკლასო ოთახი პროექტორით, ლეპტოპით. ჰკითხეთ, რომელ სასწავლო რესურსს ისურვებდა და შეეცადეთ, უზრუნველყოთ.

რჩევები თანამშრომლებს:

- სემესტრის ბოლოს შეგიძლიათ, კათედრების მიხედვით მოამზადოთ სიგელები სხვადასხვა ნომინაციაში და თქვენი კათედრის წევრებს გადასცეთ.
- ეცადეთ, მუდმივად იყოთ უკუკავშირის პროცესში. განიხილეთ კოლეგის თითოეული ნაბიჯი, კონფერენციაში ან კონკურსში მონაწილეობა იქნება ეს თუ სხვა. კოლეგის მაგალითი ხომ საუკეთესო გამოცდილებაა თქვენთვის.

დაბოლოს, რჩევა ყველა იმ ადამიანს, რომელსაც შეხება უწევს მასწავლებელთან, არ აქვს მნიშვნელობა, სკოლის დირექტორია ის, კათედრის ხელმძღვანელი, მშობელი, მასწავლებელი თუ სხვა: ვიცოდეთ, რომ მასწავლებლის უდიდესი შრომის უკან ძალიან დიდი და ღრმა ემოცია იმალება. ამ გრძნობას ის ყოველთვის ჩუმად დაატარებს ენთუზიაზმის, საქმის სიყვარულის ხარჯზე, მაგრამ თუ დროდადრო არ მოხდა მისი შევსება, ის განილევა და ამოიწურება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის დადებითი მუხტის მიცემა – მისი სინათლე ხომ ათასობით მოსწავლეს ასხივოსნებს.

გმადლობთ, მასწავლებლებო!

თემურ სუყაშვილი

მოქალაქეობის პროექტების განხორციელების პრაქტიკული მაგალითები

მასწავლებლებისთვის პროექტული სწავლება უცხო არ არის. სასწავლო პროცესში პროექტების ინტეგრირება წლების განმავლობაში ხდებოდა როგორც სამოქალაქო განათლების, ასევე სხვა საგნობრივ დისციპლინებშიც.

2022-2023 სასწავლო წლიდან X კლასში ახალი საგანი – „პროექტი სამოქალაქო განათლებაში" დაინერგა. საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტში შესაბამისი ცვლილება ხანგრძლივი ადვოკატირების კამპანიის შედეგად განხორციელდა. აღნიშნული სიახლე მნიშვნელოვანია, რადგან სამომავლოდ საქართველოში შესაძლოა დაინერგოს მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოებაც, რომლებშიც მათ მიერ განხორციელებული პროექტებიც აისახება. მსგავსი საგანი დაინერგა ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებითაც.

მასწავლებლებისთვის პროექტული სწავლება უცხო არ არის. სასწავლო პროცესში პროექტების ინტეგრირება წლების განმავლობაში ხდებოდა როგორც სამოქალაქო განათლების, ასევე სხვა საგნობრივ დისციპლინებშიც.

დავსვათ კითხვა: რა განსხვავებაა და რა არის ძირითადი სიახლე?

ახალ საგანსა და პროექტულ სწავლებას შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ პროექტს აქვს გაწერილი სტრუქტურა, ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე და აქვს მჭიდრო კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტთან. საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, პროექტი შეიძლება იყოს:

- საქველმოქმედო;
- საინფორმაციო;
- ინფრასტრუქტურული;
- ადვოკატირებასა და ლობირებაზე ორიენტირებული.

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებს შორის მცირე დაბნეულობა შეინიშნებოდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პირველი ფაქტორი დაკავშირებული იყო იმასთან, რომ საგანში განმსაზღვრელი შეფასება არ დაიწერებოდა. ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია სახელმძღვანელოების არარსებობამ. ოქტომბრის ბოლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო მასწავლებლებისთვის განკუთვნილი გრიფირებული სახელმძღვანელოების მოწოდება. აღნიშნულს მალევე დაემატა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელო. უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ სემესტრში პროექტების ხარისხიანად შესრულება ვერ მოვახერხეთ.

მეორე სემესტრისთვის საფუძვლიანად მოვემზადე. სტატიაში გაგიზიარებთ იმ გამოცდილებას, რომელიც X კლასში ორი პროექტის განხორციელების პროცესში დამიგროვდა. ორივე ჯგუფმა სწორედ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ შემოთავაზებული სარეკომენდაციო პროექტები შეარჩია შემდეგი სათაურებით:

- გარდატეხის ასაკის თავისებურებები;
- გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები.

სამუშაო პროცესი დაყოფილი მქონდა ეტაპებად, რაც მუშაობას და პროცესზე ზედამხედველობას აადვილებდა.

როგორ მოვემზადე მეორე სემესტრისთვის?

სიღრმისეულად გავეცანი შემოთავაზებულ პროექტებს, თემატიკას, მიმართულებებსა და ტიპებს. მომდევნო ეტაპზე დავაჯგუფე თემატიკის მიხედვით შემოთავაზებული პროექტები (როგორც გრიფირებული, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოდან) და მე-10 კლასის მოსწავლეებს გავაცანი. ერთი შეხვედრა დაეთმო მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთას და დაჯგუფებას შერჩეული თემატიკის მიხედვით.

თეორიული მასალის დამუშავება

პირველი სემესტრის გამოცდილებაზე დაკვირვებით დავინახე, რომ მოსწავლეებმა ყველაზე ნაკლები დრო თეორიული მასალის დამუშავებას დაუთმეს, რამაც პროექტების განხორციელებას ხელი შეუშალა. მეორე სემესტრისთვის მიდგომები შევცვალე. ორი შეხვედრა/გაკვეთილი დავუთმე თეორიული მასალის დამუშავებას, რისთვისაც გამოვიყენე სხვადასხვა სახალისო აქტივობა. კერძოდ, **„მსოფლიო კაფე“, „სასწავლო გაჩერებები“**, სქემების შევსება, წაკითხულის შესახებ შთამბეჭდავი პრეზენტაციების მომზადება და სხვა. მიდგომების შეცვლამ გაამართლა. მოსწავლეებმა დაამუშავეს პრობლემის იდენტიფიცირებისა თუ აქტივობების განხორციელებისთვის შემოთავაზებული თეორიული მასალა.

პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მიმდინარეობა

პირველ სემესტრში პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებს ქაოსურად ასრულებდნენ. იგივე რომ არ განმეორებულიყო, შევთავაზე, გამოეკვეთათ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შეედგინათ განხორციელების კალენდარი.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლეები პროექტს მაღალი მოტივაციით იწყებენ, მერე კი მოტივაცია ნელ-ნელა იკლებს. ამის თავიდან ასაცილებლად შევთანხმდით შუალედური შედეგების გაზიარების ვადებზე. საგაკვეთილო ფორმატში პროექტებზე მომუშავე ჯგუფებმა შუალედური შედეგები ერთმანეთს გაუზიარეს ორჯერ – თებერვალსა და აპრილში. ამან მოსწავლეებს საშუალება მისცა, დაენახათ, სად ჰქონდათ ჩავარდნა, რა ჰქონდათ გასაუმჯობესებელი და ა.შ.

ცვლილებები და დამატებები

პროექტების განხორციელების დროს, ჩემთან შეთანხმებით, ორივე ჯგუფმა გარკვეული ცვლილებები განახორციელა. გარდატეხის ასაკის თავისებურებებზე მომუშავე ჯგუფმა სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების გათვალისწინებით აჩვენა თურქულენოვანი ანიმაციები. გადაწყვეტილების მიღების თავისებურებებზე მომუშავე ჯგუფმა ბოლო აქტივობად არჩევნების მოდელირება დაამატა. მოდელირებისთვის საჭირო რესურსები მივაწოდე ჩემივე პრაქტიკიდან (იხილეთ სტატია: **არჩევნების მოდელირება გაცნობიერებული არჩევანისთვის**).

შემაჯამებელი შეხვედრა

მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ, რომ პროექტის დასრულების შემდეგ შედეგების გაზიარების საშუალება ექნებოდათ. იმისთვის, რომ მოსწავლეებს მეტი მოტივაცია და დამატებითი სტიმული ჰქონოდათ, პრეზენტაციას ფესტივალის სახე მივეცით. ბავშვებმა მოიწვიეს თანატოლები, მასწავლებლები, დირექციის წარმომადგენლები და პროექტში ჩართული სხვა პირები. თითქმის ხუთთვიანი მარათონის ბოლოს, ფესტივალზე, ორივე ჯგუფმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინა შედეგები, მიგნებები და მიღწევები.

მოსწავლეების დამოკიდებულება

სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა დამოკიდებულებისა და შედეგების გაზომვის

მიზნით მცირე კვლევა ჩავატარე. გიზიარებთ რამდენიმე მოსწავლის პასუხს ღია შეკითხვებზე:

მე-10 კლასში ახალი საგანი – „პროექტები სამოქალაქო განათლებაში“ დაგემატათ. რა შეცვალა ამ საგანმა? რით იყო გამორჩეული?

– ამ საგანმა საშუალება მომცა, თავი მეგრძნო სრულფასოვან მოქალაქედ, რომელიც ხედავს პრობლემას, აგვარებს მას და არ ელოდება, რომ მის მაგივრად მოაგვარებენ სხვები (მაგალითად, მთავრობა). პროექტმა გვასწავლა პასუხისმგებლობის აღება ლოკალურ პრობლემებზე, რომელთა მოგვარება, როგორც აღმოჩნდა, მე, არასრულწლოვან მოქალაქესაც შემიძლია. ასევე, პროექტზე მუშაობისას ხშირად მიწევდა სხვადასხვა ადამიანთან კომუნიკაცია და მათი მოსმენა. შედეგად უფრო დავუახლოვდი ადგილობრივ მოსახლეობას, რამაც საშუალება მომცა, მეტი გამეგო იმ პრობლემებზე, რომლებიც აწუხებთ, ასევე პროექტში ჩამერთო დაინტერესებული პირები. გამორჩეული იყო ის, რომ არ იწერებოდა ნიშნები. რატომ? რადგან ჩვენ ამას არ ვაკეთებდით პირადი სარგებლისთვის. ჩვენ ჩართული ვიყავით როგორც აქტიური მოქალაქეები და ვაგვარებდით იმას, რაც გვაწუხებს ჩვენ და ადგილობრივ მოსახლეობას.

როგორ შეაფასებდით პროექტებზე მუშაობას? რამდენად მიაღწიეთ პროექტით გათვალისწინებულ მიზნებს?

– ჩვენ განვახორციელეთ ორი პროექტი. პირველის მიზანი იყო უსახლკარო ცხოველების მიერ დაავადებების გადატანის რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება. პროექტი მოიცავდა რამდენიმე ტრენინგის ჩატარებას ჩვენს სკოლაში და თემის ინფორმირებას. ასევე ჩავწერეთ ვიდეორგოლი, სადაც ნაჩვენები იყო პრობლემა, მოსახლეობის აზრი და ად-

ვოკატირების გზები. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მივაღწიეთ მიზანს, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი შედეგის მიღება შეგვეძლო.

მეორე პროექტი ეხებოდა ახალგაზრდა მოსახლეობის არჩევნებში მონაწილეობით დაინტერესებას. ჩვენ ჩავატარეთ საინფორმაციო შეხვედრები არგუმენტის სახეებზე, იმაზე, თუ როგორ ავაგოთ დამაჯერებელი არგუმენტი, ასევე განვახორციელეთ ჯგუფური აქტივობები, რის შემდეგაც ჩავატარეთ არჩევნების სიმულაცია. მონაწილეებმა დებატების დროს გამოიყენეს მიღებული ცოდნა. არჩევნების სიმულაციის შემდეგ ჩატარებული ანონიმური გამოკითხვის შედეგად დავინახეთ, რომ მიზანს მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, იყო დაბრკოლებები, მაგრამ ჩვენ მივიღეთ უმაგრესი გამოცდილება, რომელსაც გამოვიყენებთ, რათა უკეთესად შევასრულოთ მომავალი პროექტები.

რა იყო თქვენი მთავარი მიღწევა?

– VII-VIII კლასის მოსწავლეებს ვასწავლეთ, რა არის გარდატეხის ასაკი, რა პრობლემები უკავშირდება მას, როგორ უნდა მოიქცნენ და ვის მიმართონ სირთულეების დასაძლევად. გავაფრთხილეთ, რომ თუ დახმარება ან მხარდაჭერა დასჭირდებათ (გარდატეხის ასაკის ფსიქოლოგიური პრობლემების გამო), აუცილებლად სთხოვონ დახმარება უფროსებს, დამრიგებელს და ფსიქოლოგს.

რა როლი ჰქონდა მასწავლებელს პროექტების განხორციელების პროცესში?

– პროექტის განხორციელებაში მასწავლებელი ძალიან გვეხმარებოდა, მაქსიმალურად გვაწვდიდა რესურსებს და ა.შ. მაგრამ, ამავე დროს, ცდილობდა, არ ჩარეულიყო პროექტის განხორციელების პროცესში და ეს საქმეები ჩვენთვის მოენდო, რათა დამოუკიდებლად შეგვესრულებინა პროექტი და აგვეღო პასუხისმგებლობა. ეს მიდგომა ძალიან მომეწონა, რადგან მივიღეთ გამოცდილება და ვისწავლეთ ჩვენს შეცდომებზე. პროექტის ბოლოს მასწავლებელი ყოველთვის გვეკითხებოდა, რა გვიშლიდა ხელს და რას შევცვლიდით, ეს პროექტი თავიდან რომ დაგვეწყო, რაც გვეხმარებოდა, გაგვეცნობიერებინა ჩვენი შეცდომები და მომავალში უკეთ წარგვემართა სხვა პროექტი.

ჩვენი მასწავლებელი იყო ჩვენი მეურვე – გვიჩვენებდა გზას, თუ როგორ მიგვეღწია მიზნებისთვის. ძირითადად არ ჩაერია, რომ ჩვენ თვითონ გვემუშავა, მაგრამ ყველანაირი დახმარება მას ვთხოვეთ (პროექტორი, თავისუფალი კლასები და ა.შ.).

ახალ საგანსა და პროექტულ სწავლებას შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ პროექტს აქვს გაწერილი სტრუქტურა, ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე და აქვს მჭიდრო კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტთან.

შეჯამება

საგანს „პროექტები სამოქალაქო განათლებაში“ ყოველკვირეულად ერთი აკადემიური საათი ეთმობა. გაკვეთილი ძირითადად პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგს, გაწერილი აქტივობების განხილვას, მოსწავლეთა კითხვებზე პასუხების გაცემასა და სხვა ლოჯისტიკურ საკითხებს ეთმობოდა. პროექტით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობები უმთავრესად არასაგაკვეთილო პერიოდში ხორციელდებოდა (მათ შორის – შაბათობითაც).

საგანი იმითაც არის საინტერესო, რომ თითოეულ პედაგოგს აძლევს თავისუფლების ფართო დიაპაზონს. მასწავლებელს შეუძლია, ამოვიდეს სასკოლო თემის საჭიროებიდან, თვითონ მოიფიქროს და გაწეროს სასურველი პროექტი. მთავარია, დაუკავშიროს ის მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების სამიზნე ცნებებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტს.

ქეთევან ოსიაშვილი

მოზარდისთვის სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნების ხელშემწყობი ფაქტორები

გვიყვარდეს ბავშვი, განურჩევლად იმისა, როგორ სწავლობს, გვიყვარდეს ისეთი, როგორიც არის, ვისწავლოთ მისი მცირე წარმატებების აღნიშვნა და ამ წარმატებებით გახარება. შესაძლოა, ასეთი მიდგომა მოზარდისთვის სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნების მნიშვნელოვან წინაპირობად იქცეს.

იმ პრობლემათაგან, რომლებსაც მოზარდის პედაგოგები და მშობლები აწყდებიან, სწავლისადმი ინტერესის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულია. „არ ვიცი, რა დაემართა ამ ბავშვს. რა კარგი მოსწავლე იყო, ყველა დავალებას კეთილსინდისიერად ასრულებდა, ბოლო ხანს კი საერთოდ აიღო ხელი სწავლაზე, აღარც დავალებებს ასრულებს და სკოლაშიც სრულიად მოუმზადებელი მოდის“, – პედაგოგისგან ამ სიტყვების მოსმენა სასკოლო ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ბევრ მშობელს უწევს. არცთუ იშვიათად სწავლისადმი ბავშვის დამოკიდებულებაში სერიოზულ ცვლილებებს თავად მშობლებიც დიდი გულისტკივილით აღნიშნავენ.

სწავლისადმი ინტერესის შესანარჩუნებლად უნდა ვიცოდეთ ის მიზეზები, რომლებმაც შეიძლება ეს ინტერესი შეასუსტოს ან საერთოდ გააქროს.

სწავლისადმი ინტერესის დაკარგვას იწვევს:

- **ოჯახური პრობლემები** – თუ ოჯახის წევრებს შორის ყოველდღიურად ჩხუბი და კონფლიქტია, ეს აუცილებლად უარყოფითად აისახება ბავშვზე – როგორც სწავლისადმი მის დამოკიდებულებაზე, ისე მის ემოციურ სფეროზეც;
- **დაძაბული ურთიერთობები თანაკლასელებთან** – თუ მოზარდს თანატოლები ჩაგრავენ ან დასცინიან, საეჭვოა, მან სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნება შეძლოს;
- **ახალ სკოლაში გადასვლა** – სკოლის შეცვლა სერიოზული სტრესია ბავშვისთვის. მან შესაძლოა დაკარგოს საკუთარი თავის რწმენა, ჩაიკეტოს, შებოჭილი და მორცხვი გახდეს. თუ, ამასთან ერთად, დიდხანს ვერ მოახერხა მეგობრების პოვნა, სტრესი ძლიერდება;
- **დამოუკიდებლად მოქმედების უნარ-ჩვევების ნაკლებობა** – თუ მშობლები ზედმეტად მეურვეობენ ბავშვს, ყველაფერს მის ნაცვლად აკეთებენ, გარკვეულ ეტაპზე მას ძალიან გაუჭირდება სწავლისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ინტერესის შენარჩუნება;
- **მშობლების გულგრილობა** – თუ მშობლები არ ინტერესდებიან ბავშვის სასკოლო ცხოვრებით, არ აქებენ მიღწეული წარმატებების გამო, მას შეიძლება გაუქრეს სწავლის სურვილი;
- **ბავშვის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა** – თუ მოზარდს ისეთი დავალებებით დავტვირთავთ, რომლებიც მისთვის მეტისმეტად რთული ან მეტისმეტად მარტივია, ეს სწავლისადმი მის ინტერესს სერიოზულად შეასუსტებს;
- **დარღვევები ბავშვის ფსიქოფიზიკურ განვითარებაში** – ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად ხელს უშლის სწავლით დაინტერესებას და კარგად სწავლას.

მიზეზის გარკვევის შემდეგ, ვფიქრობ, ძნელი არ უნდა იყოს პრობლემის მოგვარება და იმ სირთულეების დაძლევა, რომლებიც ბავშვისთვის სერიოზულ დაბრკოლებად იქცევა სასწავლო პროცესით დაინტერესების გზაზე.

რეკომენდაციები: როგორ შევუნარჩუნოთ ბავშვს სწავლისადმი ინტერესი

- შევუქმნათ მშვიდი გარემო ოჯახში. მოვერიდოთ ოჯახის წევრებთან ურთიერთობის გარკვევას ბავშვის თანდასწრებით. ნუ ვაქცევთ მას ოჯახური კონფლიქტის მოწმედ.
- დავინტერესდეთ, როგორ ჩაიარა მოსწავლის დღემ, რა ისწავლა ახალი, რა გაიგო საინტერესო. მოვუსმინოთ ყურადღებით და არა ზერელედ,
- აღვნიშნოთ მისი თუნდაც მცირე წარმატება და შევაქოთ.
- შევუქმნათ ბავშვს მშვიდი ატმოსფერო კლასში. თანაკლასელებთან გართულებული ურთიერთობის შემთხვევაში დროულად ვიზრუნოთ პრობლემის მოგვარებაზე. ბავშვის ძლიერი მხარეების, ღირსებების წინ წამოწევით ვცადოთ თანატოლთა წრეში მისი ავტორიტეტის ამაღლება.
- მოვერიდოთ ბავშვის კრიტიკას და დაცინვას. თუ რამე არ გამოსდის, დავეხმაროთ და არა საყვედურებით ავავსოთ.
- ადრეული ასაკიდანვე გამოვუმუშაოთ დამოუკიდებლად მოქმედების უნარ-ჩვევები. სასკოლო პერიოდში მოვერიდოთ საშინაო დავალების შესრულების პროცესში ზედმეტად ჩარევას. მოსწავლემ უნდა იმუშაოს დამოუკიდებლად, მაგრამ თუ რამე უჭირს, ზედმეტად რთულია მისთვის, ვიყოთ მის გვერდით და დავეხმაროთ.
- მივცეთ ისეთი სირთულის დავალებები, რომლებიც მის შესაძლებლობებს ოდნავ აღემატება და რომელთა შესასრულებლადაც მას გარკვეული ძალისხმევის გაღება მოუწევს. ასეთ სიტუაციაში სწავლება მისთვის განმავითარებელი იქნება და ინტერესიც არ გაუქრება. მისი განვითარების დონისთვის შეუსაბამო დავალებები ინტერესს ადვილად დააკარგვინებს და სწავლის ხალისსაც გაუქრობს.
- მოვერიდოთ ცუდი შეფასებებისთვის, დაბალი ქულებისთვის ბავშვის დასჯას, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავად ღელავს ამის გამო. უმჯო-

ბესი იქნება დამატებითი მეცადინეობების ჩატარება და ამა თუ იმ საკითხში ბავშვის უკეთ გარკვევა.

- მიზანშეწონილი არ არის ბავშვის შედარება სხვა, უფრო წარმატებულ მოსწავლესთან, მით უმეტეს, როცა ის გრძნობს, რომ ვერასოდეს გახდება კონკრეტულ სფეროში ისეთი წარმატებული, როგორიც მისი თანატოლია, რომელსაც სისტემატურად ადარებენ.
- მოვერიდოთ ბავშვის უნარებსა და შესაძლებლობებზე მსჯელობას მხოლოდ მიღებულ ქულებზე დაყრდნობით. ეს ნამდვილად ვერ დაეხმარება მოზარდს სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნებაში.
- კრიტიკის საგნად ნუ ვაქცევთ, ჩვენთვის შესაძლოა უჩვეულო, მიუღებელ, მაგრამ ბევრისთვის მოსაწონ და მისაღებ დამოუკიდებელ აზროვნებას. არცთუ იშვიათად ბავშვები ცდილობენ, რამე ისეთი არ დაწერონ, არ თქვან, რაც შეიძლება ყველას უჩვეულო მოეჩვენოს, მასწავლებელს კი საერთოდ არ მოეწონოს. უნდა წავახალისოთ დამოუკიდებელი აზროვნების, განსჯის, პრობლემის გადაჭრის ახალი, თუნდაც უჩვეულო გზის პოვნის უნარი. ნუ ჩავუხშობთ ბავშვს მისწრაფებას, იაროს საკუთარი გზით. პირადი მაგალითით ვუჩვენოთ, რომ შესაძლებელია განსხვავებული აზრის, განსხვავებული მიდგომის პატივისცემა და დაფასება მაშინაც კი, როცა ის ჩვენთვის მიუღებელია.
- მოვერიდოთ ბავშვის დასჯას სწავლით – „რაკი ასე უხეშად მიპასუხე, ამ ლექსს თავიდან ბოლომდე ზეპირად ისწავლი“; „თანაკლასელებთან ჩხუბის გამო ამ წიგნს წაიკითხავ“; „რაკი ასე დააგვიანე სახლში მოსვლა, დავალებას მეორედ დაწერ“. დავაფასოთ მოზარდის ინტელექტუალური შრომა. ბავშვისთვის სასწავლო პროცესი სასიამოვნო უნდა იყოს, რომ მის მიმართ ინტერესი არ გაუქრეს.
- ძალიან მნიშვნელოვანია, მშობლებმა შეძლონ შვილის მასწავლებლებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შენარჩუნება. ზოგიერთ ოჯახში მასწავლებლების კრიტიკა ჩვეული რამაა – ზოგს გაკვეთილის ჩატარება არ შეუძლია, ზოგი უხეშობს და არ იცის, როგორ მოექცეს ბავშვს და ა.შ. მასწავლებლის შესახებ თუნდაც ერთხელ, თუნდაც შემთხვევით ნათქვამი ასეთი სიტყვებით შესაძლოა ბავშვს სამუდამოდ ჩავუკლათ სწავლის სურვილი და ცოდნის მიღებისკენ სწრაფვა. გასაკვირი არ იქნება, თუ ბავშვი არ მოისურვებს, დაუჯეროს და ენდოს არაავტორიტეტულ ზრდასრულს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწავლის, სკოლისა და მასწავლებლის მიმართ ბავშვის დამოკიდებულებას დიდწილად მშობლის აზრი და დამოკიდებულება განსაზღვრავს.
- ვესაუბროთ ბავშვს ჩვენი საყვარელი მასწავლებლების შესახებ, მათ შესახებ, ვინც ჩაგვინერგა სიყვარული ჩვენი დღევანდელი პროფესიის მიმართ და მოგვცა ცოდნა, რის გამოც დღემდე მათი მადლიერი ვართ. მშობლის მაგალითი ყველაზე ძლიერია – თუ მშობელი აფასებს სწავლას, განათლებას, ბავშვსაც იგივე დამოკიდებულება ექნება სწავლისა და განათლების მიმართ. გვახსოვდეს, რომ მოზარდი გვბაძავს – თუ ჩვენ ცუდად ვიხსენიებთ ჩვენი მოწაფეობის წლებს, ძნელი იქნება, ბავშვს სკოლისა და სწავლისადმი სიყვარული ჩავუნერგოთ.

თუ მშობლები ზედმეტად მეურვეობენ ბავშვს, ყველაფერს მის ნაცვლად აკეთებენ, გარკვეულ ეტაპზე მას ძალიან გაუჭირდება სწავლისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ინტერესის შენარჩუნება.

რა თქმა უნდა, მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში სასწავლო მოტივაციის მუდმივად მაღალ დონეზე შენარჩუნება რთული საქმეა, მაგრამ თუ გვსურს, ბავშვი წარმატებულ პიროვნებად გაიზარდოს და ბედნიერი იყოს, ამის რეგულარულად გაკეთება მოგვიწევს. მთავარია, მას საერთოდ არ დაეკარგოს სწავლის, ცოდნის მიღების სურვილი. ამისთვის კი საჭიროა, მივცეთ მოზარდს მეტი დამოუკიდებლობა, მაგრამ, იმავდროულად, ხელი პულსზე გვედოს; დავეხმაროთ სირთულეთა დაძლევაში. დაბოლოს, გვიყვარდეს ბავშვი, განურჩევლად იმისა, როგორ სწავლობს, გვიყვარდეს ისეთი, როგორიც არის, ვისწავლოთ მისი მცირე წარმატებების აღნიშვნა და ამ წარმატებებით გახარება. შესაძლოა, ასეთი მიდგომა მოზარდისთვის სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნების მნიშვნელოვან წინაპირობად იქცეს.



გიტა თვალაბეიშვილი

სასწავლო წლის პირველი დღე და ლიტერატურული პერსონაჟი სოციალურ ქსელში

რესურსის მიზანი მხოლოდ ერთმანეთის გაცნობა და დაახლოება არ არის. პედაგოგებმა ის შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტისა თუ წიგნის დამუშავების დასკვნით ეტაპზე, პერსონაჟის ღრმად შესწავლის მიზნით.

სოციალურ ქსელში, მასწავლებელთა ჯგუფებში, ხშირად სვამენ ასეთ კითხვებს: „სასწავლო წლის პირველ დღეს როგორ ხვდებით მოსწავლეებს?“, „დამწყები ვარ და რამეს ხომ არ მირჩევდით მოსწავლეებთან პირველი შეხვედრისთვის?“, „ახალ სადამრიგებლო კლასში შევდივარ და მოსწავლეების უკეთ გასაცნობად ვის რა გაგიკეთებიათ, ხომ არ გამიზიარებდით?“. ასეთ დროს მეც დიდი მოლოდინით ჩამოვშლი ხოლმე კომენტარებს და გულისყურით ვათვალიერებ. ნაწილი ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ცოტათი შაბლონურიცაა, თუმცა უმრავლესობა მართლაც ძალიან საინტერესო აქტივობას აღწერს. არადა, რომ წარმოვიდგენ, რამდენ დროს, ფიქრსა და ენერგიას მოითხოვს თითოეული აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება მასწავლებლისგან, მაშინვე ტაშის დაკვრის სურვილი მიჩნდება. ვისაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია, მათი თვალთახედვით, გაცილებით მარტივი და ჩვეულებრივი ჩანს ეს ყველაფერი, მაგრამ საკმარისია, თვალები დახუჭო, შეძვრე მასწავლებლის იმჟამინდელ ფიქრში, დაესწრო რესურსებზე რუდუნებით მუშაობის პროცესს, უცებ აღმოჩნდე საკლასო ოთახში, დაინახო ბავშვების ბედნიერი თვალები და მასწავლებლის კმაყოფილი სახე, რომ მიხვდები, რად ღირდა ეს ყველაფერი. და უცებ – „ეეე, რა კარგია, მოდი, აბა, მეც ვცდი!“

ჰოდა, ასეთი თვალიერების დროს შემომეფეთა ჩემი მეგობრის მიერ დამუშავებული ძალიან კარგი რესურსი სათაურით „პოსტი ინსტაგრამზე“ და ჩემს მესამეკლასელ მოსწავლეებზე დავფიქრდი – შეძლებდნენ თუ ვერა მასზე მუშაობას. ინფორმაციის დაცულობისა და მედიაწიგნიერების კუთხით არასასიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი, მაგრამ მოკვლევის შედეგად დავადგინე, რომ მათ უმრავლესობას აქვს facebook-პროფილი და მეტ-ნაკლებად აქტიური მომხმარებელიც არის. ალბათ ყველას მოგეხსენებათ, რაგვარია ამ ქსელის სპეციფიკა და რა სახის ინფორმაციას ითხოვს რეგისტრირებული პირისგან. მოსწავლეებსა და მშობლებთან წლის სამუშაო თემაც გამოჩნდა, თუმცა ჯერჯერობით მოსწავლეების ამ სახის გამოცდილების საკლასო სივრცეში გადმოტანა გადავწყვიტე. ვიფიქრე, რომ სასწავლო წლის პირველი გაკვეთილის სამუშაო აქტივობად ცუდი არ იქნებოდა მათთვის უკვე კარგად ნაცნობი თემებისა თუ საკითხების ფურცელზე გადატანა. გარდა ამისა, ეს მე როგორც დამრიგებელს საშუალებას მომცემდა, მოსწავლეებს უკეთ გავცნობოდი. მსგავსი აქტივობა ადრეც მინახავს და გადავწყვიტე, მაშინვე მომეძებნა pinterest.com-ის საშუალებით facebook-პროფილის სამუშაო ვერსიები. ბევრი ვეძებე, მაგრამ ქართულად ვერაფერი ვიპოვე. აღმოვაჩინე ინგლისურენოვანი ვერსია, რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, იოლად დასამუშავებელი გამოდგა. ფორმა ვუცვალე, მოვარგე ჩემი მოსწავლეებისთვის საჭირო თემებს და ისე შევიტანე საკლასო ოთახში.

გთავაზობთ **დამუშავებულ, ამოსაბეჭდ ვერსიას,** რომელიც მოიცავს რამდენიმე საინტერესო საკითხს როგორც დამრიგებლებისთვის, ისე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის:

1. **პროფილის ფოტო** – აქ მოსწავლეს შეუძლია, ნახატის სახით წარმოადგინოს ავტოპორტრეტი;
2. **გარეკანის ფოტო** – აქ ბავშვს შეუძლია, ასახოს გარკვეული მოვლენა ან ფაქტი, რომელიც მის იმჟამინდელ ფიქრებთან ყველაზე ახლოსაა;
3. **სახელი და გვარი** – შეიძლება როგორც ნამდვილი სახელისა და გვარის, ისე ფსევდონიმის ან იმ თიკუნის მითითება, რომლითაც მას მიმართავენ და თავადაც მოსწონს;
4. **სამუშაო, განათლება** – მოგეხსენებათ, მოსწავლეები არ არიან დასაქმებულები, მაგრამ თუ ისინი სწავლას საკუთარ მოვალეობად აღიქვამენ, ვფიქრობ, გაცილებით მეტად ექნებათ სკოლასთან მიკუთვნებულობის განცდა;
5. **საცხოვრებელი ადგილი** – თუ მოსწავლე დაწყებით კლასებშია, ეს პუნქტი მას საშუალებას მისცემს, საკუთარი სახლის მისამართი უკეთ დაისწავლოს;
6. **ოჯახის წევრები** – ეს მასწავლებელს მისცემს საშუალებას, შეკრიბოს მონაცემები იმის შესახებ, რამდენსულიან ოჯახში და ვისთან ერთად ცხოვრობს ბავშვი;
7. **ეროვნება** – ამის დეფინიცია და განმარტება დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ ეროვნება ხშირად ერევათ კუთხურ წარმომავლობაში. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ თქვან: ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ა.შ., – ხშირად ამბობენ: გურული, კახელი, იმერელი და ა.შ.
8. **ხასიათი** – აქ მოსწავლე ფიქრობს საკუთარ თავზე და უმეტესად ცდილობს, გამოკვეთოს ხასიათის ისეთი მხარეები, რომლებიც საკუთარ თავში მოსწონს;
9. **ჰობი/ინტერესი** – ეს ჩემი საყვარელი პუნქტია, რადგან მეხმარება, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დავგეგმო მთელი სასწავლო წელი;
10. **ჩემ შესახებ** – ეს თავისუფალი ველია, რადგან აქ მოსწავლე წერს იმ თემებზე, რომლებზეც ორგანაიზერში აქცენტირება არ ხდება, მაგრამ სათქმელი დარჩა და სურს, გაგვიზიაროს;
11. **მეგობრები** – ეს პუნქტი მოიცავს მეგობრების პორტრეტს და, სურვილისამებრ, დახასიათებას.
12. **გამორჩეული,** რომელიც აერთიანებს ისეთ საკითხებს, რომლებიც მოსწავლის გემოვ-

ფორმალური და მიზნობრივი დამუშავებით რესურსი შეიძლება კომპლექსური დავალების პროდუქტადაც ვაქციოთ. ყველაფერი მასწავლებელზე, მის ხედვასა და მოსწავლეთა საჭიროებებზეა დამოკიდებული.

ნების უკეთ გაცნობაში ეხმარება მასწავლებელს. გარდა ამისა, მას შეუძლია, ეს ველები საკუთარი ინტერესებისა და შეხედულებებისამებრ ცვალოს. მაგალითად:

- **მუსიკა ან ფილმი** – რას უსმენს, რას უყურებს;
- **წიგნი** – რას კითხულობს;
- **საჭმელი ან დესერტი** – რას მიირთმევს სიამოვნებით. შეიძლება აქვე რეცეპტის წერაც კი ვასწავლოთ;
- **მოდა** – რას ფიქრობს ჩაცმულობაზე, როგორი სტილი მოსწონს ან რომელ აქსესუარებს ხმარობს უმეტესად;
- **სიტყვა/ფრაზა/წინადადება** – რომელ სიტყვას, ფრაზას ან წინადადებას იყენებს ყველაზე ხშირად და რატომ;
- **აქტივობა** – რა არის მისი ყოველდღიური აქტივობა, თამაში ან გართობა, რომელიც დიდ სიამოვნებას ანიჭებს;
- **აბრაზებს** – რა არ მოსწონს და აბრაზებს ყველაზე მეტად;
- **ახარებს** – რა მოსწონს, რა იწვევს მის ბედნიერ ღიმილს და ა. შ.

13. **პოსტი** – ამ ველში მოსწავლემ უნდა აღწეროს იმჟამინდელი მოვლენა, განწყობა, ფიქრი ან შეხედულება. აქ შეუძლია გამოიყენოს ნახატი, მოვლენის სიტყვიერი აღწერა, ემოციური ფონი და ა.შ.

დასასრულ, ძალიან მნიშვნელოვანია (სურვილის შემთხვევაში) ნამუშევრების პრეზენტაცია. ეს თავად მოსწავლეებსაც დაეხმარება, უკეთ გაიგონ კლასელების სურვილები, განწყობები და ფიქრები, მით უმეტეს, ერთმანეთი სამი თვეა არ უნახავთ და წესით, მცირე გაუცხოება ექნებათ. ამგვარი საუბრები მათ ერთმანეთს თავიდან აღმოაჩენინებს, საერთო ინტერესებს აპოვნინებს და საკლასო ატმოსფერო მათთვის გაცილებით ფერადი და ახლობელი გახდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ რესურსის მიზანი მხოლოდ ერთმანეთის გაცნობა და დაახლოება არ არის. პედაგოგებმა ის შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტისა თუ წიგნის დამუშავების დასკვნით ეტაპზე, პერსონაჟის ღრმად შესწავლის მიზნით. განმეორებით გამოყენებისას მასწავლებელს დიდ დახმარებას გაუწევს ის ფაქტი, რომ მოსწავლეებს გრაფიკული ორგანაიზერის შევსების გამოცდილება უკვე აქვთ. არ არის გამორიცხული, ფორმალური და მიზნობრივი დამუშავებით რესურსი შემაჯამებელი დავალების პროდუქტადაც ვაქციოთ. ყველაფერი მასწავლებელზე, მის ხედვასა და მოსწავლეთა საჭიროებებზეა დამოკიდებული.

მარიამ გოდუაძე

უნივერსალური დიზაინი სენსორული დარღვევების დროს

სწავლების პროცესში უნივერსალური დიზაინი არის მიდგომა, რომლის მიზანიც მულტიმოდალური სასწავლო გარემოს ფორმირება, მოქნილი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა და, საბოლოოდ, მოსწავლეების წინაშე არსებული შემაფერხებელი ბარიერების აღმოფხვრაა.

„ხელმისაწვდომი მოხმარების პროდუქტებისა და გარემოს დიზაინი უნდა იყოს მაქსიმალურად გამოსადეგი ყველა ადამიანისთვის ყოველგვარი ადაპტირებისა და სპეციალიზებული დიზაინის საჭიროების გარეშე“, – ასე განმარტავს ინგლისელი არქიტექტორი რონალდ მეისი ტერმინს „უნივერსალური დიზაინი“[1], თუმცა განათლების სისტემაში უნივერსალური დიზაინი არ ნიშნავს მხოლოდ მოსწავლის საჭიროებებზე სრულად მორგებულ შენობა-ნაგებობას. საზოგადოდ, უნივერსალური დიზაინი გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, რომლის გამოყენებისთვის არ არის აუცილებელი სპეციალური ადაპტირება. სწავლების პროცესში უნივერსალური დიზაინი არის მიდგომა, რომლის მიზანიც მულტიმოდალური სასწავლო გარემოს ფორმირება, მოქნილი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა და, საბოლოოდ, მოსწავლეების წინაშე არსებული შემაფერხებელი ბარიერების აღმოფხვრაა.

განათლებაში უნივერსალური დიზაინი გულისხმობს ყველა მოსწავლისთვის რელევანტურ სასწავლო მეთოდებს, მასალას და შეფასების სისტემას.

სწავლების პროცესისადმი ეს მიდგომა ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი საჭიროებებისა და მათ შორის განსხვავებებისა, ქმნის სწავლის თანაბარ პირობებს;

უნივერსალური დიზაინი შვიდ პრინციპს ეფუძნება. ესენია:

1. **თანასწორობა და გამოყენება:** დიზაინი გამოსადეგია და სასარგებლო განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.
2. **მოქნილობა:** დიზაინი მიესადაგება ინდივიდუალური უპირატესობებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრს.
3. **სიმარტივე და ინტუიციური მოხმარება:** დიზაინის გამოყენება მარტივია და არ არის დამოკიდებული გამოცდილებაზე, ცოდნაზე, ენობრივ უნარებსა თუ კონცენტრაციის არსებულ ხარისხზე.
4. **აღსაქმელი ინფორმაცია:** დიზაინი ეფექტიანად გადასცემს საჭირო ინფორმაციას მომხმარებელს გარემო პირობებისა და სენსორული შესაძლებლობებისგან დამოუკიდებლად.
5. **უსაფრთხოება:** დიზაინი ამცირებს საფრთხეებს და შემთხვევითი ან განზრახული ქმედებების არასასურველ შედეგებს.
6. **მცირე ფიზიკური ძალისხმევა:** დიზაინის გამოყენება შესაძლებელია ეფექტიანად და კომფორტულად მინიმალური ძალისხმევის გაწევით.
7. **ზომა და სივრცე მიახლოებისა და გამოყენებისთვის:** გათვალისწინებულია მიახლოების, მიღწევის, მანიპულაციისა და გამოყენებისთვის შესაბამისი ზომა და სივრცე მომხმარებლის სხეულის ზომის, პოზისა და მობილობისგან დამოუკიდებლად.

ნებისმიერი დიზაინის პროექტირებისას თავიდანვე უნდა იყოს ნაფიქრი უნივერსალურ დიზაინზე. განვიხილოთ რამდენიმე გასათვალისწინებელი მომენტი: შენობის საერთო ფართობი, სასწავლო თუ სხვა ნაგებობის მდებარეობა ქუჩასა და ტროტუართან მიმართებით, დაქანების დონე, პირდაპირი მი-

სასვლელი შენობის მისაწვდომ კარსა და უკანა, შემაღლებულ შესასვლელთან, სწორი, მისაწვდომი ტროტუარები მთავარ შესასვლელებსა და მიმდებარე სივრცეებში მოსახვედრად, ბუნებრივი სინათლის გამოყენება განათების გასაძლიერებლად.

სტატიაში ვისაუბრებთ დიზაინის იმ საკვანძო ელემენტებზე, რომლებიც სენსორულ დარღვევებზეა ორიენტირებული[2].

დიზაინის ძირითადი / საკვანძო ელემენტებია:

1. განლაგება

მოცემული სივრცის ლოგიკური, მარტივი მოწყობა, კარგად განსაზღვრული სივრცეები, სწორი ხაზები, სწორი კუთხეები სავალ ბილიკებზე, მხედველობის სწორი ხაზები წარმოადგენს საკვანძო კომპონენტებს სმენის, მხედველობის ან ორივე სენსორის ერთდროული დარღვევის მქონე, ყრუ-უსინათლო ადამიანების სივრცეში ორიენტაციისთვის. ბევრი ყრუ-უსინათლო პირისთვის ღია სივრცეებში ორიენტირება რთულია. ღია სივრცეებში, როგორებიცაა მისაღები, საკლასო, სასადილო და მოსასვენებელი ოთახები სასკოლო თუ საოჯახო ტიპის ნაგებობებში, ავეჯის გადაადგილება, კედლებისა და იატაკის ფაქტურების შეცვლა, მაღალკონტრასტული ფერების გამოყენება, სივრცეების განმსაზღვრელ და სხვა დამხმარე საშუალებებთან ერთად, გაუმარტივებდა ორიენტაციას ყრუ-უსინათლო პირებს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ სივრცე თავისუფალი უნდა იყოს ზედმეტი, უსარგებლო ნივთებისგან. კედლებისა და იატაკის ტექსტურა, ტაქტილური ნიშნები, ავეჯის სათანადო განთავსება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ინდივიდების მიერ სივრცეში ორიენტაციისას.

მხედველობის დაზიანების მქონე ბევრ ადამიანს შეუძლია სივრცის აზრობრივი/წარმოსახვითი რუკის შექმნა და მისი საშუალებით საგნების სივრცეში და მათ მიმართ განლაგების გაგება. მნიშვნელოვანია, რომ საგნებმა შეინარჩუნონ თავიანთი ადგილმდებარეობა და ისინი არ გადააადგილონ.

2. განათება

კარგი განათება ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია ფუნქციური მხედველობის მქონე ყრუ-უსინათლო პირებისთვის. განათებასთან დაკავშირებული საჭიროებები განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტული ყრუ-უსინათლო პირის მხედველობის მდგომარეობაზე. ადამიანთა უმრავლესობას სივრცეში ორიენტაციასა და ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში ხელს შეუწყობდა გაზრდილი/ძლიერი განათება. სინათლის ოდენობის დასარეგულირებლად გამოყენებულ უნდა იქნეს განათების მარეგულირებლები. რეკომენდებულია სამუშაო განათების უზრუნველყოფა სამუშაო მაგიდებთან.

არსებობს შენობებში განათებასთან დაკავშირებული შემდეგი რჩევები:

- პასტელის ფერებში შეღებილი კედლები შუქს აირეკლავს.
- გამოიყენეთ ბუნებრივი განათება, შეამცირეთ ბზინვარება ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ჟალუზების მეშვეობით.
- ხელოვნური განათების წყაროები არ უნდა წარმოქმნიდეს ბზინვარებას.
- აბაჟურები უნდა უზრუნველყოფდეს სინათლის გავრცელებას.
- კედლებსა და ჭერზე მიზანშეწონილია გაბნეული განათება.
- მიზანშეწონილია განათება კარადების ქვეშ და კარადებში.

3. ფერის / სიკაშკაშის კონტრასტი

ვიზუალური კონტრასტი მოიცავს ორ კომპონენტს: სიკაშკაშის კონტრასტს და ფერთა განსხვავებას. მცირედ მხედველი პირებისთვის სიკაშკაშის კონტრასტი არსებითად მნიშვნელოვანია. ფერთა ან ტონალობათა განსხვავებამ შეესაძლოა გაზარდოს სიკაშკაშის კონტრასტი.

ფერთა მაღალი კონტრასტის გამოყენება სხვადასხვა მახასიათებლისა და სივრცეების განსაზღვრის მიზნით ხელს შეუწყობს სივრცეში ორიენტირებასა და მისაწვდომობის გაზრდას.

კარებისა და მათი ჩარჩოების ფერები მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს კედლებისა და იატაკის ფერებისგან. კიბის საფეხურების კიდეები კონტრასტული ფერით უნდა იყოს გამოყოფილი. მოაჯირების ფერი კედლების ფერისგან მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს. გარდა ამისა, ავეჯის, კარების, კარადების კარების, მათი აქსესუარებისა და ტექნიკის ფერები გარემომცველ სივრცეებთან მკვეთრ კონტრასტს უნდა ქმნიდეს. სასწავლო ან საცხოვრებელ სივრცეებში ტექნიკის სამართავი ღილაკები ფერით მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ამ ტექნიკისგან.

ანალოგიურად, ავეჯის ფერი კონტრასტს უნდა ქმნიდეს გარემომცველი კედლებისა და იატაკის ფერთან. გარემომცველი სივრცეებისგან მკვეთრად განსხვავებული ფერის ავეჯის იდენტიფიცირება შესაძლოა უკეთ მოახერხონ ადამიანებმა, რომელთაც სიღრმის აღქმა უჭირთ. ამის საპირისპიროდ, ძნელი იქნება გარემომცველი სივრცეებისგან მცირედით განსხვავებული ფერის ავეჯისა და სხვა საგნების აღმოჩენა.

ფერთა კონტრასტი არის ფერთა პალიტრაზე ორ ფერს შორის განსხვავების ხარისხი. რაც უფრო მეტად განსხვავდება ერთი ფერი მეორისგან ვიზუალურად, მით უფრო მეტია კონტრასტი.

სიკაშკაშის კონტრასტი არის რომელიმე საგნის ან ზედაპირის სიკაშკაშის მეორე საგნის ან ზედაპირის სიკაშკაშისგან განსხვავების დონე. სიკაშკაშე იზომება უფრო ნათელი საგნის ზემოთ (B1), შემდეგ – უფრო ბნელი ადგილის ზემოთ (B2), მერე კი ეს საზომები გამოიყენება ფორმულაში:

ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი $= B1 - B2 \times 100 B1$

B1 არის განათებული ადგილის სინათლის არეკვლის კოეფიციენტის მნიშვნელობა.

ამგვარი მიდგომით დაგეგმილი სასწავლო პროცესი ხელსაყრელია ყველა მოსწავლისთვის, მაგრამ განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სენსორული პრობლემები აქვთ და სივრცეების სათანადოდ ადაპტირება სჭირდებათ.

B2 არის უფრო ბნელი ადგილის სინათლის არეკვლის კოეფიციენტის მნიშვნელობა.

რაც უფრო მეტია სხვაობა სიკაშკაშის დონეებს შორის, მით უფრო დიდია კონტრასტი. სინათლის მზომები შეიძლება გამოვიყენოთ ერთი საგნის ზედაპირიდან მეორეზე არეკლილი სიკაშკაშის გასაზომად.

იმისთვის, რომ ერთმანეთისგან განირჩეოდეს ძირითადი ელემენტები და გარშემო არსებული სივრცე, ერთმანეთის გვერდით რეკომენდებულია ისეთი შესამჩნევად განსხვავებული ფერების გამოყენება, როგორიცაა:

- შავი/თეთრი,
- ყვითელი/შავი,
- მუქი ყავისფერი/თეთრი ან კრემისფერი,
- მუქი იასამნისფერი/თეთრი,
- ნარინჯისფერი/თეთრი,
- მუქი წითელი/თეთრი,
- ყვითელი/მწვანე,
- მუქი ნაცრისფერი/თეთრი,
- მუქი მწვანე/თეთრი.

სიკაშკაშის ცუდი კონტრასტის მქონე ფერებია:

- ყვითელი/ნაცრისფერი,
- ღია ნაცრისფერი/თეთრი,
- ყვითელი/თეთრი,
- ლურჯი/წითელი,
- ცისფერი/თეთრი.

არსებობს ფერთა კომბინაციები, რომლებიც არ უნდა გამოვიყენოთ, რადგან ფერების ამოცნობის სირთულეების მქონე პირებს უჭირთ მათი გარჩევა. ესენია:

- წითელი/მწვანე,
- ლურჯი/მწვანე.

4. ტექსტურა

შეხება გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღებისა და სივრცეში ორიენტაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, განურჩევლად იმისა, რამდენად აქვს ყრუ-უსინათლო ადამიანს დაქვეითებული მხედველობა ან სმენა. შეხება ერთგვარი შემოწმების საშუალებაცაა, რომლის დახმარებითაც ყრუ-უსინათლო ადამიანი გარემოში გადაადგილდება. ტაქტილურ სიმბოლოებთან ერთად, კედლებსა და იატაკებზე სხვადასხვა ტექსტურის თანმიმდევრული გამოყენებით შეიძლება შეიქმნას საორიენტაციო მინიშნებების სისტემა.

ტექსტურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სივრცის სიმბოლიზებისთვის. როცა ტაქტილურ/ტექსტურულ მინიშნებებსა და მონიშვნებს განვიხილავთ, ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმაზე, რომ ტექსტურებს შორის იყოს საკმარისი განსხვავება, ისეთი, როგორიცაა მონიშვნის ან მინიშნების ზომა და ფორმა. ზოგი ტექსტურა მარტივი ამოსაცნობია, ზოგი კი – არა. ზუმფარის ქაღალდი უხეშია და უბრალო შეხებაც საკმარისია მის ამოსაცნობად, არ მოითხოვს ზედაპირზე ხელის ხანგრძლივ მოძრაობას.

იატაკის სხვადასხვა ტექსტურა ყოველთვის გამოიყენებოდა მხედველობის სირთულეების მქონე ან ყრუ-უსინათლო პირების დასახმარებლად სივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირებისთვის. გვერდიგვერდ განლაგებული იატაკის მოსაპირკეთებელი განსხვავებული ტექსტურები: პარკეტი, ხე, კერამიკის ფილები, კორპი, – შესაძლოა სივრცის განსაზღვრაში დაეხმაროს ინდივიდს. მაგალითად, ხისა და კორპის იატაკები, კერამიკისა და პარკეტის იატაკებისგან განსხვავებით, ფეხქვეშ სირბილის შეგრძნებას აჩენს. ამ იდეის ერთ-ერთი განხორციელებაა ხალიჩის დაფენა, დერეფნებისა და სხვა ოთახების ხით, ხოლო ტუალეტისა და სამზარეულოს კერამიკის ფილებით მოპირკეთება. აქვე უნდა ითქვას, რომ ინდივიდისთვის შესაძლოა რთული აღმოჩნდეს ბევრი (სამზე მეტი) სხვადასხვა სახეობის იატაკის ზედაპირის ტექსტურებს შორის განსხვავების დამახსოვრება.

ტექსტურები მთელი სივრცისთვის თანმიმდევრულად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შესაძლებელი გახდეს სივრცის „მენტალური რუკის“ არსებობა. კედლის ზედაპირის სხვადასხვა ტექსტურა შეიძლება გამოვიყენოთ ორიენტირებისა და ინდივიდუალური ოთახების იდენტიფიცირებისთვის; კედლის ფილები, ნაირგვარი ტექსტურის გამოყენებით, შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით დავტვირთოთ, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა მასალით შელესილი კედლებისა და კედლის თეფშების გამოყენებაც. კედლის მოაჯირები შეზღუდულად უნდა იქნეს გამოყენებული ორიენტაციის მიზნით, რადგან, როცა ასეთი მოაჯირები გვაქვს, ყველა სივრცე ერთმანეთის მსგავსია. გაითვალისწინეთ, რომ ერთი მოაჯირი უნდა დამონტაჟდეს დერეფანში ორიენტაციისა და მხარდაჭერისთვის. მოწყობილობები, რომლებიც უნიკალურ ვიბრაციას წარმოქმნის შემოსასვლელ კართან, კარის გვერდით ან კარის ქვეშ

ამის უნარი გააჩნია, შეეძლოს სივრცის ინტერპრეტირება. სასწავლო ოთახებში, სადაც არ არის ხალიჩების დაგების საშუალება, ფონური ხმების შესამცირებლად რეკომენდებულია მერხებისა და სკამის ფეხების ხელნაკეთი შალითებით დაფარვა.

აღნიშნული მიდგომები გულისხმობს ყველა მოსწავლისთვის წარმატების თანაბარი შესაძლებლობის მიცემას. ამგვარი მიდგომისას სხვადასხვა რესურსის გამოყენება, ინფორმაციისა და შინაარსის წარდგენის გზების მრავალგვარობა უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტურ აღქმას, გაგებასა და გადამუშავებას. **მოქმედების, აქტივობისა და გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნება** მოქნილობას მატებს მოსწავლეებისათვის მასალის მიწოდების, მათ მიერ მასალაზე მუშაობისა და საკუთარი ცოდნის დემონსტრირების ფორმებს, ქმნის **საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის, მოტივირების მრავალნაირ შესაძლებლობას.**

ამგვარი მიდგომით დაგეგმილი სასწავლო პროცესი ხელსაყრელია ყველა მოსწავლისთვის, მაგრამ განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სენსორული პრობლემები აქვთ და სივრცეების სათანადოდ ადაპტირება სჭირდებათ.

იატაკზე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სივრცის განმსაზღვრელად.

5. აკუსტიკა

სივრცე, რომელიც აკუსტიკურად ცოცხალია, შეიძლება ადამიანს ორიენტირებაში დაეხმაროს, თუმცა მეტისმეტად ბევრი ხმა შესაძლოა პრობლემურიც იყოს, განსაკუთრებით – ყრუ ადამიანისთვის. ხმის გამოყენებით შეიძლება სივრცის შესახებ სასარგებლო ინფორმაცია მივიღოთ, მაგალითად, რამდენად ფართოა სივრცე, სად არის განლაგებული ნივთები და სად გვხვდება ღიობები. შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს არეკლილი ხმის გამოყენება საორიენტაციო მიზნებისთვის. ამას ექოლოკაციას უწოდებენ. ექოლოკაციის მიღწევა შესაძლებელია ისეთი ხმოვანი სიგნალის შექმნით, როგორიცაა თითების ტკაცუნი ან ჯოხის კაკუნი. ადამიანს შეუძლია, განასხვაოს მყარი ზედაპირიდან, მაგალითად, მინიდან ან ბეტონიდან არეკლილი ხმა ისეთი ზედაპირიდან არეკლილი ხმისგან, როგორიცაა ხალიჩა ან კორპი.

ხალიჩების, მუყაოსა და პლასტიკატის გამოყენებით შეიძლება ხმის შთანთქმა და ჩახშობა. ორმაგი მინა-პაკეტი შეიძლება დაგვეხმაროს გარედან სახლში შემომავალი ხმის შესუსტებაში. ხმის შემნიღბავი მოწყობილობები შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული არასასურველი ხმების ინტენსივობის შესამცირებლად. მთავარია, კარგი ბალანსი შეიქმნას ხმის მშთანთქმელ და ხმის ამრეკლავ მასალებს შორის, რათა ინდივიდს, რომელსაც

შენიშვნები:

1. *ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსალური დიზაინის ცენტრი*
2. მისაწვდომობის სახელმძღვანელო სენსორული დარღვევისთვის | DeafBlind Ontario Services 2020.

ნათელა ბაღათრიშვილი

ენობრივი კომპეტენციების გაძლიერება ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე

CLIL მიდგომა ამა თუ იმ საგნობრივი შინაარსის სწავლებით მიმდინარეობს, რითაც ფართოვდება ენის შესწავლის გამოცდილება. მიდგომა ინკლუზიურია, რადგან აერთიანებს სხვადასხვა მოდელს, რომელთა დანერგვაც შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციაში, განსხვავებული ტიპის შემსწავლელებთან.

CLIL მიდგომა ენისა და საგნობრივი შინაარსის ერთობლივად სწავლებას მოიაზრებს. ტერმინი 1994 წელს შემოიღეს და გამოიყენება ისეთ საკლასო გარემოში, სადაც სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის არამშობლიურ ანუ მეორე ენაზე მიმდინარეობს. ძნელი წარმოსადგენი არ იქნება ის სირთულეები, რომლებიც წარმოიქმნება ენობრივი ბარიერის გამო საკლასო გარემოში. CLIL ენათესავება მრავალ საგანმანათლებლო პრაქტიკას, მაგალითად, ბილინგვურ განათლებას, და იზიარებს ამ უკანასკნელის ელემენტებს. საბაზისო თეორიებისა და პრაქტიკების მსგავსების მიუხედავად, ისინი ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავდება. CLIL საგნობრივი შინაარსისა და ენის სწავლების ინოვაციურ შერწყმას წარმოადგენს. ის „ორმაგი აქცენტების მქონე საგანმანათლებლო მიდგომაა, რომელშიც მეორე ენა გამოიყენება როგორც საგნობრივი შინაარსის, ისე ენის სასწავლად და სასწავლებლად“. (კოილი, 2015). CLIL მიდგომა ამა თუ იმ საგნობრივი შინაარსის სწავლებით მიმდინარეობს, რითაც ფართოვდება ენის შესწავლის გამოცდილება. მიდგომა ინკლუზიურია, რადგან აერთიანებს სხვადასხვა მოდელს, რომელთა დანერგვაც შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციაში, განსხვავებული ტიპის შემსწავლელებთან.

სტატიაში განვიხილავთ CLIL მიდგომასა და მის ღირებულებებს ბუნებისმეტყველების სწავლების ჭრილში.

ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე სწავლა-სწავლება კვლევაზე დაფუძნებული პრინციპით მიმდინარეობს და ამ პროცესში მოსწავლის ენობრივი კომპეტენცია ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლეები კვლევების ჩატარების დროს ძირითადად ჯგუფებში მუშაობენ. დაწყებით საფეხურზე ისინი უმეტესად ხელმძღვანელობენ მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული ინსტრუქციებით. ბუნებრივია, ამ დროს განსაკუთრებით ვითარდება კითხვის, მოსმენისა და საუბრის კომპეტენციები, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წერითი კომპეტენციის განვითარება უკუვაგდოთ. სილვია მარკიჩი აღნიშნავს, რომ საკლასო ოთახში ბუნებისმეტყველების სწავლების დროს მნიშვნელოვანია ენის ოთხივე უნარის: წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის, - განვითარება (Markic, 2014). ეს კარგად ჩანს 5E სასწავლო ციკლისა და კვლევითი ციკლის მოდელებში, რომლებსაც აქტიურად იყენებენ როგორც აშშ-სა და ევროპაში დაწყებით საფეხურზე, ისე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში (ბაღათრიშვილი, 2018). მოსწავლეები კითხულობენ, გამოთქვამენ და წერენ მოსაზრებებს, აღწერენ პროცესებს, მსჯელობენ ჯგუფში, გამოაქვთ დასკვნები, ავსებენ კვლევის ანგარიშს, წარადგენენ ნაშრომებს და სხვა.

იორის აზრით, ენა განუყოფელია მეცნიერებისა და საბუნებისმეტყველო განათლებისგან. ენა მეცნიერების შექმნისა და გაგების საშუალებაა. „ენა არის საბუნებისმეტყველო განათლების მიღების ფუნდამენტური საშუალება, რადგან ენის მეშვეობით მყარდება კომუნიკაცია გაკვეთილზე, მაგალითად, კვლევითი პროცედურების წარმართვის დროს ხდება ინსტრუქციების მიცემა და მათი ახსნა გააზრებული ქმედებების განხორციელების მიზნით. მეცნიერება არის კვლევის პროცესი, რომელიც ენის საშუალებით წარიმართება, იმართება დებატები, დისკუსია, მსჯელობა და სხვა“ (Yore et all, 23).

ოსბორნი მიიჩნევს, რომ მეცნიერება წიგნიერების გარეშე ჰგავს უიალქნო გემს. მისივე აზრით, რო-

გორც შეუძლებელია, ააშენო სახლი სახურავის გარეშე, ასევე შეუძლებელია, ჩასწვდე მეცნიერებას იმის გააზრების გარეშე, რამდენად მნიშვნელოვანია ენის გამოყენება აზრის ჩამოსაყალიბებლად. იმისთვის, რომ გავიაზროთ, რა მნიშვნელობა აქვს ენას საბუნებისმეტყველო განათლებაში, უნდა გვესმოდეს ენის მნიშვნელობა/როლი ამა თუ იმ კულტურაში (Osborne, 2010).

პოსტმანი და ვენგარტნერი კი აღნიშნავენ: „თითქმის ყველაფერი, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, ცოდნას ვუწოდებთ, არის ენა, რაც იმას ნიშნავს, რომ საგნის კარგად გასაგებად ჯერ ენა უნდა გესმოდეს“ (Postman and Weingarten, 2001). ეს მოსაზრება განსაკუთრებით ეხება საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

ველინგტონი და ოსბორნი ამტკიცებენ, რომ ბევრი მოსწავლისთვის ენა მთავარი ბარიერია ბუნებისმეტყველების შესწავლის დროს. საბუნებისმეტყველო განათლების მთავარი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, გამოიყენონ სამეცნიერო ენა ცოდნისა და გამოცდილების კონსტრუირებისა და გააზრებისთვის. ლინგვისტური და სემიოტიკური თვალსაზრისით, საბუნებისმეტყველო განათლებისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლე არა მარტო ჩასწვდეს ამა თუ იმ მოვლენის არსს, არამედ ახსნას და გააანალიზოს ცხრილები, დიაგრამები და გრაფიკებიც (Wellington and Osborn, 2001).

ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) უმთავრესი მიზანია, დაწყებით საფეხურზე აღუძრას მოსწავლეს ინტერესი და აზიაროს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს, განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს, შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ (ესგ, 2018-2024). საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ერთ-ერთი ასეთი ამოცანა გახლავთ კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ვერბალური ინსტრუმენტების - სიტყვების, სიტყვათშეთანხმებებისა და წინადადებების გამოყენება. მაგალითისთვის განვიხილოთ სხვადასხვა თემის ფარგლებში მიზნების მიღწევის ინდიკატორები და მათ მიხედვით ჩამოყალიბებული აღწერები, რომლებიც ენობრივი კომპეტენციების განვითარებასთან არის დაკავშირებული:

სვამს მარტივ კითხვებს;

აღწერს სხეულებს და/ან მოვლენებს;

ასახელებს ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედ უარყოფით ფაქტორებს;

საუბრობს საკვები პროდუქტების შენახვის წესებზე;

კითხულობს საკვები პროდუქტების ეტიკეტს;

აღრიცხავს კვლევის შედეგებს (მარტივი მეცნიერული ენით ჩაწერა, ცხრილის აგება...);



CLIL საგნობრივი შინაარსისა და ენის სწავლების ინოვაციურ შერწყმას წარმოადგენს. ის „ორმაგი აქცენტების მქონე საგანმანათლებლო მიდგომაა, რომელშიც მეორე ენა გამოიყენება როგორც საგნობრივი შინაარსის, ისე ენის სასწავლად და სასწავლებლად.

ადარებს მიღებულ მონაცემებს საკუთარი და თანაკლასელთა დაკვირვების შედეგებს;

ადარებს ცოცხალ ორგანიზმებს აგებულების, საარსებო გარემოს, გამრავლების თავისებურებების მიხედვით;

ადარებს ორ კლიმატურ სარტყელს ძირითადი მახასიათებლების მიხედვით;

აანალიზებს შედეგებს;

მსჯელობს ფიზიკურ ან ქიმიურ პროცესებსა და მოვლენებზე;

აყალიბებს კითხვებზე პასუხებს მარტივი საბუნებისმეტყველო ტერმინების გამოყენებით;

წარადგენს მიღებულ შედეგებსა და დასკვნებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველების, წერითი მეტყველების, ისტ-ის საშუალებით);

მოჰყავს სათანადო მაგალითები სხვადასხვა ბიოლოგიური პროცესისა და მოვლენის საილუსტრაციოდ;

ახასიათებს მისთვის ნაცნობ ნივთიერებას;

აგროვებს ინფორმაციას სხვადასხვა ორგანიზმზე, მოვლენებსა და პროცესებზე და სხვა.

როგორც ვხედავთ, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები დაკავშირებულია კომუნიკაციის ოთხივე უნართან, რაც ადასტურებს, რომ ბუნებისმეტყველების სწავლა-სწავლებისთვის მნიშვნელოვანია ენობრივი კომპეტენცია, ბუნებისმეტყველების სწავლება კი, თავის მხრივ, ხელს უნდა უწყობდეს ენობრივი კომპეტენციის განვითარებას. ეს მიზანი ადვილად, შედარებით მარტივი მხარდამჭერი მეთოდებითა და საშუალებებით მიიღწევა ისეთ მოსწავლეებთან, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიურია და რომლებიც კარგად ფლობენ ყოველდღიურ სამეტყველო ენას. ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე ამაღლდება ამ მოსწავლეების სამეცნიერო თუ ეკოლოგიური წიგნიერების დონე, ისინი შეისწავლიან სხვადასხვა საბუნებისმეტყველო ტერმინს.

ბუნებისმეტყველების სწავლება რთულდება იმ ქართულენოვან სკოლებში, სადაც სწავლობენ ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეები, მაგალითად, ქისტები, აზერბაიჯანელები, ვისთვისაც ქართული მეორე ენაა. იქმნება ინსტრუქციების მოსმენის, წაკითხვისა და გაგების პრობლემა. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან, რადგან ქართული ამ დროისთვის მათ თითქმის არ იციან, მით უმეტეს, თუ ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ქართველია და არ შეუძლია, მოსწავლეს მშობლიურ ენაზე აუხსნას გაუგებარი ინსტრუქციები, სიტყვები და ფრაზები. სწორედ CLIL მიდგომის დანერგვა შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესში იმ მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას, ვისთვისაც ქართული მეორე ენას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაღათრიშვილი ნ., *„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო მიდგომები და მეთოდები“*, 2018 http://mastsavlebeli.ge/?p=17675
2. კოილი დ., ჰუდი ფ., მარში დ. *„ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება“*, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, 2015
3. ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024) http://ncp.ge/
4. Markic S., *Heterogeneity – challenge and/or opportunity in science education?* Sisyphus – Journal of Education, 2014 https://www.redalyc.org/pdf/5757/575763890003.pdf
5. Markic S. and Childs P.E., *Language and the teaching and learning of chemistry,* Chemistry Educational Research and practice, 2016 https://pubs.rsc.org/en/content/articlehtml/2016/rp/c6rp90006b?page=search#cit26
6. Osborne j., *Science Without Literacy: A Ship without sail?* Cambridge Journal of Education, 2010 https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/03057640220147559
7. Wellington j. and Osborne j., *Language and Literacy in Science Education,* 2001 https://www.researchgate.net/publication/266864338_Language_and_Literacy_in_Science_Education

ქეთევან კობალაძე

შვილები – მშობლების მასწავლებლები

„ჩვენ აუცილებლად უნდა მოვახერხოთ საკუთარი პიროვნების გაგება და მიღება, რათა შვილებსაც გავუგოთ და მივიღოთ მათი ქცევები, განცდები, ემოციები“, - ასე ფიქრობს შეფალი ცაბარი, ინდური წარმოშობის ამერიკელი კლინიკური ფსიქოლოგი, რომელმაც დოქტორის ხარისხი კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიღო. ის არის აღზრდის სფეროს სპეციალისტი, ოჯახური ფსიქოლოგიისა და პიროვნული განვითარების ექსპერტი, ატარებს ლექციებს მთელ მსოფლიოში და ავტორია რამდენიმე წიგნისა, რომლებიც ბესტსელერებად არის აღიარებული. მისი პრინციპია აღმოსავლური და დასავლური სულიერი პრაქტიკების თანხვედრა, რასაც მაღალი შეფასება მისცეს გერმანელმა მწერალმა ეკჰარტ ტოლემ და დალაი ლამამ.

შეფალი ცაბარი წერს: „როდესაც მივხვდი, რომ ჩემი შვილი სულაც არ იყო „პატარა ფრთაშესხმული ანგელოზი“, წარმოდგენები შემეცვალა. ცვლილება განაპირობა იმის აღმოჩენამ, რომ ჩემი გოგონა სერიოზული მანიპულატორია და მისი ლოგიკური აზროვნება ჩემი აზროვნების სტილისგან სრულიად განსხვავდება. დავიწყე მისი ლოგიკური მიმართებების შესწავლა, რომ პატარას კვლავ არ გავეცურებინე. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მე შვილთან ურთიერთობამ უკეთესი გამხადა, რაც ძალიან კარგია. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ცვლილების განსახორციელებლად დამჭირდა, გამეცნობიერებინა და მეღიარებინა საკუთარ თავში იმ თვისებების არსებობა, რომლებიც ხელს მიშლიდა, ისეთი მშობელი ვყოფილიყავი, როგორიც ნამდვილად სჭირდებოდა ჩემს შვილს“.

ამრიგად, შვილების გაგების უნარი პირდაპირ უკავშირდება მშობლების მიერ საკუთარი თავის გაგების უნარს. უფროსებმა უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დანახვა ზუსტად ისეთებად, როგორებიც რეალურად არიან, თანაც ამ პროცესში აუცილებელია განვითარებისკენ სწრაფვა, რომ არ ჩამორჩნენ სწრაფი ტემპით განვითარებად შვილებს. მშობლები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეშფოთდნენ, თუ საკუთარ თავში რაიმე ნეგატიურს აღმოაჩენენ, რადგან სწორედ ამ დროს ეძლევათ შანსი, აღმოფხვრან თავიანთი უარყოფითი თვისებები. მეტიც, უფროსები მუდმივი პოზიტიური ცვლილებების რეჟიმში უნდა იყვნენ ჩართული. „თუ მშობლებს არ აქვთ შინაგანი თავისუფლების განცდა, როგორ აღზრდიან ისინი დამოუკიდებელ და თვითმყოფად პიროვნებას? რაც უფროსებმა არ იციან, რა თქმა უნდა, იმას ბავშვებს ვერ ასწავლიან“.

შვილების გაგების უნარი პირდაპირ უკავშირდება მშობლების მიერ საკუთარი თავის გაგების უნარს. უფროსებმა უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დანახვა ზუსტად ისეთებად, როგორებიც რეალურად არიან, თანაც ამ პროცესში აუცილებელია განვითარებისკენ სწრაფვა, რომ არ ჩამორჩნენ სწრაფი ტემპით განვითარებად შვილებს.

უფროსები სულაც არ არიან იდეალურები - ეს ნორმალურია, მაგრამ რა უშლით ხელს, უკეთესები გახდნენ? თავდაპირველად, მათ უნდა ისწავლონ საკუთარი თავის პატივისცემა და მიღება, თუნდაც ისე, როგორც ამას ფსიქოლოგი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პუნქტებად აყალიბებს:

- ნორმალური და მისაღებია, რომ უფროსებსაც აქვთ ნაკლოვანებები.
- მშობელი აცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება შვილთან ურთიერთობით არ შემოიფარგლება.
- ხდება ხოლმე, რომ უფროსებმა არ იციან, როგორ

ხშირად უფროსები საკუთარ თავსაც საგულდაგულოდ უმალავენ რეალობას, ეს კი ხელს უშლის მათ, გაუგონ ბავშვებს და მათი პრობლემები გაითავისონ. თუ მშობელი შვილებთან ურთიერთობისას მხოლოდ საკუთარ სირთულეებზე ფიქრს დაუთმობს დროს, ის ვერ მოახერხებს, შვილების შინაგან სამყაროს ჩასწვდეს.

მოიქცნენ ამა თუ იმ სიტუაციაში.

- არის სიტუაციები, როდესაც უფროსებს საკუთარი საქციელის რცხვენიათ.
- სამწუხაროდ, უფროსები ზოგჯერ ბავშვებზე უარესად იქცევიან.
- მშობლები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისინი ზოგჯერ მეტისმეტად ეგოისტურად ექცევიან შვილებს.
- ხანდახან შვილების საქციელი მშობლებს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს და მათ არ იციან, როგორ მოიქცნენ.
- გულწრფელი მშობლები აღიარებენ, რომ შვილებთან მიმართებით ზოგჯერ ცდებიან.
- არის შემთხვევები, როდესაც გადაღლილ მშობლებს თავიანთი ნეგატიური ემოციები, სრულიად დაუმსახურებლად, შვილებზე გადააქვთ.
- სამსახურებრივი ან სხვა საქმიანობის გამო მშობლები ზოგჯერ მეტისმეტად ცოტა დროს უთმობენ შვილებს.
- უფროსების ცხოვრება იდეალური არ არის და არც თავად არიან იდეალურები, მაგრამ მაინც ცდილობენ, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათ ძალებსა და შესაძლებლობებს არ აღემატება.
- მშობლებს ხშირად უჩნდებათ სურვილი, ყველაფერი აკონტროლონ.
- უფროსები აცნობიერებენ, რომ ყოველთვის ვერ აკონტროლებენ საკუთარ ქცევას, მაგრამ მაინც ცდილობენ, კარგი მშობლები და ადამიანები იყვნენ.

„მშობლებიც იყვნენ შვილები და მათ მშობლებსაც მოსდიოდათ შეცდომები, რაც უფროსებს შიგნიდან ღრღნის, ეს კი ხელს უშლის მათ, ჰარმონიულ პიროვნებებად იგრძნონ თავი. ჰოდა, ნაცვლად იმისა, რომ მშობელი ჯერ საკუთარ თავში გაერკვიოს და შინაგანი გაუცხოება, შფოთვა, არასრულფასოვნება აღმოფხვრას,



ის ცდილობს, შვილებთან ურთიერთობით მოახდინოს ამ ყველაფრის კომპენსაცია. ხშირად ასეთი მშობლები ან ტოტალურ კონტროლს უწესებენ შვილებს, ან, პირიქით, პატარები იწყებენ მშობლებით მანიპულირებას.

შვილებთან ურთიერთობაში წარმოქმნილი ნებისმიერი

ბარიერი გარკვეულწილად მშობლის პირად ისტორიასთან არის დაკავშირებული. ხშირად ისე ხდება, რომ დედის ან მამის პიროვნებაში არის რაღაც კონფლიქტი ან გადაუმუშავებელი პრობლემა, რომელიც ძნელი გასაცნობიერებელია, ამიტომ საკუთარი თავით და მთელი სამყაროთი უკმაყოფილება მშობლების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება, თუმცა ხშირად უფროსები საკუთარ თავსაც საგულდაგულოდ უმალავენ რეალობას, ეს კი ხელს უშლის მათ, გაუგონ ბავშვებს და მათი პრობლემები გაითავისონ. თუ მშობელი შვილებთან ურთიერთობისას მხოლოდ საკუთარ სირთულეებზე ფიქრს დაუთმობს დროს, ის ვერ მოახერხებს, შვილების შინაგან სამყაროს ჩასწვდეს.

საგულისხმოა, რომ როდესაც მშობელი მიჩვეულია ბავშვობიდანვე დანაშაულის განცდით ცხოვრებას, მაშინ მისთვის ადვილი სათქმელია: „ჩემი შვილი გამუდმებით მეუზრდელება და, ვფიქრობ, ეს ჩემი ბრალია, მე ამ სიტუაციას ვერაფრით გამოვასწორებ“. სინამდვილეში ასეთი დამოკიდებულება უფროსის მხრიდან საკუთარი თავის დადანაშაულების მაგალითია. სამაგიეროდ, მშობელი, რომელიც, დავუშვათ, ასე გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას შვილის მიმართ: „ჩემი შვილი პირდაპირ გენიოსია, მას ყველაფერი შესანიშნავად გამოსდის“, – თავად იყო მშობლების მხრიდან მუდმივი ქების „მსხვერპლი“, მას უმტკიცებდნენ, რომ ყველგან და ყოველთვის გაიმარჯვებდა. ჰოდა, ახლა, ზრდასრულ ასაკში, უკვე მისი შვილია მშობლის პატივმოყვარეობისა და ამპარტავნების ვნების დაკმაყოფილების ობიექტი.

უფროსები, რომლებიც ვერ ახერხებენ, შიშისა და განკითხვის გარეშე ჩასწვდნენ საკუთარი პიროვნების სიღრმეებს, შვილებს თავიანთი გაუცნობიერებელი მოლოდინების გამართლებისთვის წირავენ.

შვილის მიღება სულაც არ არის სტატიკური მდგომარეობა, ეს მუდმივი ცვალებადობის მდგომარეობაა. ნებისმიერი პიროვნება განვითარების სხვადასხვა ეტაპს გადის და უამრავ მეტამორფოზას განიცდის. ადამიანი განუწყვეტლივ აცნობიერებს საკუთარ პიროვნებას, აკეთებს არჩევანს და იღებს გადაწყვეტილებას, ანუ ცხოვრების ნებისმიერ მომენტში პიროვნება იცვლება, რადგან ახალ გამოცდილებასა და ცოდნას იღებს, მათ შორის – ცოდნას საკუთარ თავზე.

მაგრამ როდესაც ბავშვს აიძულებენ, იყოს სრულიად განსხვავებული პიროვნება, ვიდრე სინამდვილეშია, ის იტანჯება და შესაძლოა, გაცილებით უარესი შედეგიც მივიღოთ. შვილებსა და მშობლებს შორის კონფლიქტების უმეტესობა სწორედ მსგავს სიტუაციებში წარმოიშობა. ამ ყველაფრის საპირწონედ, როცა მშობლები არ ცდილობენ, შვილები თავიანთი სურვილისამებრ გადააკეთონ, თავად ბავშვები ინტუიციურად ახერხებენ, ჩამოყალიბდნენ იმ პიროვნებად, რომელიც შინაგან განცდებსა და ინდივიდუალობას შეესაბამება. ადამიანი ხომ ბავშვობიდანვე ეჩვევა შინაგანი თავისუფლების განცდას, რაც აიძულებს მას, შექმნას იმგვარი ცხოვრებისეული გარემოებები, რომლებიც დაეხმარება, ის არ დაკარგოს და განივითაროს კიდეც“.

თავისი მოსაზრებების უკეთ ასახსნელად შეფალი ცაბარი დასძენს: „როდესაც მოვუწოდებ მშობლებს, მიიღონ შვილები ზუსტად ისეთები, როგორებიც არიან, სულაც არ ვგულისხმობ, რომ ეს საკმარისია. შვილის მიღება სულაც არ არის სტატიკური მდგომარეობა, ეს მუდმივი ცვალებადობის მდგომარეობაა. ნებისმიერი პიროვნება განვითარების სხვადასხვა ეტაპს გადის და უამრავ მეტამორფოზას განიცდის. ადამიანი განუწყვეტლივ აცნობიერებს საკუთარ პიროვნებას, აკეთებს არჩევანს და იღებს გადაწყვეტილებას, ანუ ცხოვრების ნებისმიერ მომენტში პიროვნება იცვლება, რადგან ახალ გამოცდილებასა და ცოდნას იღებს, მათ შორის – ცოდნას საკუთარ თავზე. ამდენად, ჩვენ თავი უნდა ვარიდოთ საბოლოო დასკვნების გამოტანას. პიროვნება არ არის ობიექტი, ის ცოცხალი პროცესია, რომელსაც მკაფიო საზღვრები არ გააჩნია. აუცილებელია, ყველამ ისწავლოს ამ პროცესზე დაკვირვება და შვილების მიღება ისეთებად, როგორებიც არიან სინამდვილეში, აქ და ახლა. თუ მშობლები ამას მოახერხებენ, მათ არ გამოეპარებათ ის სიახლეები და მნიშვნელოვანი უცნაურობები, რომლებიც მათი შვილების ქცევაში იჩენს თავს და არც ბავშვების პიროვნული განვითარების დინამიკის გაგება გაუჭირდებათ“.

სტერეოტიპებისგან თავისუფალი დამოკიდებულებები ბავშვებთან გულწრფელ ურთიერთობებს განაპირობებს. ჰკითხეთ საკუთარ თავს: „ნამდვილად კარგად ვიცნობ ჩემს შვილებს? შევძლებ, გავთავისუფლდე ნებისმიერი ცრურწმენისგან? მოვახერხებ ჩემი შვილების შესახებ ყოველდღე რაიმე სიახლის გაგებას?“ მშობლებმა ყურადღებიანი დამკვირვებლის როლი უნდა მოირგონ და არა მკაცრი მსაჯულისა. თავი აარიდეთ ნაჩქარევ დასკვნებს, ერთმნიშვნელოვან შეფასებებს, უბრალოდ, დააკვირდით, როგორ ვითარდება თქვენი შვილების ხასიათი და როდესაც რაიმე თავისებურებას შეამჩნევთ, მშვიდად უთხარით საკუთარ თავს: „რა საინტერესო სიახლეა, უნდა დავფიქრდე ამაზე. იქნებ თავადაც რამე ვისწავლო...“

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

www.tpdc.ge